პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტატუსის მოპოვების თაობაზე ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

ექსპერტთა ჯგუფის წევრები
თავმჯდომარე: ქეთევან ბოტკოველი
წევრები:
ქეთევან ჭუჭულაშვილი
ზურაბ ბურდული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება: ა(ა)იპ სათავგადასავლო ტურიზმის სკოლა

ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა: არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი

საიდენტიფიკაციო კოდი: 429322985

სახე:

☐ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება

☐ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება

■ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება / კოლეჯი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

თბილისი, 2022

II. ვიზიტის საერთო მიმოხილვა

2022 წლის 1 ივნისის № 568622 ბრძანების (ცვლილება შესულია 13/06/2022, N0634678 ბრძანებით), საფუძველზე ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფს (თავმჯდომარე: ქეთევან ბოტკოველი, წევრები: ქეთევან ჭუჭულაშვილი - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი; ზურაბ ბურდული- დარგის ექსპერტი) დაევალა ა(ა)იპ სათავგადასავლო ტურიზმის სკოლის პირობების საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლით განსაზღვრულ ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება.
ა(ა)იპ სათავგადასავლო ტურიზმის სკოლაში ვიზიტი, ბრძანების თანახმად, განახორციელდა 2022 წლის 28, 29 და 30 ივლისს.
ვიზიტამდე, სრულფასოვანი შეფასების მიზნით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ შესწავლილ იქნა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი და ვებგვერდზე განთავსებული მასალა, განისაზღვრა დასაზუსტებელი საკითხები, შედგა ადმინისტრაციული წარმოების გასაუბრების განრიგი, რომელიც გადაეგზავნა დაწესებულებას და რომლის შესაბამისადაც განხორციელდა ვიზიტი. გეგმის თანახმად განხორციელდა შეხვედრები დაწესებულების პერსონალთან, პროფესიულ სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთნ.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ცენტრის მხრიდან ექსპერტებს დაევალათ ასევე საკითხის შესწავლა იმასთან დაკავშირებით, რომ 2022 წლის მარტის მდგომარეობით, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების მართვის ელექტრონული სისტემაში, ა(ა)იპ - სათავგადასავლო ტურიზმის სკოლას ორ პროფესიული საგნობრივ პროგრამაზე (სამთო გამყოლი, საფეხმავლო გამყოლი) უფიქსირდებოდა ხუთი აქტიური სტუდენტი, რაც არღვევს "პროფესიული განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის (თავი XII. „გარდამავალი და დასკვნითი დებულებები“ - 39 - ე მუხლის -„გარდამავალი დებულებები“ – 1^2 პუნქტი) მოთხოვნებს.

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების შესწავლისა და დაწესებულების წარმომადგენლებთან ინტერვიუს შედეგად გაირკვა, რომ ხუთივე პროფესიული სტუდენტი მობილობის წესით იყო გადაყვანილი საგნობრივიდან მოდულურ პროგრამაზე, აღსანიშნავია, რომ ორივე პროგრამა "საფეხმავლო გამყოლი" და "სამთო გამყოლი", რომლებსაც დაწესებულება 2016 წლიდან ახორციელებდა, შემუშავებული იყო პროფესიული სტანდარტების საფუძველზე დაკუმ- მეთოდოლოგიით - (ჩარჩო დოკუმენტი და მოდულები), რასაც შემდგომში დაეფუძნა 2018 წელს შექმნილი მოდულური საგანმანათლებლო პროგრამა" სამთო გამყოლი". შესაბამისად გაადვილდა შიდა მობილობის დროს თითოეული სტუდენტის სწავლის შედეგების და კრედიტების ანალიზი, შეფასება და მობილობა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



მობილობის ასახვა მოხდა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების მართვის ელექტრონულ სისტემაში, შესაბამისად პროფესიულ სტუდენტებს აქტიური სტატუსი დაუფიქსირდათ უკვე „სამთო გამყოლის“ მოდულურ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე, ხოლო 2021 წლის 22 ოქტომბერს მიენიჭათ კვალიფიკაცია.

ელექტრონული სისტემის სპეციფიკის შესწავლის შედეგად გაირკვა, რომ მობილობის შემთხვევაში, პროფესიული სტუდენტისათვის ახალ პროგრამაზე აქტიური სტატუსის მინიჭების შემთხვევაში, მას ავტომატურად უწყდება სტატუსი ძველ პროგრამაზე, მაგრამ ვინაიდან კოლეჯის შემთხვევა ეხებოდა საგნობრივი პროგრამიდან მოდულურზე მობილობას, სისტემაში მოხდა სტატუსის დუბლირება, ვინაიდან დაწესებულებამ მექანიკურად არ შეუწყვიტა სტატუსი პროფესიულ სტუდენტებს საგნობრივ პროგრამაზე. შედეგად, მათ დარჩათ აქტიური სტატუსი სისტემაში მოდულურ პროგრამაზე კვალიფიკაციის მინიჭებს შემდეგაც. ამ ეტაპზე ეს ხარვეზი აღმოფხვრილია განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის შესაბამის სამსახურთან შეთანხმებით, გასწორდა მონაცემები და აღნიშნულ 5 პირს აღარ უფიქსირდებათ აქტიური პროფესიული სტუდენტის სტატუსი.

დაწესებულებას თვითშეფასების დოკუმენტით ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობა შეფასებული აქვს როგორც „სრული“ ყველა კომპონენტში, გარდა მე-5 სტანდარტისა, რომელიც შეფასებული იყო როგორც მეტწილად შესაბამისი..
ექსპერტთა შეფასებების საფუძველზე, პსდ-ს ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობა, თავდპირველად, დასკვნის პროექტის თანახმად, პირველ. მესამე და მეოთხე სტანდარტთან მიმართებით, შეფასდა როგორც „სრული“, მათ შორის საგანმანათლებლო პროგრამაც - მეორე სტანდარტი, ხოლო მეხუთე სტანდარტის 5.1.1.1. ქვესტანდარტი, ექსპერტთა მიერ შეფასდა როგორც „არ შეესაბამება“. რამდენადაც შენობა, სკოლას გადაეცა საქართველოს მთავრობის 2021 წლის 21 იანვრის N66 განკარგულების თანახმად, სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოსთან გაფორმებული 6 წლიანი უსასყიდლო უზუფრუქტის ხელშეკრულებით 2021 წლის 26 მარტს, ავტორიზაციის მიღების შემთხვევაში, ვადა აითვლება 2022 წლიდან, რაც ნიშნავს, რომ წარმოდგენილი ხელშეკრულების თანახმად სკოლა ვერ დააკმაყოფილებს სტანდარტით მოთხოვნილ პირობას (საქართველოს კანონი განათლების ხარისხის განვითარების შესახებ მუხლი 12. გადაწყვეტილება ავტორიზაციის შესახებ), რაც გულისხმობს დაწესებულების საქმიანობის უზრუნველყოფას შესაბამისი ინფრასტრუქტურითა და მატერიალური რესურსით მინიმუმ ავტორიზაციის ვადით. დასკვნის პროექტის გაცნობის შემდგომ, არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად, დაწესებულებამ წარმოადგინა ა(ა) იპ სათავგადასავლო ტურიზმის სკოლის დირექტორის მიერ, 2022 წლის 22 აგვისტოს, N 04/38 ბრძანებით დამტკიცებული სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის სამოქმედო გეგმა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

თბილისი, 2022

დოკუმენტში განსაზღვრულია შესასრულებელი სამუშაო ვადების გათვალისწინებით, პასუხისმგებელი და შემსრულებელი პირები, საჭირო ადამიანური რესურსი და ასევე პროცესების შეფერხების რისკი, რომელიც მოიცავს 10%-ს. ხარვეზის გამოსწორების ვადად განსაზღვრულია 4 თვე (2022 წლის დეკემბრის ბოლო). გეგმის მიხედვით უზურფრუქტის ხელშეკრულების ვადის გაგრძელდება იგეგმება 2028 წლის 30 სექტემბრის ჩათვლით, რაც უზრუნველყოფს დაწესებულების საქმიანობას, ავტორიზაციის მიღების შემთხვევაში, შესაბამისი ინფრასტრუქტურითა და მატერიალური რესურსით ავტორიზაციის ვადით. ყოველივე ზემოხსენებულის გათვალისწინებით ექსპერტების მიერ 5.1.1.1.სტანდარტი, საბოლოო დასკვნაში, შეფასებულია როგორც „მეტწილად შეესაბამება“ და შესაბამისად მთლიანად V სტანდარტი, სტანდარტებთან შესაბამისობის ცხრილის თანახმად, შეფასდა როგორც „შეესაბამება“.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

თბილისი, 2022

III. ავტორიზაციის პირველ, მე-3, მე-4 და მე-5 სტანდარტებთან შესაბამისობის ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	**შეესაბამება**	**მეტწილად შეესაბამება**	**ნაწილობრივ შეესაბამება**	**არ შეესაბამება**
1) კოლეჯის მისია და სტრატეგიული განვითარება	☒	☐	☐	☐
1.1) პსდ-ს მისია	სრული 3	სრული 3	მეტწილი 2	
1.2) პსდ-ს სტრატეგიული განვითარება	სრული 3	მეტწილი 2	ნაწილობრივი 1	
3) პროფესიული სტუდენტები და მათი მხარდამჭერი ღონისძიებები	☒	☐	☐	☐
3.1) პროფესიული სტუდენტების უფლებების დაცვა	სრული 3	მეტწილი 2	მეტწილი 2	
3.2) პროფესიული სტუდენტების მხარდაჭერის ღონისძიებები	მეტწილი 2	მეტწილი 2	ნაწილობრივი 1	
4) ადამიანური რესურსები	☒	☐	☐	☐
4.1) პერსონალის და პროცესების მართვა	სრული 3	მეტწილი 2	ნაწილობრივი 1	
4.2) პერსონალის განვითარება	მეტწილი 2	მეტწილი 2	ნაწილობრივი 1	
5) მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები	☒	☐	☐	☐
5.1) მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა	მეტწილი 2	მეტწილი 2	ნაწილობრივი 1	
5.2) საინფორმაციო რესურსები	სრული 3	მეტწილი 2	ნაწილობრივი 1	
5.3) ფინანსური რესურსები	სრული 3	მეტწილი 2	მეტწილი 2	

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

თბილისი, 2022

IV. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

პროფესიული კოლეჯი -ა(ა)იპ „სათავგადასავლო ტურიზმის სკოლა“ დაარსდა 2016 წელს და საჯარო/კერძო პარტნიორობის საუკეთესო მაგალითია, რამდენადაც სკოლა დაფუძნდა - ა(ა)იპ „საქართველოს სამთო გამყოლთა ასოციაციის“, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს“ და შპს „მთის კურორტების განვითარების კომპანიის“ თანამშრომლობით. 2016 წლის 23 სექტემბერს სკოლამ მიიღო ავტორიზებული საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და ამავე წლის შემოდგომაზე გამოაცხადა მიღება სასწავლო პროგრამაზე.

2021 წლის 24 ნოემბერს საფრანგეთში საკურორტო ქალაქ შამონიში, „საქართველოს სამთო გამყოლთა ასოციაცია“ გახდა საერთაშორისო ფედერაციის წევრი და სათავგადასავლო ტურიზმის სკოლის დიპლომირებულმა 30 სამთო გამყოლმა მიიღო საერთაშორისო სამთო გამყოლის სტატუსი. საქართველოს სათავგადასავლო ტურიზმის ინდუსტრიამ მიიღო ხარისხის ნიშანი და სათავგადასავლო ტურიზმის სკოლის სამთო გამყოლის სადიპლომო პროგრამამ მიიღო საერთაშორისო აღიარება, რაც გულისხმობს, რომ სათვგადასავლო ტურიზმის სკოლა შეძლებს მიიღოს სტუდენტები მსოფლიოს ნებისმიერი ქვეყნიდან საერთაშორისო სადიპლომო პროგრამაზე - სამთო გამყოლი, საქართველოში დიპლომირებული სამთო გამყოლები შეძლებენ აწარმოონ საგამყოლო საქმიანობა IFMGA წევრ 25 ქვეყანაში.

2024 წელს, წინასწარი განაცხადით, საქართველოში ჩატარდება IFMGA გენერალური ასამბლეა - სამთო გამყოლთა ასოციაციების საერთაშორისო ფედერაციამ და სამთო გამყოლთა ასოციაციამ გააფორმეს თანამშრომლობის მემორანდუმი ეკონომიკური და საგანამანთლებლო სფეროში თანამშრომლობის შესახებ, რაც მოიცავს სათავგადასავლო ტურიზმის სკოლის საერთაშორისო ექსპერტიზით დახმარებას, ახალი პროგრამების შემუშავებაში საერთაშორისო ექსპერტების ჩართვას და სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების შესაძლებლობების გახსნას ქართველი სტუდენტებისთვის.

სათავგადასავლო ტურიზმის სკოლა, საფრანგეთის ალპინიზმის და თხილამურების ეროვნულ სკოლასთან (ENSA) თანამშრომლობით გეგმავს ახალი სათავგადასავლო პროფესიების განვითარებას, მათ შორის პარაგლაიდინგის მიმართულებით; - სამთო გამყოლთა ასოციაციამ დაიწყო მეორე საერთაშორისო ორგანიზაციაში - მთის ლიდერთა საერთაშორისო კავშირში (UIMLA) გაწევრიანების პროცესი, რომლის ფარგლებშიც სათავგადასავლო ტურიზმის სკოლა დანერგავს საფეხმავლო გამყოლის კურსის საერთაშორისო სტანდარტს საქართველოში. ამ პროცესის პარტნიორები და თანამოაზრეები არიან - განათლების და მეცნიერების სამინისტრო და მთის კურორტების განვითარების კომპანია, სათავგადასავლო ტურიზმის სკოლის თანადამფუძნებლები; განათლების სამინისტროს პროფესიული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

თბილისი, 2022

განათლების მიმართულების გუნდი და უნარების სააგენტო, მიუნხენის ტექნიკური უნივერსიტეტი, შცეიცარიის და გერმანიის სამთო გამყოლთა ასოციაციები და მათი ექსპერტები, რომლებიც ჩართულნი არიან სათავგადასავლო ტურიზმის სკოლის საგანამათლებლო და საგამოცდო პროცესში.

V. არსებობის შემთხვევაში, წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების შეფასება და აღწერა

VI. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

VII. რეკომენდაციების შეჯამება

შესაბამისობის რეკომენდაცია:

5.1.1.1. ა(ა)იპ სათავგადასავლო ტურიზმის სკოლამ უზრუნველყოს უზურფრუქტის ხელშეკრულების ვადების სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანა დირექტორის 2022 წლის 22 აგვისტოს N04/38 ბრძანების შესაბამისად დამტკიცებულ სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის თანახმად, რომლის შესრულების ვადაც განსაზღვრულია 08.07.2022 – 31.12.2022 (4 თვე).

<u>განმავითარებელი რეკომენდაციები:</u>

1.1.1.2. სკოლა/კოლეჯი ახორციელებს მოკლევადიან მომზადება/გადამზადების პროგრამებსაც, ამდენად, სასურველია მისიაშიც აისახოს კოლეჯის საქმიანობა ამ მიმართულებითაც - ზრუნვა უწყვეტი განათლების დასანერგად.

1.1.1.2. სასურველია მისიაში ჩანდეს პერსონალის განვითარების მიმართ დამოკიდებულებაც, რაც მათთვის მოტივაციის გამომწვევი იქნება.

1.1.1.3. წარმოდგენილი ხედვა, საკმაოდ, კონკრეტულია და გამოარჩევს კოლეჯს სხვა პროფესიული სასწავლებლებისგან, რამდენადაც სამთო გამყოლის საგანმანათლებლო პროფესიულ პროგრამას, ამჟამად მხოლოდ ეს დაწესებულება ახორციელებს. მაგრამ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



რამდენადაც ამ პროფესიას ეუფლებიან არა მარტო რეგიონის წარმომადგენლები, რაც დადასტურდა მოქმედი სტუდენტების საქმის შესწავლითაც, სასურველია ხედვაში მითითებულ სამიზნე ჯგუფებს, სოფლად მცხოვრებებ მოსახლეობასთან ერთად, დაემატოს ზოგადად ამ პროფესიით დაინტერესებული პირები.

1.2.1.3. 2021 -2022 ს/წლის სამოქმედო გეგმის ფინანსური რესურსი გაწერილია საერთო ბიუჯეტში (პროგრამული დაფინანსება, მოკლევადიანი გადამზადების პროგრამები, მიზნობრივი გრანტი და ა.შ.). ექსპერტთა მოსაზრებით სასურველია ფინანსური რესურსი სამოქმედო გეგმაშიც გაიწეროს.

1.2.1.3 სამოქმედო გეგმებში გადაიხედოს და დაიხვეწოს წარმოდგენილი ინდიკატორები.

3.1.1.5. სასურველია უფრო დეტალურად გაიწეროს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების პროცედურა. კერძოდ, დამატებით მიეთითოს პროცედურის მონაწილე პირები, ვადები და პროცესში პროფესიული სტუდენტის ჩართულობის აუცილებლობა, ვინაიდან ინდივიდუალური სასწავლო გეგმის მიზანი სწორედ პროფესიული სტუდენტის ინტერესების გათვალისწინებაა.

4.1.1.1. სასურველია ყველა საშტატო პოზიციის აღწერილობაში გაჩნდეს პუნქტი იმასთან დაკავშირებით, თუ ვინ შეცვლის ამა თუ იმ პოზიციაზე მყოფ პირს არ ყოფნის შემთხვევაში.

4.1.2.1. სკოლა/კოლეჯის შინაგანაწესი და პერსონალის მართვის პოლიტიკის დოკუმენტი რიგ შემთხვევაში არეგულირებს იდენტურ საკითხებს. მაგ: სამუშაოზე დაგვიანება, დასაქმებულის მიერ გაცდენილი სამუშაო დროის საპატიოდ ან არასაპატიოდ ჩათვლა, სამსახურში გამოუცხადებლობა და სხვა. შესაბამისად დაწესებულებას მიეცა განმავითარებელი რეკომენდაცია დოკუმენტებში საკითხების გამიჯვნასთან დაკავშირებით.

5.1.1.5. სკოლა/კოლეჯში შემუშავებულია და მოქმედებს კანონმდებლობით დადგენილი შრომის უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები. შესაბამის უფლებამოსილებას ახორციელებს დირექტორი. ექსპერტთა მიერ მას მიეცა განმავითარებელი რეკომენდაცია, იმასთან დაკავშირებით, რომ შეიმუშაოს სამუშაო გეგმა და ანგარიში წარადგინოს ყოველი წლის ბოლოს.

5.1.1.7. სკოლა/კოლეჯში შემუშავებულია რესურსების რეგულარული შეფასებისა და განვითარების გეგმის შემუშავების მეთოდოლოგია. სკოლის განკარგულებაში არსებული მატერიალური რესურსის, აღრიცხვას, შენახვას, განვითარებას და გამოყენების პროცესის მართვას ახორციელებს შესყიდვებისა და ლოჯისტიკის მენეჯერი ყოველწლიურად, რასაც ადასტურებს თავად მენეჯერი, თუმცა დოკუმენტში მითითებულია ფინანსურ მენეჯერი და მატერიალური რესურსებით უზრუნველყოფის კოორდინატორი. უნდა აღინიშნოს რომ ასეთი პოზიციები სკოლას ამ ეტაპზე არ აქვს. სკოლის წარმომადგენლებთან გასაუბრებით გაირკვა, რომ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



თბილისი, 2022

დოკუმენტში ტექნიკური შეცდომაა დაშვებული. შესაბამისად სკოლას მიეცა რეკომენდაცია, ტექნიკური ხარვეზის აღმოფხვრასთან დაკავშირებით,

5.2.1.1. დაწესებულების წარმომადგენლებთან გასაუბრებამ გვიჩვენა, რომ დაწესებულებაში არსებული კომპიუტერების რაოდენობა (10) პროგრამის სპეციფიკიდან გამომდინარე (სტუდენტები ძირითადად ველზე არიან გასულები) უზრუნველყოფს დაწესებულებაში ადმინისტრაციული და საგანმანათლებლო პროცესის შეუფერხებელ წარმართვას. თუმცა, ექსპერტთა მოსაზრებით, რამდენადაც სტუდენტთა რაოდენობა ჯგუფში 15 პირია, სასურველია დაემატოს რამდენიმე კომპიუტერი.

5.2.1.4. გასაუბრების შედეგებით ირკვევა რომ კოლეჯი რეგულარულად აფასებს საინფორმაციო ინფრასტრუქტურისა და IT პროცესების სისტემის ეფექტიანობას, თუმცა მათ ვერ წარმოადგინეს მონიტორინგის ამსახველი დოკუმენტაცია. შესაბამისად ექსპერტების მიერ გაიცა რეკომენდაცია, შემუშავდეს IT ტექნიკის მონიტორინგის გეგმა და ჩატარებული სამუშაოების შედეგების ანგარიშგება განხორციელდეს მოხსენებითი ბარათებით.

5.2.3.1. ვებგვერდზე ატვირთულია ყველა საჭირო ინფორმაცია, თუმცა მასზე მუშაობა სირთულეებს ქმნის, აქედან გამომდინარე სკოლას მიეცა რჩევა მის განახლებასთან და სტრუქტურირებასთან დაკავშირებით.

5.2.3.2. ვებგვერდის დათვალიერების შედეგებით და ადმინისტრაციასთან გასაუბრებით დგინდება, რომ დაწყებულია მუშაობა ვებგვერდის ინგლისურენოვან ვერსიაზე. ექსპერტთა შეფასებით, სასურველია დაჩქარდეს პროცესი.

2.2.1.4. ცალკე დოკუმენტად გაიწეროს პროგრამის ხელმძღვანელის უფლება მოვალეობები, რაც გაუადვილებს მას მუშაობის პროცესს, ხოლო მონიტორინგის შემთხვევაში გაადვილდება მისი მუშობის შეფასება.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

თბილისი, 2022

VIII. სტანდარტების შეფასება

1. **კოლეჯის მისია და სტრატეგიული განვითარება**

1.1 პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მისია

1.1.1 პსდ-ს გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცეში

1. პსდ-ს მისია შეესაბამება პროფესიული განათლების მიზნებს;
2. მისიით განსაზღვრულია დაწესებულების საქმიანობის ძირითადი მიმართულებები (პროფილი), მისი მახასიათებლები და როლი განათლების სისტემაში, რომლებიც განასხვავებენ მას სხვა პსდ-სგან;
3. დაწესებულების მისიიდან გამომდინარე განსაზღვრულია დაწესებულების ხედვა და ღირებულებები;
4. მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია დაინტერესებული მხარეების მიერ და საჯაროდაა ხელმისაწვდომი.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. მისიის თანახმად დაწესებულება მიზნად ისახავს თავისი საქმიანობით ხელი შეუწყოს საქართველოს ტურისტულ რეგიონებში პროფესიული განათლების ხელმისაწვდომობის ზრდას და ხარისხიანი განათლების მიწოდებას პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების გზით, პროფესიული სტუდენტების ინტერესების პრიორიტეტულობის აღიარებით, რომლებსაც ეყვარებათ, გაუფრთხილდებიან და დაიცავენ თავისი ქვეყნის ეროვნულ და კულტურულ ფასეულობებს, მატერიალურ და ბუნებრივ რესურსებს; საერთაშორისო სტანდარტებით უზრუნველყოფენ სტუმრების უსაფრთხოებას, კომფორტსა და კმაყოფილებას; განვითარდებიან, როგორც პროფესიონალები, დამსაქმებლები და მეწარმეები, გააუმჯობესებენ ოჯახების, თემის და ქვეყნის სოციალური და ეკონომიკური მდგომარეობას.

   მისიიდან ჩანს, რომ კოლეჯს კარგად აქვს გააზრებულია საკუთარი როლი საგამანათლებლო სივრცეში და მიზნად ისახავს ტურიზმის მიმართულებით შრომის ბაზარზე ორიენტირებული, კონკურენტუნარიანი, კვალიფიციური კადრების მომზადების უზრუნველყოფას, ასევე ინდივიდის დასაქმების, მათ შორის, საკუთარი ბიზნესის წამოწყებისა თუ თვითდასაქმების, ხელშეწყობას. შესაბამისად სათავგადასავლო ტურიზმის სკოლის მისია შეესაბამება პროფესიული განათლების მიზნებს. ის შემუშავებულია „ა(ა)იპ სათავგადასავლო ტურიზმის სკოლის სტრატეგიული გეგმის შედგენის მეთოდოლოგიის“ თანახმად, რომელიც ითვალისწინებს მისიის მომზადებას გუნდური ძალისხმევით და როგორც ორგანიზაციის ყველა თანამშრომლის ასევე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაინტერესებული მხარეების ჩართულობით, რაც დასტურდება წარმოდგენილი ოქმებითა და შეხვედრების ამსახველი დოკუმენტაციით.

2. **მისიით განსაზღვრულია დაწესებულების საქმიანობის ძირითადი მიმართულება (პროფილი) - ტურიზმი.** მისიიდან ჩანს, რომ ამ მიმართულებით მუშაობის დროს სკოლა/კოლეჯი პრიორიტეტს ანიჭებს და ფოკუსირებულია საზოგადოებრივ სიკეთეზე, რაც გულისხმობს ქვეყნის ეროვნული და კულტურული ფასეულობების, მატერიალური და ბუნებრივი რესურსების დაფასებასა და გაფრთხილებას, მისია ფოკუსირებულია - ქვეყნის ეკონომიკურ ზრდაზე, რაც გამოიხატება პროფესიული სტუდენტებში მეწარმეობის უნარ - ჩვევების განვითარებაზე. განსაზღვრულია ასევე სკოლა/კოლეჯის როლი განათლების სისტემაში, რაც გულისხმობს საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი, კვალიფიციური, კომპეტენტური კადრების მომზადებას, რომლებიც ორიენტირებული იქნებიან ტურისტების უსაფრთხოებაზე, კომფორტსა და კმაყოფილებაზე.

<u>**განმავითარებელი რეკომენდაცია:**</u>

- სკოლა/კოლეჯი <u>ახორციელებს მოკლევადიან მომზადება/გადამზადების პროგრამებსაც, ამდენად, სასურველია მისიაშიც აისახოს კოლეჯის საქმიანობა ამ მიმართულებითაც - ზრუნვა უწყვეტი განათლების დასანერგად.</u>
- <u>სასურველია მისიაში ჩანდეს პერსონალის განვითარების მიმართ დამოკიდებულებაც, რაც მათთვის მოტივაციის გამომწვევი იქნება.</u>

3. **დაწესებულების ხედვა და ღირებულებები გამომდინარეობს დაწესებულების მისიიდან -** სკოლა/კოლეჯის **ხედვაა** - 2030 წლისთვის წარმოადგენდეს საქართველოში ლიდერ პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებას, რომელიც ეროვნულ და საერთაშორისო შრომის ბაზარს მოამარაგებს მაღალკვალიფიციური კადრებით, რითაც ხელს შევუწყობს საქართველოს სამთო გამყოლების საერთაშორისო აღიარებას და სკოლის, ასოციაციის გაწევრიანებას საერთაშორისო ფედერაციაში (IFMGA/UIAGM/IVBV), რაც თავის მხრივ მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაში, რომელიც სოფლად მცხოვრები ათასობით ახალგაზრდა მამაკაცისა და ქალისთვის გახდება გზა: ძირითადი კომპეტენციებიდან საერთაშორისო კომპეტენციებამდე სერთიფიკატებამდე; ძირითადი უნარებიდან ტოპ-საერთაშორისო სტანდარტების პროფესიებამდე; ინდუსტრიაში ყველაზე დაბალანაზღაურებადი სამუშაოებიდან ყველაზე მაღალანაზღაურებად სამუშაოებამდე; დასაქმებულიდან თვითდასაქმებულამდე; იზოლაციიდან სოციალიზაციამდე; დამოკიდებულებიდან თავისუფლებამდე.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

თბილისი, 2022

ღირებულებებია: პროფესიონალიზმი, კეთილსინდისიერება, სამართლიანობა, უწყვეტი განვითარება, პასუხისმგებლობა, ეფექტიანი მართვა, ინოვაციების დანერგვა, ტოლერანტობა, უსაფრთხოების უზენაესობა, ეთიკის და ქცევის კოდექსის დაცვა, ბუნებრივი და სოციალური გარემოს პატივისცემა და დაცვა, გუნდური მუშაობა, საჯაროობა.

ხედვა საკმაოდ, კონკრეტულია და გამოარჩევს კოლეჯს სხვა პროფესიული სასწავლებლებისგან, რამდენადაც სამთო გამყოლის საგანმანათლებლო პროფესიულ პროგრამას, ამჟამად მხოლოდ ეს დაწესებულება ახორციელებს. მასში ნათლად არის წარმოდგენილო თუ რა მიზნები აქვს და რისკენ ისწრაფვის კოლეჯი სამომავლოდ. დაკონკრეტებულია ვადაც 2030 წელი, რა პერიოდისთვისაც კოლეჯს მიაჩნია, რომ იქნება ლიდერი პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება, რომელიც ეროვნულ და საერთაშორისო შრომის ბაზარს მოამარაგებს მაღალკვალიფიციური კადრებით, რითაც ხელს შეუწყობს საქართველოს სამთო გამყოლების საერთაშორისო აღიარებას. ის, რომ ხედვაში ასახული მიზნები მიღწევადია, ჩანს კოლეჯის მიერ შემუშავებული სტრატეგიული გეგმიდან, რომელში გაწერილი ამოცანები, სწორედ ამ მიზნის მიღწევას ემსახურება. მაგ: 2.1.საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავება/განვითარება მეთოდოლოგიის შესაბამისად საერთაშორისო და ეროვნული სტანდარტების მოთხოვნათა მიხედვით; 2.3 საერთაშორისო და ეროვნული სტანდარტების მოთხოვნათა შესაბამისი სასწავლო-მეთოდური მასალის შემუშავება; 2.4. სასწავლო პროცესში თანამედროვე ტექნოლოგიებისა და ინოვაციების დანერგვა; 2.5.ხარისხიანი პროფესიული განათლებისა და კვალიფიკაციის მუდმივი ამაღლების უზრუნველყოფა; 4. 1. ორგანიზაციის თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისად ინსტიტუციური მოწყობის რეფორმირება; 5.3. საუკეთესო ექსპერტების, დასაქმებულების მოზიდვა/ჩართვა სასერტიფიკატო პროგრამების შემუშავების პროცესში; 6.5. კურსდამთავრებულთა დასაქმებასთან დაკავშირებით კვლევების ჩატარება/ანალიზი და სხვა.

კოლეჯის წარმომადგენლებთან გასაუბრების შედეგებით და სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმებში ასახული განსახორციელებელი ამოცანების გაცნობის შედეგად (3.2. პერსონალის კომპეტენციის ამაღლება დაწესებულების მართვით პროცესებში ჩართულობასთან დაკავშირებით; 3.3. პერსონალის პროფესიული და პიროვნული განვითარება; 4.8. დაწესებულებაში პროფესიულ სტუდენტთა, პერსონალის უსაფრთხოების და ჯანმრთელობის დაცვის მექანიზმები; 6.2. სტუდენტური აქტივობების - პროფესიული, სპორტული, ხელოვნების, შემეცნებითი - ორგანიზება და წახალისება და სხვა) დგინდება, რომ კოლეჯის მიერ **გაცხადებულ ღირებულებებში აღწერილი ინფორმაცია** გააზრებულია კოლეჯის მიერ და მათში გადმოცემულია ის ძირითადი პრინციპები, რომელზე დაყრდნობითაც კოლეჯი გეგმავს მისიაში და ხედვაში ასახული მიზნების მიღწევას. ეს ღირებულებებია: პროფესიონალიზმი, კეთილსინდისიერება, სამართლიანობა, უწყვეტი განვითარება, პასუხისმგებლობა, ეფექტიანი მართვა,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

თბილისი, 2022

ინოვაციების დანერგვა, ტოლერანტობა, უსაფრთხოების უზენაესობა, ეთიკის და ქცევის კოდექსის დაცვა, ბუნებრივი და სოციალური გარემოს პატივისცემა და დაცვა, გუნდური მუშაობა, საჯაროობა.

განმავითარებელი რეკომენდაცია: <u>რამდენადაც ამ პროფესიას ეუფლებიან არა მარტო რეგიონის წარმომადგენლები, რაც დადასტურდა მოქმედი სტუდენტების საქმის შესწავლითაც, სასურველია ხედვაში მითითებული სამიზნე ჯგუფებს, სოფლად მცხოვრებებ მოსახლეობასთან ერთად, დაემატოს ზოგადად ამ პროფესიით დაინტერესებული პირები.</u>

4. შესწავლილი დოკუმენტაციის - 2019 წლის შეხვედრების ოქმების (როცა შემუშავდა მისია, ხედვა და ღირებულებები), ასევე 2022 წლის (განხორციელდა მისიის ხედვის და ღირებულებების გადახედვა) ონლაინ შეხვედრების ამსახველი ოქმების, ფოტომასალის და გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ მისიის, ხედვის, ღირებულებების შემუშავება სკოლა/კოლეჯში განხორციელდა კოლეჯის მიერ შემუშავებული „ა(ა)იპ სათავგადასავლო ტურიზმის სკოლის სტრატეგიული გეგმის შედგენის მეთოდოლოგიის“ შესაბამისად, გუნდურად, ორგანიზაციის თანამშრომლების ჩართულობით, რომლებიც გაერთიანებულნი იყვნენ დირექტორის ბრძანებით შექმნილ სამუშაო ჯგუფში. სამუშაო ჯგუფში შედიოდნენ: ადმინისტრაცია, პროფესიული განათლების მასწავლებლები და რამდენიმე პროფესიული სტუდენტი.

მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია დაინტერესებული მხარეების მიერ და საჯაროდაა ხელმისაწვდომი, რასაც ადასტურებს ვებ-გვერდზე განთავსებულ დებულებაში და კატალოგში, ასევე ცალკე თავად მოცემული ინფორმაცია. მისიის ხედვის და ღირებულებების გაცნობა განხორციელდა ასევე ადმინისტრაციის წარმომადგენლების, პერსონალის, პროგრამის ხელმძღვანელის, განმახორციელებლების და პროფესიული სტუდენტების ჩართულობით, რაც დადასტურდა ონლაინ შეხვედრების ფოტომასალით და წარმოდგენილი ოქმით N05/3, 03.03.2022.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- სკოლის ვებ გვერდზე გამოქვეყნებული მისია, ხედვა და ღირებულებები;
- სამუშაო ჯგუფის ოქმი;
- „ა(ა)იპ სათავგადასავლო ტურიზმის სკოლის სტრატეგიული გეგმის შედგენის მეთოდოლოგია“
- კოლეჯის დირექტორის ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტი სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

თბილისი, 2022

- ფოტომასალა;
- ონლაინ შეხვედრების ამსახველი ფოტომასალა;
- შეხვედრების ოქმები;
- სათავგადასავლო სკოლის დებულება.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

1.2 პსდ-ს სტრატეგიული განვითარება

1.2.1 პსდ-ში დანერგილია დაგეგმვის პრაქტიკა

1. პსდ განსაზღვრავს სტრატეგიული დაგეგმარების, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგიას, რომლითაც ხელმძღვანელობს შვიდწლიანი, ციკლური სტრატეგიული განვითარებისა და ერთწლიანი სამოქმედო გეგმების შემუშავებისას;
2. სტრატეგიული დაგეგმარება თანამონაწილეობითი პროცესია და ითვალისწინებს ქვეყნის/რეგიონის/თემის პრიორიტეტებს და დაინტერესებული მხარეების მოლოდინს;
3. დაგეგმვისას დაწესებულება განსაზღვრავს მისიასთან თავსებად მიზნებს, ამ მიზნების შესაბამის ამოცანებს, განხორციელების ვადებს და შესრულების ინდიკატორებს; ასევე სამოქმედო გეგმის შედგენისას დაწესებულება განსაზღვრავს განსახორციელებელ აქტივობებს და საჭირო რესურსებს.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლა/კოლეჯში შემუშავებული - ა(ა)იპ სათავგადასავლო ტურიზმის სკოლის სტრატეგიული გეგმის შედგენის მეთოდოლოგიის მიხედვით, რომელიც დამტკიცებულია ტურიზმის სკოლის დირექტორის 2020 წლის 7 აპრილის N04/137-1 ბრძანებით, იხელმძღვანელა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კოლეჯმა შვიდწლიანი სტრატეგიული განვითარებისა და ერთწლიანი სამოქმედო გეგმების შემუშავებისას. მეთოდოლოგია დეტალურად აღწერს და განმარტავს დაგეგმარების მიმართულებებს, შემუშავების, განხილვის, დამტკიცებისა და მათში ცვლილებების შეტანის, გაზიარების მექანიზმებს. ასევე, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის მონიტორინგსა და ანგარიშგებასთან დაკავშირებულ საკითხებს. მეთოდოლოგიით განსაზღვრულია და მასში დეტალურადაა აღწერილი SWOT ანალიზის შემუშავების პროცედურები. სქემატურად გამოხატულია გეგმების ფორმები, აღწერილია სტრატეგიული მიზნების, ამოცანების და შესრულების ინდიკატორების მახასიათებლები - კონკრეტული, გაზომვადი, მიღწევადი, რელევანტური, დროში გაწერილი. წარმოდგენილი გეგმები შემუშავებულია სწორედ წარმოდგენილი მეთოდოლოგიის გათვალისწინებით და სტრატეგიული გეგმა - 2019-2026 ს.წ. -დამტკიცებულია დაწესებულების დირექტორის მიერ - ბრძანება - N04-137-1, 07.04. 2020 წ. ცვლილება- N04-8, 15.03.2022 წ., ხოლო სამოქმედო გეგმა დამტკიცებულია დირექტორის 2021 წლის, 6.08. N.04-180-2. ბრძანებით.

2. წარმოდგენილი დაგეგმარების მეთოდოლოგიის თანახმად ორგანიზაციის სტრატეგიული გეგმის შედგენისას გათვალისწინებული იყო ქვეყნის/რეგიონის/თემის პრიორიტეტები და დაინტერესებული მხარეების მოლოდინი. აღნიშნულის უზრუნველსაყოფად, დაწესებულებამ გაითვალისწინა ქვეყნის სტრატეგიული გეგმები ტურიზმის და კერძოდ მთის ტურიზმის მიმართულებით, საერთაშორისო ბაზარზე საქართველოს, როგორც უნიკალური ტურისტული ქვეყნის პოზიციონირება, ტურისტების რაოდენობის ზრდა, საქართველოს სამთო გამყოლთა ასოციაციის საერთაშორისო ფედერაციის მოთხოვნები, რომლის წევრიც თავადაც არის და დაგეგმვის პროცესის ყველა კომპონენტი შეიმუშავა გუნდურად, ორგანიზაციის თანამშრომლების ჩართულობით, რომლებიც გაერთიანებულნი იყვნენ დირექტორის ბრძანებით შექმნილ სამუშაო ჯგუფში. სამუშაო ჯგუფში შედიოდნენ: კოლეჯის ადმინისტრაცია, პროფესიული განათლების მასწავლებლები და პროფესიული სტუდენტი. სამუშაო ჯგუფმა სტრატეგიული გეგმის შედგენისთვის გამოიყენა SWOT ანალიზი, რისთვისაც განახორციელა კოლეჯის შიდა საჭიროებების შეფასება და გარე ფაქტორების ანალიზი. პირველ რიგში კოლეჯის პერსონალთა მონაწილეობით გადაიხედა კოლეჯის არსებული მისია, ხედვა და ღირებულებები. შემდეგ ერთობლივად შემუშავდა სტრატეგიული განვითარების ძირითადი მიზნები და შესასრულებელი ამოცანები, რომლებშიც გაითვალისწინეს ის სუსტი მხარეები და შესაძლებლობები, რომლებიც SWOT ანალიზის დროს გამოიკვეთა. შესაბამისად სტრატეგიული გეგმა გახდა ერთწლიანი სამოქმედო გეგმის შემუშავების საფუძველი. შემუშავებული სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის პროექტები დამტკიცებამდე განხილულ იქნა დაინტერესებულ მხარეებთან ონლაინ შეხვედრების ფორმატში, რაც დასტურდება წარმოდგენილი ელექტრონული მიმოწერით, შეხვედრების ოქმებით, შეხვედრების ამსახველი ფოტომასალით, დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



თბილისი, 2022

3. როგორც უკვე აღინიშნა, სტრატეგიული დაგეგმვისას დაწესებულებამ განსაზღვრა მისიასთან თავსებადი სტრატეგიული მიზნები, ამ მიზნების შესაბამის ამოცანები, განხორციელების ვადები და შესრულების ინდიკატორები; წარმოდგენილ სტრატეგიული განვითარების გეგმაში 6 ძირითადი მიზანია წარმოდგენილი: შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი პროფესიული სტუდენტების მომზადება; სწავლა/სწავლების პროცესის განვითარება; პერსონალის განვითარება; ინსტიტუციური განვითარება; უწყვეტი განათლება; პროფესიულ სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა მხარდაჭერა.

2021 -2022 ს/წლის სამოქმედო გეგმაში წარმოდგენილია მიზნები, ამოცანები, აქტივობები, განხორციელების ვადები, რესურსები, ინდიკატორები, პასუხიმგებელი პირები და შემსრულებლები. ფინანსური რესურსი გაწერილია საერთო ბიუჯეტში (პროგრამული დაფინანსება, მოკლევადიანი გადამზადების პროგრამები, მიზნობრივი გრანტი და ა.შ.). ექსპერტთა მოსაზრებით <u>სასურველია სამოქმედო გეგმაშიც აისახოს ფინანსური უზრუნველყოფა, რასთან დაკავშირებითაც კოლეჯს მიეცა განმავითარებელი რეკომენდაცია.</u>

ექსპერტების მიერ სამოქმედო გეგმის ანალიზის შედეგად გამოიკვეთა, რომ ძირითადში შესრულების კრიტერიუმები სწორად არის ფორმულირებული და გაზომვადია, რაც კოლეჯის მიერ შემუშავებული მეთოდოლოგიითაც არის განსაზღვრული. თუმცა რამდენიმე შემთხვევაში შესრულების ინდიკატორები საჭიროებს დახვეწას. **მაგ: ამოცანა** 2.3. ახალი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება/დანერგვა, **აქტივობა 1 -** ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/პროგრამების ადაპტირება **შესრულების ინდიკატორი -** ადაპტირებული პროფესიული პროგრამები.

აქტივობა 2 - ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/პროგრამების საავტორიზაციოდ მომზადება, თვითშეფასების მომზადება. **შესრულების ინდიკატორი -** პროფესიული პროგრამები.

აქტივობა 3 - ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/პროგრამების დამატება/ავტორიზაცია. **შესრულების ინდიკატორი -** პროფესიული პროგრამები, თვითშეფასება.

როგორც მოყვანილი მაგალითებიდან ჩანს შესრულების ინდიკატორებში არ ჩანს, თუ დასახული ამოცანები რა ხარისხით არის შესრულებული: სასურველია ჩანდეს მინიმუმ რამდენი და რომელი პროგრამის დამატება ჩაითვლება მიზნის მიღწევად.

დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად დადასტურდა ასევე, რომ სტრატეგიულ და სამოქმედო გეგმაში გაწერილი პასუხისმგებელი პირების მიერ შესასრულებელი ამოცანები/აქტივობები, თანხვედრაშია პერსონალის სამუშაო აღწერილობებთან/ფუნქციებთან.

<u>**განმავითარებელი რეკომენდაცია:** სამოქმედო გეგმებში გადაიხედოს და დაიხვეწოს წარმოდგენილი ინდიკატორები</u>

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



თბილისი, 2022

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ა(ა)იპ სათავგადასავლო ტურიზმის სკოლა -სტრატეგიული დაგეგმარების, მონიტორინგისა და შეფასები მეთოდოლოგია;
- დირექტორის მიერ დამტკიცებული სტრატეგიული განვითარების გეგმა, სამოქმედო გეგმა (ერთწლიანი);
- სტრატეგიული განვითარების გეგმის შემუშავების პროცესის დამადასტურებელი დოკუმენტები/აქტივობები;
- დაინტერესებულ მხარეებთან ინტერვიუს შედეგები.

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

1.2.2 პსდ-ში მოქმედებს გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა

1. პსდ ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგს და შეფასებას, მათ შორის დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით;
2. პსდ სათანადოდ რეაგირებს შეფასების შედეგებზე;
3. სამოქმედო გეგმის შესრულების შედეგები საჯაროდ ხელმისაწვდომია.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. კოლეჯი ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგს და შეფასებას, მათ შორის დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით, რაც განსაზღვრულია სტრატეგიული გეგმის შედგენის მეთოდოლოგიით. კოლეჯს შემუშავებული აქვს სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის მონიტორინგის მექანიზმები, რომელიც დამტკიცებულია ა(ა)იპ სათავგადასავლო ტურიზმის სკოლის დირექტორის 2020 წლის 7 აპრილის N04/137-1 ბრძანებით. მონიტორინგის განხორციელებაზე პასუხისმგებელი პირებია: ხარისხის მართვის მენეჯერი და დირექტორი, ხოლო სტრატეგიული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

და სამოქმედო გეგმით თითოეულ აქტივობაზე განსაზღვრული პასუხისმგებელი პირი/პირები ანგარიშვალდებულნი არიან დაწესებულების დირექტორის წინაშე. კოლეჯს განსაზღვრული აქვს გეგმიური (წლიური/კვარტალური ანგარიშები) და არაგეგმიური მონიტორინგის სახეები. 1) გეგმიური მონიტორინგი ხორციელდება სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული მოთხოვნების შესაბამისად: ა) კვარტლის დასრულებიდან 2 კვირის ვადაში ბ) წლის დასრულებიდან 1 თვის ვადაში 2) არაგეგმიური მონიტორინგი ხორციელდება წლის ნებისმიერ დროს მოთხოვნის შესაბამისად და მისი საფუძველი შეიძლება იყოს: ა) შემოსული ინფორმაციის დაზუსტება ბ) სამოქმედო გეგმაში ცვლილების შეტანა გ) სხვა გაუთვალისწინებელი შემთხვევები ვ) გეგმიური მონიტორინგის შედეგად მიღებული ინფორმაცია აისახება კვარტალურ/წლიურ ანგარიშში.
დაწესებულების წარმომადგენლებთან გასაუბრების შედეგებით და წლიური ანგარიშების შესწავლის საფუძველზე დგინდება, რომ მონიტორინგის პროცესში კოლეჯი სამ ერთმანეთთან დაკავშირებულ ნაბიჯს დგამს: მონაცემთა შეგროვება; ანალიზი; რეაგირების მოხდენა. პროცესი ეფუძნება, სამოქმედო გეგმის შემთხვევაში, თითოეულ აქტივობაზე პასუხისმგებელი პირების მიერ კვარტალური ანგარიშების წარდგენას, ხოლო სტრატეგიული გეგმის შემთხვევაში - წლიური ანგარიშების წარდგენას წერილობითი ფორმით, ბეჭდური სახით. მონიტორინგზე პასუხისმგებელი პირი თავის მხრივ ამზადებს მონიტორინგის კვარტალურ/წლიურ ჯამურ ანგარიშს, იწვევს სხდომას მომდევნო კვარტლის/წლის პირველ კვირაში და მონიტორინგის კვარტალურ/წლიურ ჯამურ ანგარიშს განსახილველად წარუდგენს სკოლის დირექტორს, ასევე თითოეულ აქტივობაზე პასუხისმგებელ პირებს. თითოეულ აქტივობაზე პასუხისმგებელი პირი/პირები წარდგენილ კვარტალურ/წლიურ ანგარიშში განსაზღვრავენ კონკრეტული ანგარიშის შესრულების ინდიკატორს, რაც გულისხმობს კი, არა, ნაწილობრივ შესრულდა და დასაბუთებას კონკრეტული აქტივობის არ/ნაწილობრივ/ვერ შესრულების შესახებ. ანგარიშის წარდგენის შემდეგ სკოლის დირექტორი გასცემს შესაბამის მითითებებს/რეკომენდაციებს კონკრეტული აქტივობის შემდგომ პერიოდში გადახედვაზე. მონიტორინგის კვარტალური/წლიური ჯამური ანგარიშის გათვალისწინებით სამოქმედო/სტრატეგიული გეგმის შემუშავებაზე პასუხისმგებელი პირი მონიტორინგზე პასუხისმგებელ პირთან ერთად ახდენს გეგმის კორექტირებას. კვარტლის/წლიური მონიტორინგის შედეგების ანალიზი გადაეცემა სამოქმედო/სტრატეგიული გეგმის შემუშავებაზე პასუხისმგებელ პირს, რომლის საფუძველზეც იქმნება შესაბამისი საბოლოო ანგარიში და ქვეყნდება სკოლის ოფიციალურ ვებგვერდზე.

კოლეჯის მიერ ჩატარებული 2021 ს/წლის მონიტორინგის ანგარიშის შესწავლის საფუძველზე დგინდება, რომ კოლეჯმა ჩაატარა გამოკითხვები წინასწარ შემუშავებული კითხვარებით: მასწავლებლის კითხვარი მოდულური პროფესიული პროგრამისთვის,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



თბილისი, 2022

პროფესიული სტუდენტის კითხვარი, ადმინისტრაციის, თანამშრომლების კითხვარი; კურსდამთავრებულთა კმაყოფილების კითხვარი; პარტნიორი კომპანიის კითხვარი; შემდეგ განხორციელდა კითხვარების ანალიზი, რომელიც განხილულ იქნა სხდომაზე და დიაგრამების და ანგარიშის სახით წარედგინა სათავგადასავლო ტურიზმის სკოლის დირექტორს. კოლეჯმა წარმოადგინა შესაბამისი ანგარიშები და შეხვედრების ამსახველი ოქმები. ექსპერტთა მიერ შემოწმდა წარმოდგენილი კითხვარები და შესაბამისი ანალიზი, რითაც დასტურდება, რომ მაგ. სტუდენტთა გამოკითხვაში მონაწილეობა მიიღო 28 რესპოდენტმა, რომელთა დაახლოებით 80% -მა, დადებითად უპასუხა დასმულ შეკითხვებს მაგალითად იმის თაობაზე - სამართლიანად ხდება თუ არა მასწავლებლების მიერ მათი ცოდნის შეფასება; ეხმარებათ თუ არა ბიბლიოთეკაში არსებული წიგნები დავალებების შესრულებაში და ცოდნის მიღებაში; როგორია სან-ჰიგიენური ინფრასტრუქტურა სასწავლებელში; პრაქტიკულ მეცადინეობაზე მიღებული ცოდნა არის თუ არა მათი მოთხოვნების შესაბამისი; სწავლის დროს მასწავლებელებისაგან მიღებული დავალებები ეხმარებათ თუ არა სასწავლო მიზნების/შედეგების და ხარისხიანი ცოდნის მიღწევაში და სხვა.

2. დირექტორის 2021 წლის ანგარიშის შესწავლის შედეგად გამოვლინდა, რომ მასში დეტალურად, თარიღების მიხედვით აღწერილია კოლეჯში სხვადასხვა მიმართულებებით ჩატარებული აქტივობები და ღონისძიებები. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ, მხარდაჭერის ექსპერტების ჩართულობით, შესწავლილი იქნა 2020 წელს კოლეჯის მიერ ცენტრში წარმოდგენილი თვითშეფასების ანგარიში და მომზადდა ანალიზის დოკუმენტი. აღნიშნულ დოკუმენტზე დაყრდნობით სკოლამ 2021 წლის განმავლობაში დაგეგმა მთელი რიგი ღონისძიებებისა. პერსონალმა და განმახორციელებლებმა მონაწილეობა მიიღეს ცენტრის მიერ ორგანიზებულ ტრენინგებში, საინფორმაციო შეხვედრებში, სემინარებში და კონსულტაციებში.

   მონიტორინგის შედეგებით გამოვლინდა ასევე: აუცილებელია რეგულაციების გადახედვის, ახალი რეგულაციების შემუშავების და ახალ სტანდარტებთან სრულად შესაბამისობაში მოყვანის აუცილებლობა, ახალი შენობის უსაფრთხოებასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის მოწესრიგება, დაწესებულების პერსონალის განვითარებაზე ზრუნვა, საინფორმაციო რესურსების გაუმჯობესება, სასწავლო პროცესის ორგანიზების და პროფესიულ სტუდენტთა შეფასების საკითხები პოსტპანდემიურ პერიოდში. გამოვლენილ საკითხებთან დაკავშირებით სკოლამ შემუშავა გაუმჯობესების გეგმა და დაიწყო გამოვლენილი საკითხების აღმფხვრის სამუშაოები.

   დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ სათავგადასავლო ტურიზმის სკოლა სათანადოდ რეაგირებს შეფასების შედეგებზე.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



თბილისი, 2022

3. როგორც დაწესებულების წარმომადგენლებთან გასაუბრებით დადგინდა, ყოველი სასწავლო წლის ბოლოს სკოლის საზოგადოებას წარედგინება ანგარიში, სადაც გაწერილია ის აქტივობები და ღონისძიებები, რაც განხორციელდა დაწესებულებაში. 2020 -2021 წლის სამოქმედო გეგმის შესრულების შედეგები განთავსებულია დაწესებულების ვებ-გვერდზე და საჯაროდაა ხელმისაწვდომი. ვებგვერდზე განთავსებულია ასევე 2018-2019 წლის ანგარიში.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3. პროფესიული სტუდენტები და მათი მხარდაჭერის ღონისძიებები

3.1 პროფესიული სტუდენტების უფლებების დაცვა

3.1.1 პროფესიული სტუდენტების უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

1. პსდ-ს შიდა რეგულაციებით უზრუნველყოფილია კანონით გათვალისწინებული პროფესიული სტუდენტის უფლებების დაცვა და გარანტიების უზრუნველყოფა;
2. პროფესიული სტუდენტები იცნობენ და იყენებენ მათ უფლებებსა და კანონიერი ინტერესების დაცვის მექანიზმებს;
3. პროფესიული სტუდენტები ინფორმირებულნი არიან შეფასების სისტემის შესახებ და საჭიროების შემთხვევაში, სარგებლობენ შეფასების შედეგების გასაჩივრების მექანიზმით;
4. პსდ-სა და პროფესიულ სტუდენტს შორის გაფორმებული ხელშეკრულებით დაცულია პროფესიული სტუდენტის უფლებები და კანონიერი ინტერესები, მათ შორის გათვალისწინებულია არასრულწლოვან პირებთან ხელშეკრულების დადების სპეციფიკა;
5. პსდ ინდივიდუალურ სასწავლო გეგმებს შეიმუშავებს და განახორციელებს შესაბამის პროფესიულ სტუდენტთა ჩართულობითა და მათი ინტერესების გათვალისწინებით, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. წარმოდგენილი მტკიცებულებები ადასტურებს, რომ **ა(ა)იპ სათავგადასავლო ტურიზმის სკოლის** პერსონალი მუშაობს სტუდენტების უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დასაცავად. პროფესიული სტუდენტების უფლებებთან და კანონიერ ინტერესებთან დაკავშირებული პროცედურები გაწერილია სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესში, პროფესიული სტუდენტების ჩარიცხვის წესსა და შინაგანაწესის დოკუმენტებში. სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი მოიცავს პროფესიული სტუდენტის სტატუსის მინიჭების, შეჩერების, შეწყვეტის, აღდგენის, მობილობის, განმეორებითი შეფასების, გასაჩივრების, პროგრამის ცვლილების შემთხვევაში დასრულების, მატერიალურ-ტექნიკური ბაზით, საინფორმაციო საშუალებებით, ბიბლიოთეკით და სხვა სასწავლო რესურსითა თუ სივრცეებით სარგებლობის, საჭიროების შემთხვევაში ინდივიდუალური სასწავლო გეგმით სარგებლობის და სხვა პროცედურებს, რომელიც არ ეწინააღმდეგება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 2 ივლისის №42/ნ („პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის წესი და პირობები“) ბრძანების მოთხოვნებს. დაწესებულებაში ჩარიცხვის შედეგების გასაჩივრების ფაქტები არ ვლინდება. ექსპერტთა ჯგუფის მიერ შესწავლილი იქნა სტატუსის ცვლილებასთან დაკავშირებული თითო, შერჩევითი მაგალითი, რის შედეგადაც დადგინდა, რომ პროცედურა ხორციელდება რეგულაციებში გაწერილი წესის შესაბამისად და არ ეწინააღმდეგება კანონმდებლობას. სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესში 2019 წლის 20 სექტემბრის №198/ნ („პროფესიული სტუდენტის მობილობის წესი“) ბრძანების თანახმად გაწერილია მობილობისა და პროფესიული სტუდენტის შემდგომი განათლებით

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

უზრუნველყოფის წესი, რომელიც ასევე მოიცავს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის, გაუქმების შემთხვევაში სტუდენტის შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმებს.

ექსპერტთა ჯგუფის მიერ მონაცემთა შეგროვებისა და შესწავლის შედეგად გამოიკვეთა, რომ დაწესებულებას არ აქვს მობილობის გამოცდილება. დოკუმენტში ასევე გაწერილია ფორმალური განათლების აღიარების პროცედურები. წესი ეთანხმება 2020 წლის 28 დეკემბრის №121/ნ („ფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების აღიარების წესი) ბრძანების მოთხოვნებს. კოლეჯის შინაგანაწესში პროფესიული განათლების შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად, გაწერილია პროფესიული სტუდენტის/ მსმენელის, ასევე არასრულწლოვანი პროფესიული სტუდენტის/ მსმენელის კანონიერი წარმომადგენლის უფლებები და მოვალეობები. დაწესებულებაში დაცულია სტუდენტის უფლება მატერიალურ-ტექნიკური ბაზით, საინფორმაციო საშუალებებით, ბიბლიოთეკითა და სხვა სასწავლო რესურსებით სარგებლობის შესახებ, რასაც მოწმობს სასწავლო პროცესის მასალებით/ნედლეულით შეუფერხებელი უზრუნველყოფის, სასწავლო პროცესის ფარგლებში შექმნილი პროდუქტის შენახვის და განკარგვის წესი, მატერიალური რესურსის გამოყენების/განკარგვის წესი, ასევე კოლეჯის ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი.

ვიზიტის დროს ექსპერტთა ჯგუფის მიერ ასევე შესწავლილი იქნა სტუდენტთა პირადი საქმეები, ხელშეკრულებები, შერჩევა, ჩარიცხვასთან დაკავშირებული დოკუმენტები, სტატუსის შეჩერება, შეწყვეტა, აღდგენის მაგალითები. აღსანიშნავია, რომ დოკუმენტაცია შედგენილი იყო წესის შესაბამისად და ასახავდა რეგულაციებით გაწერილ პროცედურებს. დაწესებულების მიერ განხორციელებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სპეციფიკიდან გამომდინარე, კოლეჯს არ ჰყავს არასრულწლოვანი პროფესიული სტუდენტები. რეგულაციების ანალიზისა, პრაქტიკული მაგალითების განხილვის და პროფესიულ სტუდენტებთან გასაუბრების შედეგად დადგინდა, რომ სკოლას კონკრეტულად, მკაფიოდ და კანონის შესაბამისად აქვს გაწერილი შიდა რეგულაციები და უზრუნველყოფილია კანონით გათვალისწინებული პროფესიული სტუდენტის უფლებების დაცვა და გარანტიების უზრუნველყოფა.

2. ა(ა)იპ სათავგადასავლო ტურიზმის სკოლის მოქმედ სტუდენტებთან გასაუბრების შედეგებით დგინდება, რომ ისინი კარგად იცნობენ საკუთარ უფლებებს: მიიღონ ხარისხიანი პროფესიული განათლება; დაცული იყვნენ არასათანადო მოპყრობის, უყურადღებობისა და შეურაცხყოფისაგან; გამოთქვან საკუთარი აზრი და მოითხოვონ პატივისცემა; გამოთქვან პროტესტი და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



თბილისი, 2022

წერილობით გაასაჩივრონ კოლეჯის დირექტორთან - კოლეჯში დასაქმებულის ან/და პროფესიული სტუდენტის არამართლზომიერი ქმედება; კოლეჯის არამართლზომიერი ქმედება გაასაჩივრონ საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით; ისარგებლონ პროფესიული სტუდენტის მობილობის უფლებით; ისარგებლონ კოლეჯის მატერიალურ-ტექნიკური ბაზით, ბიბლიოთეკით, ინტერნეტით და სხვა საშუალებებით; მოითხოვონ პროფესიული განათლების მასწავლებლებისგან/სასწავლო პროცესის მონაწილეთაგან მათთვის დაკისრებული მოვალეობების შესრულება; მოითხოვონ ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების სამართლიანი შეფასება; მიიღონ დეტალური ინფორმაცია სასწავლო განრიგის, სწავლის შედეგების, შეფასების ორგანიზებისა და წარმართვის შესახებ; გამოიყენონ შეფასების გასაჩივრების და განმეორებით შეფასებაზე გასვლის უფლება და სხვა.

ვიზიტის დროს ექსპერტთა ჯგუფის მიერ გარემოს დათვალიერების დროს გამოიკვეთა, რომ სტუდენტთა უფლებები და მოვალეობები დაწესებულებას გამოკრული აქვს საჯარო სივრცეში, ასევე, განთავსებულია კოლეჯის ვებგვერდსა და facebook გვერდზე. პროფესიულ სტუდენტთა განმარტებით, კოლეჯის წარმომადგენლებმა, პირველსავე სასწავლო დღეს გააცნეს მათ სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესითა და შინაგანაწესით განსაზღვრულ წესები, შესაბამისი რეგულაციები და მათი უფლება/მოვალეობები. გააცნეს ასევე კოლეჯის ვებგვერდი და facebook გვერდი. პროფესიულ სტუდენტთა განმარტებით ყველა ამ გვერდზე ატვირთულია სასწავლო შინაგანაწესი და სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი, ასევე, ისინი მყისიერად იღებენ მათთვის ყველა მნიშვნელოვან ინფორმაციას კოლეჯის ადმინისტრაციისგან მეცადინეობის განრიგის, შეფასების ინსტრუმენტების თუ სხვა მნიშვნელოვანი საკითხების შესახებ.

დაწესებულებას არ ჰქონია შეფასების გასაჩივრების ან განმეორებითი შეფასების შემთხვევები.

3. წარმოდგენილ „სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესის“ მე-11 მუხლში მკაფიოდ და ნათლად არის წარმოდგენილი ინფორმაცია შეფასების სისტემის შესახებ. წესის შესაბამისად, პროფესიული სტუდენტის შეფასება მის მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული ცოდნისა და უნარების ფლობის დადასტურების პროცესი. კოლეჯში არსებობს პროფესიული სტუდენტის მიღწევების ორი შეფასება - განმავითარებელი და განმსაზღვრელი. განმავითარებელი შეფასება სწავლის პროცესის შეფასებაა, რომელიც აკონტროლებს პროფესიული სტუდენტის განვითარების დინამიკას და მისი მიზანია პროფესიული სტუდენტის დახმარება უკუკავშირის მიწოდების გზით. განმავითარებელი შეფასება საკონტაქტო საათის აქტივობათა განუყოფელი ნაწილია და ის ხორციელდება პროფესიული განათლების მასწავლებლის გადაწყვეტილების შესაბამისად. განმსაზღვრელი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



თბილისი, 2022

შეფასება ემსახურება მიღწეული სწავლის შედეგის ან შედეგების ერთობლიობის საბოლოო შეფასებას მოდულით განსაზღვრული შესრულების კრიტერიუმების შესაბამისად. ის ითვალისწინებს მხოლოდ ჩათვლის პრინციპებზე დაფუძნებული (კომპეტენციების დადასტურებაზე დაფუძნებული) სისტემის გამოყენებას და უშვებს შემდეგი ორი ტიპის შეფასებას სწავლის შედეგი დადასტურდა, სწავლის შედეგი ვერ დადასტურდა. განმსაზღვრელ შეფასებამდე 3 სამუშაო დღით ადრე შესაბამისი პროფესიული განათლების მასწავლებელი ახორციელებს პროფესიული სტუდენტების დეტალურ ინფორმირებას შეფასების პროცედურისა და ინსტრუმენტის/ინსტრუმენტების შესახებ. მოდულის დასრულების შემდგომ, პროფესიული სტუდენტის მიერ სწავლის შედეგის/შედეგების დაუდასტურებლობის შემთხვევაში, არაუგვიანეს 2 კვირის ვადაში (არ იგულისხმება წინმსწრები მოდული) მოდულის განმახორციელებელი სასწავლო პროცესის მენეჯერთან შეთანხმებით ნიშნავს განმეორებითი განმსაზღვრელი შეფასების თარიღს და ახდენს შესაბამისი პროფესიული სტუდენტის/სტუდენტების ინფორმირებას. პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს შეფასების შედეგის გაცნობიდან 3 სამუშაო დღის განმავლობაში აპელაციის წესით ერთჯერადად გაასაჩივროს აღნიშნული შეფასება დირექტორის სახელზე წარდგენილი პირადი/კანონიერი წარმომადგენლის/მხარდამჭერის საჩივრის საფუძველზე. მოცემულ შემთხვევაში საჩივარის რეგისტრაციიდან სამი სამუშაო დღის განმავლობაში საქმისწარმოების მენეჯერი ამოწმებს აღნიშნული საჩივრის შესაბამისობას საქართველოს კანონით „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით“ დადგენილ მოთხოვნებთან (თუ კი საჩივარი შეუსაბამოა აღნიშნულ მოთხოვნებთან, საქმის მწარმოებელი წერილობით განუსაზღვრავს საჩივრის ავტორს 5 დღის ვადას ხარვეზის გამოსწორებისათვის), რის შემდგომაც დირექტორის ბრძანების საფუძველზე იქმნება სააპელაციო კომისია და განისაზღვრება საკითხის განხილვის ვადა, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს ორ კვირას. განხილვის დაწყების შესახებ დაუყონებლივ ეცნობება საჩივრის ავტორს და განემარტება მისი უფლებები და მოვალეობები აღნიშნული განხილვის ფარგლებში. სააპელაციო კომისიის შემადგენლობაში შედიან: დირექტორი, დირექტორის მოადგილე, ხარისხის მართვის მენეჯერი, სასწავლო პროცესის მენეჯერი, პროფესიული სტუდენტი (პროფესიული სტუდენტი არ უნდა იყოს სააპელაციო განაცხადის წარმდგენი პროფესიული სტუდენტის თანაჯგუფელი), დარგის სპეციალისტი - პროფესიული განათლების მასწავლებელ(ებ)ი (პროფესიული განათლების მასწავლებელის შემთხვევაში უნდა გამოირიცხოს ინტერესთა კონფლიქტი). კომისია პროფესიული სტუდენტის განცხადების სრულყოფილად და სამართლიანად განხილვის მიზნით გადახედავს და აფასებს შესრულების მტკიცებულებას ან თავიდან აფასებს პროფესიულ სტუდენტს განმსაზღვრელი შეფასებით, რომლის შედეგების საფუძველზე საოქმო დადგენილების სახით აფორმებს პასუხს პროფესიული სტუდენტის განცხადებაზე. აღნიშნული პასუხი პროფესიულ სტუდენტს უნდა ეცნობოს დაუყოვნებლივ.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

თბილისი, 2022

პროფესიული სტუდენტისათვის სწავლის შედეგის დადასტურების/შეფასების გასაჩივრების პროცედურა ატვირთულია კოლეჯის ვებგვერდზე. პროფესიულ სტუდენტებთან გასაუბრების შედეგად დადგინდა, რომ ისინი იცნობენ ზემოაღნიშნულ პროცედურას და იციან საკუთარი უფლებებიც. მტკიცებულების სახით კოლეჯმა წარმოადგინა შეფასების დოკუმენტაცია რომლებიც სრულად შეესაბამება კოლეჯში არსებულ წესებს.

4. ექსპერტების მიერ შესწავლილ იქნა სტუდენტებთან გაფორმებული ხელშეკრულების რამდენიმე ნიმუში, რომლითაც დადგინდა, რომ მათში გათვალისწინებულია ყველა სავალდებულო პუნქტი - სტუდენტის უფლებები და კანონიერი ინტერესები. ხელშეკრულებებს ხელს აწერენ კოლეჯის დირექტორი და პროფესიული სტუდენტი. კოლეჯის მიერ განხორციელებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „სამთო გამყოლის“ სპეციფიკიდან გამომდინარე, კოლეჯს არ ჰყავს არასრულწლოვანი სტუდენტები.
ექსპერტთა შეფასებით კოლეჯსა და პროფესიულ სტუდენტს შორის გაფორმებული ხელშეკრულებით დაცულია პროფესიული სტუდენტის უფლებები და კანონიერი ინტერესები.

5. კოლეჯში ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავება განსაზღვრულია სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესში. დოკუმენტის თანახმად ინდივიდუალური სასწავლო გეგმის საჭიროება დგება შემდეგ შემთხვევებში: თუკი პროფესიული სტუდენტის მიერ სტატუსის აღდგენა განხორციელდა ისეთ პერიოდში, როდესაც პროგრამის ცვლილებიდან გამომდინარე, ვერ ხერხდება კრედიტების სრულყოფილად ათვისება, სკოლა იღებს გადაწყვეტილებას პროფესიული სტუდენტისთვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების შესახებ; მობილობით ჩარიცხული პროფესიული სტუდენტის შემთხვევაში. ექსპერტთათვის დაწესებულების მიერ წარდგენილი დოკუმენტაციითა და გასაუბრებებით დგინდება რომ კოლეჯში არ არსებობს ინდივიდუალური გეგმის შემუშავების პრაქტიკა.

განმავითარებელი რეკომენდაცია: სასურველია უფრო დეტალურად გაიწეროს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების პროცედურა. კერძოდ, სასურველია, დამატებით მიეთითოს პროცედურის მონაწილე პირები, ვადები და პროცესში პროფესიული სტუდენტის ჩართულობის აუცილებლობა, ვინაიდან ინდივიდუალური სასწავლო გეგმის მიზანი სწორედ პროფესიული სტუდენტის ინტერესების დაცვაა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



თბილისი, 2022

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი;
- პროფესიული სტუდენტის ჩარიცხვის წესი;
- მატერიალური რესურსის გამოყენების/განკარგვის წესი;
- ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი;
- სასწავლო პროცესის მასალებით/ნედლეულით შეუფერხებელი უზრუნველყოფის, სასწავლო პროცესის ფარგლებში შექმნილი პროდუქტის შენახვის და განკარგვის წესი;
- დაწესებულების წარმომადგენლებთან და სტუდენტებთან ინტერვიუირების შედეგები;
- პროფესიულ სტუდენტებთან საინფორმაციო შეხვედრის ამსახველი ფოტოები;
- სტუდენტთა ხელშეკრულების ნიმუშები;
- სტუდენტის საქმე (ჩარიცხვა, კვალიფიკაციის მინიჭება);
- ვებ-გვერდზე გამოქვეყნებული მარეგულირებელი წესები.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.2 პროფესიული სტუდენტების მხარდაჭერის ღონისძიებები

3.2.1 პსდ-ში ფუნქციონირებს პროფესიული სტუდენტების მხარდაჭერის მომსახურება

1. პროფესიული სტუდენტი პსდ-სგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად;
2. პსდ სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს პროფესიულ სტუდენტთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

3. პსდ პროფესიულ სტუდენტს გონივრულ ვადაში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას;
4. პსდ უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და პროფესიული სტუდენტების ინიციატივების მხარდაჭერას;
5. პროფესიულ სტუდენტთა უკუკავშირის საფუძველზე დაწესებულება აუმჯობესებს პროფესიული სტუდენტების მომსახურეობას.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. კოლეჯის დირექტორის 2022 წლის 18 მარტის №04/11 ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიული სტუდენტის მხარდაჭერის მექანიზმების“ შესაბამისად, დაწესებულება ახორციელებს პროფესიული სტუდენტების აქტიურ მხარდაჭერას, რასაც ორგანიზებას უწევს დაწესებულების სასწავლო პროცესის მენეჯერი, პროფესიული სტუდენტი განმავითარებელი შეფასებების ეტაპზე დაწესებულებისგან მუდმივად იღებს სათანადო კონსულტაციებსა და მხარდაჭერას სწავლის მიღწევების გასაუმჯობესებლად. ამასთან, პროფესიული სტუდენტის/მსმენელის ინფორმირება შეფასების შედეგების შესახებ ხორციელდება ინდივიდუალურად, კონფიდენციალურობის დაცვით, რაც ასევე დაგვიდასტურეს სტუდენტებმა, გასაუბრების დროს.
   გასაუბრების შედეგებით სტუდენტები ადასტურებენ, რომ პროფესიული განათლების მასწავლებლისგან, ადმინისტრაციის წარმომადგენლებისგან სისტემატიურად ხორციელდება მათ საჭიროებებზე მორგებული საკონსულტაციო და მხარდამჭერი აქტივობები მათი აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად. შესაბამისად დადგინდა, რომ პროფესიული სტუდენტი იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად.

2. კოლეჯის დირექტორის 2022 წლის 18 მარტის №04/11 ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიული სტუდენტის მხარდაჭერის მექანიზმების“ მე-2 მუხლის შესაბამისად, დაწესებულება ახორციელებს პროფესიული სტუდენტების აქტიურ მხარდაჭერას, განსაკუთრებით სწავლების საწყის ეტაპზე და ასევე ნებისმიერ ეტაპზე, როცა მათი სასწავლო გარემო იცვლება. ახალი პროფესიული სტუდენტის სასწავლო გარემოსთან ადაპტირების პროცესს ორგანიზებას უწევს დაწესებულების სასწავლო პროცესის მენეჯერი, კერძოდ, მიღებულ პროფესიულ სტუდენტთა ყველა ნაკადის პირველივე სასწავლო დღეს ის გეგმავს და უზრუნველყოფს მათთან გაცნობით შეხვედრას, რომელშიც მონაწილეობენ: დაწესებულების დირექტორი, ხარისხის მართვის მენეჯერი, ადმინისტრაციის წარმომადგენლები, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი და პროფესიული განათლების მასწავლებლები. ამ შეხვედრას ხსნის დაწესებულების დირექტორი, რომელიც ახორციელებს პროფესიული სტუდენტების ინფორმირებას დაწესებულების მისიის, ხედვის, ღირებულებებისა და საქმიანობის ძირითადი პრინციპების შესახებ. რის შემდეგაც შეხვედრაში მონაწილე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

თბილისი, 2022

დაწესებულების სხვა თანამშრომლები აკეთებენ პრეზენტაციებს დაწესებულების სერვისებისა და ზოგადად არსებული შესაძლებლობების, პროფესიულ სტუდენტთა უფლებებისა და ვალდებულებების, სასწავლო პროცესის თავისებურებების, ქცევისა და ეთიკის ნორმების, უსაფრთხოებისა და სხვა წესების შესახებ, რომლებსაც პროფესიული სტუდენტები/კანონიერი წარმომადგენლები ადასტურებენ სპეციალურ ბლანკზე პირადი ხელმოწერით. აღნიშნული შეხვედრა სრულდება დაწესებულების შენობის დათვალიერებით. აღნიშნულის მტკიცებულებად დაწესებულებამ წარმოადგინა ფოტო მასალა.

პროფესიული სტუდენტები ექსპერტებთან ინტერვიუს დროს ადასტურებენ, რომ მათთვის სწავლის დაწყებამდე მოეწყო ღია კარის დღე, სადაც კოლეჯის ადმინისტრაციის წარმომადგენლებმა მიაწოდეს მათვის საჭირო ყველა ინფორმაცია. კოლეჯის ვებგვერდი და Facebook გვერდი და მოქმედი მარეგულირებელი აქტები, რომლებიც შეეხება პროფესიულ სტუდენტთა უფლებებსა და მოვალეობებს, ასევე, მიაწოდეს ინფორმაცია კოლეჯის ადმინისტრაციის იმ თანამშრომლების შესახებ, ვისგანაც საჭიროების შემთხვევაში შეუძლიათ მიიღონ სათანადო მხარდაჭერა.

შესაბამისად ექსპერტთა ჯგუფმა დაადგინა, რომ სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს პროფესიულ სტუდენტთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან.

3. კოლეჯის დირექტორის 2022 წლის 18 მარტის №04/11 ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიული სტუდენტის მხარდაჭერის მექანიზმების“ მე-3 მუხლის 1.5. პუნქტის შესაბამისად, პროფესიული სტუდენტთა ადმინისტრაციული მხარდაჭერა (ცნობის, სერტიფიკატის თუ დიპლომის გაცემა, შიდა თუ გარე მობილობის ხელშეწყობა, წინარე განათლების აღიარება, სააპელაციო საჩივრის განხილვა და სხვა.) ხორციელდება პროფესიული სტუდენტის მომართვიდან 2 კვირის განმავლობაში.
ექსპერტთა მიერ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი რამდენიმე შემთხვევის შეფასებით დგინდება, რომ დაწესებულება პროფესიულ სტუდენტს გონივრულ ვადაში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას.

4. კოლეჯის დირექტორის 2022 წლის 18 მარტის №04/11 ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიული სტუდენტის მხარდაჭერის მექანიზმების“ მე-4 მუხლით განსაზღვრულია დამატებითი/არაფორმალური აქტივობებისა და პროფესიული სტუდენტების ინიციატივების მხარდაჭერის მექანიზმები. კერძოდ, დაწესებულებაში მოქმედებს არაფორმალური აქტივობების წახალისებისა და პროფესიული სტუდენტების ინიციატივების მხარდაჭერის მექანიზმები, რომელთა მიზანია საკვანძო კომპეტენციების ფორმალური საგანმანათლებლო პროცესის მიღმა, ალტერნატიული გზებით გამომუშავების, პროფესიულ სტუდენტზე ორიენტირებული სასწავლო

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



თბილისი, 2022

პროცესისა დაა სასწავლო გარემოს განვითარების ხელშეწყობა. დაწესებულების ბიუჯეტში სტუდენტური ინიციატივების მხარდასაჭერად გათვალისწინებულია გარკვეული თანხა (აღნიშნული თანხა იცვლება დაწესებულის ბიუჯეტის ყოველწლიური ცვლილების მიხედვით), რომლის ფარგლებში დაწესებულება წლიურად აფინანსებს არანაკლებ 3 საუკეთესო ინიციატივას. კონკრეტული ინიციატივის მაქსიმალური ბიუჯეტი არ უნდა აღემატებოდეს 2000 ლარს. წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლისა და გასაუბრების შედეგად დადგინდა, რომ კოლეჯი აქტიურად ახორციელებს პროფესიულ სტუდენტთა ინიციატივების მხარდამჭერ ღონისძიებებს. ამისი მაგალითებია, პროექტი - ლიდერობა, გენდერი, ახალგაზრდული კლუბები 2021-2022წლებში, შეხვედრა მონათესავე დარგის ახალგაზრდებთან კახეთში 2021 წელს, ერთიანი ახალგაზრდული გაერთიანებების კლუბების შექნის ინიციატივა-სათავგადასავლო ტურიზმის სფეროში, 2021 წელს და ა.შ. აღნიშნულ აქტივობებთან დაკავშირებით ინფორმაცია გამოქვეყნებულია, ასევე, კოლეჯის ვებგვერდზე.

ყოველივე ზემოხსენებულის გათვალისწინებით დგინდება, რომ კოლეჯი უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და პროფესიული სტუდენტების ინიციატივების მხარდაჭერას.

5. დაწესებულების დირექტორის 2022 წლის 18 მარტის №04/11 ბრძანებით დამტკიცებულია „ა(ა)იპ სათავგადასავლო ტურიზმის სკოლის - პროფესიული სტუდენტების/მსმენელების, კურსდამთავრებულების, თანამშრომელთა, პროფესიულ მასწავლებელთა და დამსაქმებელთა კვლევის მეთოდოლოგია“ რომლითაც გაწერილია დაწესებულებაში პროფესიულ სტუდენტთა კმაყოფილების კვლევის მექანიზმები, კერძოდ, სტუდენტის/მსმენელის საჭიროების და კმაყოფილების კვლევა არის რეგულარული კვლევა, რომლის მიზანია სტუდენტებისაგან უკუკავშირის მიღება მათ პირად გამოცდილებაზე დაყრდნობით შემდეგ საკითხებთან დაკავშირებით: სასწავლო პროცესი, კოლეჯის ინფრასტრუქტურა, პროცედურები, სტუდენტური სერვისები, სტუდენტთა უნარების იდენტიფიცირება და სხვ. თითოეული ასპექტით სტუდენტების/მსმენელების საჭიროების და კმაყოფილების შეფასება დაეხმარება კოლეჯს გააუმჯობესოს სერვისების ხარისხი. სტუდენტების/მსმენელის კვლევას ახორციელებს ხარისხის მართვის მენეჯერი პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე სწავლების პერიოდში, წილიწადში ორჯერ. კვლევის ჩასატარებლად გამოიყენება რაოდენობრივი კვლევის მეთოდი (საჭიროების შემთხვევაში თვისობრივი კვლევის მეთოდი). კვლევა ტარდება, როგორც ელექტრონულად, კითხვარების საშუალებით, ასევე, მატერიალური სახით.

2021 წელს კოლეჯში ჩატარდა პროფესიული სტუდენტების/მსმენელების კმაყოფილების ორი კვლევა მატერიალური სახით, გამოკითხული იქნა 28 რესპოდენტი. კვლევის კითხვარი მოიცავდა შემდეგ ძირითად მიმართულებებს: ზოგადი ინფორმაცია; კოლეჯის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



მისია და სტრატეგიული განვითარება; პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები; პროფესიული სტუდენტები და მათი მხარდაჭერის ღონისძიებები; მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები. წარმოდგენილი შედეგებით ყველა მიმართულება შეფასდა დადებითად. **კოლეჯის ვებგვერდზე განთავსებულია კვლევების ანგარიშები.**

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- კოლეჯის დირექტორის 2022 წლის 18 მარტის №04/11 ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიული სტუდენტის მხარდაჭერის მექანიზმები;
- დირექტორის 2022 წლის 18 მარტის №04/11 ბრძანებით დამტკიცებულია „ა(ა)იპ სათავგადასავლო ტურიზმის სკოლის - პროფესიული სტუდენტების/მსმენელების, კურსდამთავრებულების, თანამშრომელთა, პროფესიულ მასწავლებელთა და დამსაქმებელთა კვლევის მეთოდოლოგია“;
- კვლევის ანგარიშები;
- 2021 წლის სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში;
- ინტერვიუ პროფესიულ სტუდენტებთან;
- ინტერვიუ ხარისხის მართვის მენეჯერთან

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.2.2 პსდ-ში ფუნქციონირებს კარიერული მხარდაჭერის მომსახურება

1. კარიერული მხარდაჭერის მომსახურება ხელმისაწვდომია არსებული და პოტენციური პროფესიული სტუდენტებისთვის;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2. პსდ მუდმივად აწვდის პროფესიულ სტუდენტებს და კურსდამთავრებულებს განახლებულ ინფორმაციას დასაქმების შესაძლებლობებთან/ვაკანსიებთან და შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით;
3. პსდ პერიოდულად ატარებს კვლევას პროფესიული სტუდენტების და კურსდამთავრებულების დასაქმებასთან დაკავშირებით;
4. კარიერული მომსახურების კვლევის შედეგად მიღებული უკუკავშირის საფუძველზე დაწესებულება აუმჯობესებს მომსახურების ხარისხს.

1. კოლეჯის დირექტორის 2022 წლის 15 მარტის №04/7 ბრძანებით დამტკიცებული „ა(ა)იპ სათავგადასავლო ტურიზმის სკოლის დებულების“ მე-6 მუხლით განსაზღვრულია პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის მენეჯერის უფლება-მოვალეობები, რომლის შესაბამისადაც, აპლიკანტებისათვის პროფესიათა თავისებურებების, დასაქმების შესაძლებლობებისა და სკოლაში განსახორციელებელ პროგრამებთან დაკავშირებით კონსულტაციის გაწევა, შრომის ბაზარზე მოთხოვნადი პროფესიების შესახებ ინფორმაციის მოძიება და მისი ანალიზის პროფორიენტაციის ჩატარება საჯარო სკოლებში, პროფესიული ორიენტაციისა მიზნით ექსკურსიების/ვიზიტების და სხვადასხვა აქტივობების ორგანიზება დამამთავრებელი კლასებისათვის, დარგში მომუშავე არაკვალიფიციური კადრებისათვის, მონაწილეობის მიღება ღია კარის დღეების, პრეზენტაციების ორგანიზებაში, მონაწილეობის მიღება სარეკლამო მასალის (ბუკლეტები, ტექსტური ინფორმაციის და სხვა) შერჩევაში, კონსულტაციების გაწევა პროფესიული სტუდენტებისათვის კარიერის დაგეგმვის, სამუშაო ადგილების მოძიების, პროფესიით დასაქმებისა და დამსაქმებლებთან ურთიერთობების საკითხებში, კურსდამთავრებულთა დასაქმების, მონაცემთა ბაზის ჩამოყალიბება და წარმოება, მონაწილეობა დამსაქმებელთა და კურსდამთავრებულთა გამოკითხვების ჩატარებასა და გამოკითხვის შედეგების გაანალიზებაში, დაგეგმილი და განხორციელებული ღონისძიებების საჯაროობის უზრუნველყოფა, ინფორმაციის მიწოდება სხვადასხვა პროფესიის, საგანმანათლებლო პროგრამების, ადამიანური და მატერიალური რესურსების შესახებ დაინტერესებულ პირთათვის, პროფესიული სტუდენტების ინფორმირება სერვისებზე, ყველა იმ საკითხზე, რაც პროფესიულ სტუდენტის დაინტერესების სფეროა.

კოლეჯის პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის მენეჯერის 2021 წლის ანგარიშიდან იკვეთება, რომ ის უკავშირდება კურსდამთავრებულებს, ასევე https://www.facebook.com/AdventureTourismSchool და http://ats.ge საშუალებით ასაჯაროებს აღნიშნულ ინფორმაციას და შესაბამისად არჩევს კანდიდატებს აღნიშნული დასაქმებისთვის. ასევე, ანგარიშში აღნიშნულია, რომ სასწავლო წლის დასაწყისში მოიწვიეს რეგიონებში არსებული წამყვანი კომპანიების, ასოციაციების, სასტუმროების წარმომადგენლები, კოლეჯის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



თბილისი, 2022

ცნობადობის გაზრდის მიზნით და სამომავლო ურთიერთთანამშრომლობის დაგეგმვის მიზნით. ასევე, აქტიურად ჰყავთ ჩართული კოლეჯის წარმატებული კურსდამთავრებულები, ისინი უზიარებენ თავიანთ გამოცდილებებს მიმდინარე სტუდენტებს. სისტემატიური ხასიათი აქვს სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა მათი სასწავლო საწარმოო პრაქტიკისა და დასაქმების მონაცემთა ბაზის ოპერირებას. სტუდენტებისათვის ვაკანსიების მოძიებას, მათთვის გაცნობას და შესაბამისი კანდიდატურების შერჩევასა და გაგზავნას. წლის განმავლობაში სისტემატიურად ახორციელებენ სტუდენტებთან შეხვედრებს, საუბრობენ მათთან მიმდინარე სიახლეებზე, როგორც კარიერის დაგეგმვის ასევე, პროფესიული კონსულტაციის მიზნით. აღნიშნული ასევე დადასტურდა გასაუბრების შედეგადაც. **ყოველივე ზემოხსენებული ადასტურებს, რომ პროფესიული სტუდენტებისთვის ხორციელდება კარიერული მხარდაჭერა.**

2. კოლეჯის პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის მენეჯერის უფლება-მოვალეობად განსაზღვრულია დამსაქმებლების ბაზის შექმნა და პროფესიული სტუდენტებისთვის და კურსდამთავრებულებისთვის განახლებული ინფორმაციის მიწოდება დასაქმების შესაძლებლობებთან/ვაკანსიებთან დაკავშირებით, **კოლეჯის ფეისბუქ გვერდზე პერიოდულად ქვეყნდება ინფორმაცია პარტნიორ ან სხვა ორგანიზაციებში ვაკანსიების არსებობის შესახებ.**

3. დირექტორის 2022 წლის 18 მარტის №04/11 ბრძანებით დამტკიცებულია „ა(ა)იპ სათავგადასავლო ტურიზმის სკოლის - პროფესიული სტუდენტების/მსმენელების, კურსდამთავრებულების, თანამშრომელთა, პროფესიულ მასწავლებელთა და დამსაქმებელთა კვლევის მეთოდოლოგია“ რომლის შესაბამისადაც კვლევის მიზანია, კურსდამთავრებულთა სწავლის შემდგომ საქმიანობასთან (დასაქმება/თვითდასაქმება/სტაჟირება, სწავლის გაგრძელება და სწავლის შემდგომ სხვა საქმიანობა) დაკავშირებით ინფორმაციის შეგროვება;
   - ➢ დაუსაქმებლობის შემთხვევაში, უმუშევრობის მიზეზების იდენტიფიცირება;
   - ➢ პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში მიღებულ განათლებასა და კურსდამთავრებულთა საქმიანობას შორის კავშირი;
   - ➢ იმ ფაქტორების იდენტიფიცირება, რომლებიც დაეხმარა ან რომლებმაც შეუშალა ხელი ცვლილებების (დასაქმება/თვითდასაქმება/სტაჟირება და სწავლის გაგრძელება) განხორციელებას;
   - ➢ კურსდამთავრებულთა მიერ პროფესიული განათლების მიღებასთან დაკავშირებული სხვადასხვა ასპექტის შეფასება.
   - ➢ პროფორიენტაციის შედეგი კურსდამთავრებულის მომავალი საქმიანობის განსაზღვრაში.

დაწესებულებას ჩატარებული აქვს 2021 წლის კურსდამთავრებულთა კვლევა მეთოდოლოგიის შესაბამისად.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



თბილისი, 2022

4. კოლეჯში შემუშავებულია კურსდამთავრებულთა კვლევის კითხვარი, რომლის გამოყენებით ჩატარებულია კვლევა და პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის მენეჯერის 2021 წლის ანგარიშის შესაბამისად, დაწესებულება გეგმავს შემდგომ განვითარებას, რაც გაწერილია სამოქმედო გეგმაშიც.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- კოლეჯის დირექტორის 2022 წლის 15 მარტის №04/7 ბრძანებით დამტკიცებული „ა(ა)იპ სათავგადასავლო ტურიზმის სკოლის დებულება“;
- დირექტორის 2022 წლის 18 მარტის №04/11 ბრძანებით დამტკიცებული „ა(ა)იპ სათავგადასავლო ტურიზმის სკოლის - პროფესიული სტუდენტების/მსმენელების, კურსდამთავრებულების, თანამშრომელთა, პროფესიულ მასწავლებელთა და დამსაქმებელთა კვლევის მეთოდოლოგია“;
- კურსდამთავრებულთა კვლევის ანგარიში;
- პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის მენეჯერის 2021 წლის ანგარიში;
- ინტერვიუ პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის მენეჯერთან.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

4. ადამიანური რესურსები

4.1 პერსონალის და პროცესების მართვა

4.1.1 პსდ-ს ორგანიზაციული სტრუქტურა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

1. პსდ-ში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2. პსდ-ს სტრუქტურულ ერთეულებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს პსდ-ს ძირითადი საქმიანობის განხორციელებას;
3. პსდ-ში მოქმედი ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები გამორიცხავს ინტერესთა კონფლიქტს.

1. დაწესებულებას, მიზნებისა და ფუნქციების შესრულების უზრუნველსაყოფად, შემუშავებული აქვს ორგანიზაციული სტრუქტურა, რომელიც წარმოდგენილია პოზიციებით. სტრუქტურით განსაზღვრულია მათი იერარქია და ფუნქციური კავშირი. სტრუქტურაზე განსაზღვრული პოზიციები/პერსონალი უზრუნველყოფს დაწესებულების წესდებით/დებულებით და სტრატეგიული დოკუმენტებით დასახული მიზნების მიღწევას.

   კოლეჯის დირექტორის 2022 წლის 15 მარტის №04/7 ბრძანებით დამტკიცებული „ა(ა)იპ სათავგადასავლო ტურიზმის სკოლის დებულების“ შესაბამისად, კოლეჯის სკოლის მმართველი სუბიექტებია: ა) დამფუძნებელ საერთო კრება ბ) სამეთვალყურეო საბჭო; გ) დირექტორი. დებულების შესაბამისად, კოლეჯის სტრუქტურულ ერთეულებს წარმოადგენენ: დირექტორის მოადგილე სტრატეგიული განვითარების დარგში; დირექტორის მოადგილე სასწავლო და საწარმოო დარგში; ხარისხის მენეჯერი; სასწავლო პროცესის მენეჯერი; საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი; მთავარი ბუღალტერი; საქმისმწარმოებელი; პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის მენეჯერი; შესყიდვებისა და ლოგისტიკის მენეჯერი; პროფესიული მომზადება/გადამზადების პროგრამებს მენეჯერი; იურისტი; ბიბლიოთეკარი/არქივარიუსი; მედდა; დამლაგებელი; დარაჯი.

   დოკუმენტში ნათლად არის ჩამოყალიბებული სტრუქტურული დაქვემდებარების იერარქია, საშტატო განრიგით განსაზღვრული ყველა პირისთვის შემუშავებულია სამუშაო აღწერილობა, მათი ფუნქცია-მოვალეობები, პასუხისმგებლობის სფეროები, მათი მხრიდან დაქვემდებარების პოზიციები და საკვალიფიკაციო მოთხოვნები. სტრუქტურული ერთეულების/პოზიციების ფუნქციები განსაზღვრულია და შეესაბამება სტრუქტურული ერთეულის/პოზიციის დასახელებას, არ არის ბუნდოვანი და არ ხდება ძირითადი ფუნქციების დუბლირება. <u>თუმცა ექსპერტთა შეფასებით, სასურველია ყველა პოზიციის აღწერილობაში გაჩნდეს პუნქტი იმასთან დაკავშირებით, თუ ვინ შეცვლის ამა თუ იმ პოზიციაზე მყოფ პირს არ ყოფნის შემთხვევაში.</u>

   პერსონალის მართვასთან დაკავშირებული ყველა პროცედურა აღწერილია „პერსონალის მართვის პოლიტიკის“ (კოლეჯის დირექტორის ბრძანება №04/11; 18.03.2022) დოკუმენტში და შინაგანაწესში.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



თბილისი, 2022

ვიზიტის პერიოდში კოლეჯს გამოცხადებული ჰქონდა კონკურსი www.jobs.ge -ზე სასწავლო პროცესის მენეჯერის ვაკანსიაზე.

2. პერსონალის ფუნქცია-მოვალეობები გაწერილია კოლეჯის დებულებაში და ასახულია ასევე შრომით ხელშეკრულებებშიც. დოკუმენტებით განსაზღვრული ფუნქცია-მოვალეობები არ დუბლირდება სხვადასხვა პოზიციის/იერარქიის პირებზე და სრულად ასახავს შესასრულებელ ძირითად და დამხმარე პროცესებს.
3. სკოლა/კოლეჯის ხარისხის უზრუნველყოფის აღმწერი მარეგულირებელი დოკუმენტები, წარმოდგენილი სამოქმედო გეგმები, მათ შორის შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და ვერიფიკაციის პროცედურები, ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პოზიციების ფუნქციები გამორიცხავს ინტერესთა კონფლიქტს. ხარისხის მენეჯერი თავის საქმიანობას ახორციელებს საქართველოს კანონმდებლობის, სკოლა/კოლეჯის დებულების და კოლეჯის შიდა მარეგულირებელი დოკუმენტების შესაბამისად. იგი ანგარიშვალდებულია კოლეჯის დირექტორის წინაშე.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- კოლეჯის დირექტორის 2022 წლის 15 მარტის №04/7 ბრძანებით დამტკიცებული „ა(ა)იპ სათავგადასავლო ტურიზმის სკოლის დებულება;
- კოლეჯის დირექტორის 2022 წლის 18 მარტის №04/11 ბრძანებით დამტკიცებული „პერსონალის მართვის პოლიტიკა“;
- კოლეჯის შინაგანაწესი;
- კოლეჯის ხარისხის მართვისა და შიდა მონიტორინგის გზამკვლევი;
- კოლეჯის ხარისხის მართვის მენეჯერის სამოქმედო გეგმები;

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

თბილისი, 2022

4.1.2 პსდ-ს პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს ორგანიზაციის განვითარებას

1. პსდ-ში პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების, მათ შორის შინაგანაწესის, შესაბამისად.
2. პსდ-ს პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კვალიფიკაციის კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობის და გამჭვირვალობის პრინციპის დაცვით;
3. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას;
4. პსდ-ს პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს.

1. დაწესებულებაში მოქმედი ადამიანური რესურსების მართვასთან დაკავშირებული ძირითადი დოკუმენტებია: პერსონალის მართვის პოლიტიკა და შინაგანაწესი. დაწესებულების შინაგანაწესი შესაბამისობაშია საკანონმდებლო მოთხოვნებთან, არეგულირებს შრომითი ურთიერთობის, უსაფრთხოების პროცესებს, ასევე განსაზღვრავს მოტივაციისა და დისციპლინარული წარმოების კორპორატიულ კულტურასთან დაკავშირებულ საკითხებს. მასში გათვალისწინებულია ასევე დისკრიმინაციის აკრძალვის, გენდერული თანასწორობის და შშმ პირთა დასაქმების ხელშეწყობის შესახებ რეგულაციები.

   პერსონალის მართვის პოლიტიკის დოკუმენტი დამტკიცებულია ა(ა)იპ სათავგადასავლო ტურიზმის სკოლის დირექტორის 2022 წლის 18.03. N04/11 ბრძანებით და მასში განსაზღვრულია პერსონალის შერჩევისა და აყვანის პროცედურა; კადრის საჭიროების დადგენის წესი კადრის მოძიების წყაროები; თანამშრომლების შერჩევის ეტაპები და წესი; თანამდებობაზე დანიშვნის, გათავისუფლების ზოგადი წესი; ადმინისტრაციული პერსონალის მიღების წესი და წარმოსადგენი დოკუმენტაცია; მოდულის განმახორციელებელი პირის/პროფესიული განათლების მასწავლებლის მიღების წესი და წარმოსადგენი დოკუმენტაცია; პროგრამის განმახორციელებელი პირის/პროფესიული განათლების მასწავლებლის თანამდებობიდან განთავისუფლების წესი; პროგრამის განმახორციელებელ პირებთან/პროფესიული განათლების მასწავლებლებთან სამართლებრივი ურთიერთობა; სამუშაო და დასვენების დრო; სამუშაოზე დაგვიანება. დასაქმებულის მიერ გაცდენილი სამუშაო დროის საპატიოდ ან არასაპატიოდ ჩათვლა; სამსახურში გამოუცხადებლობა; დასაქმებულის ვალდებულებები თანამდებობიდან გათავისუფლების, სამსახურებრივ მივლინებაში ან შვებულებაში გასვლის დროს;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სამსახურებრივ უფლებამოსილებათა განხორციელება არასამუშაო დროს; სამსახურეობრივი შეთავსება; დასაქმებულის შვებულება და შვებულების გაცემის წესი; მივლინება; დასაქმებულთა ვალდებულებები; დასაქმებულთა წახალისების სახეები; ეთიკისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის საფუძვლები და წესი; შრომითი ურთიერთობის შეჩერება; შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძვლები; შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის წესი; დავა; ინდივიდუალური დავის განხილვა და გადაწყვეტა; შრომის ანაზღაურება; საბოლოო ანგარიშსწორება შრომითი ურთიერთობის შეწყვეტისას; პერსონალის განვითარება.

<u>აღსანიშნავია, რომ შინაგანაწესი და პერსონალის მართვის პოლიტიკის დოკუმენტი რიგ შემთხვევაში არეგულირებს იდენტურ საკითხებს. მაგ: სამუშაოზე დაგვიანება. დასაქმებულის მიერ გაცდენილი სამუშაო დროის საპატიოდ ან არასაპატიოდ ჩათვლა; სამსახურში გამოუცხადებლობა და სხვა. შესაბამისად დაწესებულებას მიეცა განმავითარებელი რეკომენდაცია დოკუმენტებში საკითხების გამიჯვნასთან დაკავშირებით.</u>

პერსონალის მართვასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია განთავსებულია სკოლა/კოლეჯის ვებგვერდზე, რაც უზრუნველყოფს მის ხელმისაწვდომობას ყველა დაინტერესებული პირისთვის. შინაგანაწესით გათვალისწინებულია განხორციელებული ცვლილებების შესახებ პერსონალის დროულად ინფორმირების საკითხები, რისთვისაც შემუშავებულია შიდა კომუნიკაციის ფორმები. კომუნიკაცია ძირითადად ხდება შიდა კორპორატიული ელექტრონული ფოსტების და ელექტრონული საქმისწარმოების სისტემის გამოყენებით, საჭიროებისას იგეგმება შეხვედრები.

დაწესებულების შინაგანაწესით განსაზღვრული მუხლები არაა წინააღმდეგობაში შრომითი ხელშეკრულების შინაარსთან. პერსონალთან გასაუბრებით და პირადი საქმეებით დასტურდება, რომ ადამიანური რესურსის მართვასთან დაკავშირებული საკითხები წარმოებს შინაგანაწესის და პერსონალის მართვის პოლიტიკის თანახმად და პერსონალი იცნობს დოკუმენტით დადგენილ მოთხოვნებს.

2. შესწავლილი დოკუმენტაციით დგინდება, რომ სკოლა/კოლეჯის მიერ პერსონალის მართვასთან დაკავშირებული რეგულაციებით განსაზღვრული პერსონალის მიღებისა და გათავისუფლების პუნქტები უზრუნველყოფს ობიექტურობის პრინციპების დაცვას. პერსონალის მოზიდვის მიზნით სკოლა/კოლეჯი იყენებს სხვადასხვა ფორმას: ვაკანსიების განთავსება ვებ-პორტალზე ან/და სოციალურ ქსელებში, კონკურსის გამოცხადება. ვიზიტის პერიოდში კოლეჯს შესაბამის გვერდზე განთავსებული ჰქონდა საკონკურსო განაცხადი სასწავლო პროცესის მენეჯერის პოზიციაზე.

შერჩეულ პერსონალთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებები, შესაბამისობაშია კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებთან. მათში ასახულია შრომის კოდექსით და დაწესებულების მიერ გათვალისწინებული მოთხოვნები: სამუშაო ადგილი, თანამდებობა და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შესასრულებელი სამუშაოს სახე, სამუშაოს დაწყებისა და შრომითი ურთიერთობის ხანგრძლივობა, ანაზღაურების ოდენობა და გადახდის წესი, ზეგანაკვეთური სამუშაო და ანაზღაურების წესი, შვებულება და შვებულების მიცემის წესი.
პერსონალთან დაკავშირებული ინფორმაცია განთავსებულია პირად საქმეებში. ექსპერტების მიერ შესწავლილი იქნა ყველა პირადი საქმე (ადმინისტრაციული პერსონალის, საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებლები). ყველა მათგანი დაკომპლექტებულია სრულყოფილად, დაწესებულების საქმისწარმოებისა და შინაგანაწესის მოთხოვნების შესაბამისად. ყველა პირად საქმეში განთავსებულია ცნობები, რომლებიც ადასტურებენ, რომ არ არიან ნასამართლევი და არ აქვთ ჩადენილი სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაული.

3 სკოლა/კოლეჯს, საშტატო ნუსხის ყველა პოზიციისთვის, განსაზღვრული აქვს პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნები, რომლებიც კოლეჯის დებულებაშია გაწერილი. საკვალიფიკაციო მოთხოვნებში განსაზღვრულია მინიმალური განათლების დონე, რიგ შემთხვევაში შესაბამისი პროფესიული გამოცდილება, ტექნიკური უნარები, ენის ფლობა, პოზიციის შესაბამისი საკანონმდებლო აქტების ცოდნა. განსაზღვრული მოთხოვნები, შესაბამისობაშია პოზიციების ფუნქცია-მოვალეობებთან, ხოლო შესწავლილი პირადი საქმეებით დასტურდება, რომ შერჩეული პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას.

4 სკოლა/კოლეჯის „პერსონალის მართვის პოლიტიკის“ დოკუმენტის თანახმად, რომელიც შექმნილია საქართველოს შრომის კოდექსის, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტების, კოლეჯის პროფესიული საგანმანათლებლო საქმიანობის დებულებისა და შინაგანაწესის საფუძველზე, სკოლა/კოლეჯის მთავარ მიზანს წარმოადგენს კვალიფიციური პერსონალის შერჩევა, დასაქმება და შენარჩუნება. თანამშრომლად შერჩევის ერთ-ერთ მთავარ კრიტერიუმად მითითებულია გუნდური მუშაობის უნარი. იგივეა აღნიშნული კოლეჯის ღირებულებებშიც. პერსონალთან და განმახორციელებლებთან გასაუბრებით დადგინდა, რომ კოლეჯში შექმნილია ხარისხის განვითარებაზე ორიენტირებული სამუშაო გარემო, რომელიც საშუალებას აძლევს მათ წარმოაჩინონ საკუთარი შესაძლებლობები, განავითარონ პროფესიული და პიროვნული უნარ-ჩვევები. კოლეჯში საკითხების/პროექტების გადაჭრისთვის იქმნება სამუშაო ჯგუფები, ასევე აქტიურად გამოიყენება სამუშაო შეხვედრების (პირისპირ/ონლაინ) პრაქტიკა.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- კოლეჯის დირექტორის 2022 წლის 15 მარტის №04/7 ბრძანებით დამტკიცებული „ა(ა)იპ სათავგადასავლო ტურიზმის სკოლის დებულება;
- პერსონალის სამუშაო აღწერილობა;
- პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნები;
- კოლეჯის დირექტორის 2022 წლის 18 მარტის №04/11 ბრძანებით დამტკიცებული „პერსონალის მართვის პოლიტიკა“;
- კოლეჯის შინაგანაწესი;
- კოლეჯის პერსონალის პირადი საქმეები;
- პერსონალთან გაფორმებული ხელშეკრულებები;
- ინტერვიუ ადმინისტრაციულ პერსონალთან;

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

თბილისი, 2022

4.2 პერსონალის განვითარება

4.2.1 პსდ-ს მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე

1. პსდ უზრუნველყოფს პერსონალის საქმიანობის შეფასებას და პროფესიული განვითარების საჭიროებათა კვლევას;
2. პერსონალის განვითარება ხორციელდება პსდ-ს მიერ გამოვლენილი საჭიროებების შესაბამისად შემუშავებული გეგმის მიხედვით;
3. პსდ უზრუნველყოფს პროფესიული განათლების მასწავლებლის პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის ხელშეწყობას კანონმდებლობით დადგენილი წესით;
4. პსდ უზრუნველყოფს ახალი თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან;
5. პსდ-ში წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები.

1. კოლეჯის „პერსონალის მართვის პოლიტიკის“ (დამტკიცებულია ა(ა)იპ სათავგადასავლო ტურიზმის სკოლის, დირექტორის 2022 წლის 18.03. N04/11 ბრძანებით) 29-ე მუხლის შესაბამისად, სათავგადასავლო ტურიზმის სკოლა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე. პერსონალის საქმიანობის შეფასება ხორციელდება სკოლა/კოლეჯის თითოეული პოზიციის შესაბამისად შემუშავებული სამუშაო აღწერილობების შესაბამისი ინდიკატორების საშუალებით. შეფასების მიზანია პერსონალის პროფესიული განვითარებისათვის ხელშეწყობა, პერსონალის წახალისება და კარიერული წინსვლის თანაბარი, ობიექტური და გამჭირვალე მექანიზმების შემუშავება.

   პერსონალის შეფასების სისტემა (მუხლი **29.9**) გულისხმობს სხვადასხვა პოზიციის თანამშრომლების საქმიანობის ხარისხობრივ და რაოდენობრივ შეფასებას სხვადასხვა მეთოდის გამოყენებით. ადმინისტრაციული პერსონალის შეფასება ხორციელდება წელიწადში ერთხელ, სასწავლო წლის ბოლოს, და მოიცავს გასული სასწავლო წლის განმავლობაში შესრულებული სამუშაოს ხარისხის შეფასებას და სკოლის სასწავლო მიზნებთან შესაბამისობის განსაზღვრას.

   მიუხედავად იმისა, რომ პერსონალის მართვის პოლიტიკის დოკუმენტი შემუშავებულია 2022 წლის მარტში, სკოლა/კოლეჯი პერსონალის შეფასებას ახორციელებდა გასულ 2020-2021 სასწავლო წელსაც და ყველა კომპონენტის შესაბამისი აქტივობების შესახებ ინფორმაცია ასახულია - სხვადასხვა მტკიცებულებებში: დირექტორის, ხარისხის მართვის მენეჯერის 2021 წლის ანგარიშებში, პრეზენტაციებში, ფბ და ვებ -გვერდზე, გამოკითხვებსა და შესაბამისი დიაგრამებში.

   2022 წელს ასევე განხორციელდა პერსონალის საჭიროებების კვლევა, რომლის შედეგადაც იდენტიფიცირებულია პერსონალის განვითარების საჭიროებები. სამოქმედო გეგმაში ასახულია და წლის განმავლობაში გაწერილია შესაბამისი აქტივობები, კოლეჯის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

თანამშრომლებმა ექსპერტებთად გასაუბრებისას დადებითად შეაფასეს კოლეჯის დამოკიდებულებულება მათი საქმიანობის და საჭიროებების შეფასების მიმართულებით, ისაუბრეს აღნიშნული აქტივობების მნიშვნელობაზე და განვითარების გზებზე.

წარმოდგენილი ანგარიშების და სკოლა/კოლეჯის პერსონალთან გასაუბრების შედეგად დგინდება, რომ პერსონალის საქმიანობის შეფასება და პროფესიული განვითარების საჭიროებათა კვლევა ხორციელდება „პერსონალის მართვის პოლიტიკის“ დოკუმენტში აღწერილი წესების თანახმად.

2. ის, რომ დაწესებულება ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე, დასტურდება იმითაც, რომ 2021-2022 ს/წლის სამოქმდო გეგმის ერთერთი მთავარი მიზანია (სტრატეგიული მიზანი - 3) პერსონალის განვითარება, რომელიც მოიცავს მთელ რიგ ამოცანებს: 3.2. პერსონალის კომპეტენციის ამაღლება დაწესებულების მართვით პროცესებში ჩართულობასთან დაკავშირებით; 3.3. პერსონალის პროფესიული და პიროვნული განვითარება; 3.5. პერსონალის კომპეტენციის ამაღლება დაწესებულების მართვით პროცესებში ჩართულობასთან დაკავშირებით; 3.7. ადმინისტრაციული პერსონალის და პროფესიული განათლების მასწავლებლების საჭიროებათა კვლევა. სამოქმედო გეგმის თანახმად, ასევე დირექტორის და ხარისხის მენეჯერის ანგარიშებიდან ჩანს, რომ კვლევის ანალიზის შედეგად დადგენილია პერსონალის საჭიროებები და უზრუნველყოფილია მათი ტრენინგებში ჩართვა: კოლეჯის თანამშრომლები ჩართულები იყვნენ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინიტროს, სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრისა და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ ორგანიზებულ ტრენინგებსა და შეხვედრებში, რომლებიც 2021 წლის მანძილზე ხორციელდებოდა ონლაინ რეჟიმში და ორგანიზაციული განვითარების, ახალი ავტორიზაციის სტანდარტების და სხვა საკითხების განხილვას ეთმობოდა. ადამიანური კაპიტალის განვითარების, ადმინისტრაციისა და პროფესიული მასწავლებლების განვითარების ტრენინგის ხარჯები 2021 წელა შეადგენდა - 7672 ლარს, 0.9%;
კოლეჯის „პერსონალის მართვის პოლიტიკის“ 29.10 მუხლის თანახმად, ყოველი სასწავლო წლის დასრულებამდე, მინიმუმ ერთი თვით ადრე, ხარისხის მენეჯერი სხვა სამსახურებთან კოორდინაციით უზრუნველყოფს საშტატო განრიგით გათვალისწინებული თანამშრომლების შეფასების პროცესს.
რამდენადაც მიმდინარე სასაწავლო წლის ბოლო არის - სექტემბერი, კოლეჯს უკვე ატვირთული აქვს (2022 წ. 16.06) შეფასების კითხვარები გუგლდრაივის სისტემაში (2022 წ. 16.06). ეს კითხვარებია: ადმინისტრაციის თანამშრრომელთა კითხვარები; პროფესიული განათლების სტუდენტების კითხვარები; პროფესიული მასწავლებლის კითხვარები; კურსდათავრებულთა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კმაყოფილების კვლევის კითხვარები. ყველა კითხვარი მოიცავს საკითხებს პერსონალის მუშაობასთან დაკავშირებით. ხარისხის მენეჯერთან გასაუბრებით დადგინდა, რომ კითხვარების ანალიზის შემდგომ გამოკვეთილი საჭიროებების გათვალისწინებით შემუშავებდა პერსონალის განვითარების გეგმა.

3. დირექტორის და ხარისხის მენეჯერის ანგარიშებიდან, ასევე პროფესიული მასწავლებლების პირად საქმეებში განთავსებული სერტიფიკატების გაცნობის და პროფესიულ მასწავლებლებთან გასაუბრების შედეგებით დგინდება, რომ სკოლა/კოლეჯის პროფესიული მასწავლებლები აქტიურად არიან ჩართული სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ დაგეგმილ და ასევე მასწავლებელთა სახლის და სხვა ორგანიზაციების მიერ ორგანიზებულ ონლაინ-ტრენინგებში. კოლეჯი უზრუნველყოფს მათ შეხვედრებს დარგის ექსპერტებთან/დამსაქმებლებთან დარგში სიახლეების და პროფესიული გამოცდილების გაზიარების მიზნით. პროფესიულ განათლებაში მიმდინარე რეფორმისა და პროცესების საჭიროებიდან გამომდინარე, ხშირად ტარდება შიდა სწავლებები/ტრენინგები ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის მიერ. კოლეჯის ადმინისტრაცია ზრუნავს და უზრუნველყოფს ასევე, პროგრამის განმახორციელებელი პირებისთვის, დარგში მიმდინარე საკანონმდებლო ცვლილებების გაცნობის მიზნით შეხვედრების ორგანიზებას. 2021 წელს ჩატარებული კვლევების შედეგად გამოიკვეთა მათი საჭიროებები დისტანციურ სწავლებასთან დაკავშირებით და შესაბამისად ადმინისტრაციამ უზრუნველყო მათი დატრენინგება.
პროფესიული განათლების მასწავლებელთა კარიერული წინსვლის შესაძლებლობებია გათვალისწინებულია „პერსონალის მართვის პოლიტიკის "დოკუმენტით. ეს გახლავთ: დამატებითი ფუნქციების/პოზიციების შეთავსება (მენტორი, პროგრამის ხელმძღვანელი, უწყვეტი პროფესიული განვითარების მენეჯერი) კარიერული წინსვლის შესაძლებლობები და პირობები დგინდება პროფესიული განათლების მასწავლებლის საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წესის შესაბამისად და ასახულია სკოლის შინაგანაწესში. არსებული პრაქტიკით ასეთი შემთხვევა ჯერ არ დაფიქსირებულა.

4. ახალი თანამშრომლის სამუშაო გარემოსთან ინტეგრირების უზრუნველსაყოფად, რაც განსაზღვრულია „პერსონალის მართვის პოლიტიკის" მე-6 მუხლში, ყველა შერჩეული კანდიდატი ადამიანური რესურსების მართვაზე პასუხისმგებელი პირის დახმარებით (ამ ეტაპზე სკოლა/კოლეჯს არ ჰყავს ადამიანური რესურსების მართვაზე პასუხისმგებელი პირი და მის ფუნქციებს ითავსებს ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირი) ეცნობა მისთვის დაკისრებულ ფუნქცია-მოვალეობებს, მოქმედ შინაგანაწესს, სკოლის/კოლეჯის ორგანიზაციულ კულტურას და ტრადიციებს. ახალ თანამშრომელს აცნობს ვებ-გვერდს და უზრუნველყოფს მის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



თბილისი, 2022

ჩართვას კოლეჯის შიდა არსებულ სოციალურ ქსელებსა და ჯგუფებში. პროფესიულ მასწავლებლების და ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან გასაუბრების შედეგებით დგინდება, რომ ისინი ერთ გუნდად მუშაობენ და ქმნიან თანამშრომლობით მეგობრულ გარემოს ყველა ახალი კადრისთვის.

5. როგორც აღვნიშნეთ დაწესებულებაში ადამიანური რესურსების მართვასთან და ხარისხის უზრუნველყოფასთან დაკავშირებული პროცედურები ითვალისწინებენ პერსონალის საჭიროებების კვლევას, შესაბამისად სკოლა/კოლეჯში დანერგილია კვლევის პრაქტიკა. კითხვარების გაცნობის შედეგებით დგინდება, რომ მათში გათვალისწინებულია კითხვები, რომლებიც პროფესიული მასწავლებლების და ადმინისტრაციული პერსონალის ინიციატივების აღმოჩენას ემსახურება. პერსონალთან და პროფესიულ მასწვლებლებთან გასაუბრებით დადასტურდა ასევე, რომ ისინი ფლობენ ინფორმაციას ინიცირების შესაძლებლობის შესახებ და რომ გამოკითხვის/პერსონალის ინიციატივის საფუძველზე დაწესებულება რეაგირებს და გეგმავს შესაბამის ღონისძიებებს ტრენინგებს, გასვლით ღონისძიებებს, ექსკურსიებს. დაწესებულების ბიუჯეტით განსაზღვრულია მსგავსი ღონისძიებებისთვის ფინანსური რესურსი.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- სკოლა/კოლეჯის დირექტორის 2022 წლის 15 მარტის №04/7 ბრძანებით დამტკიცებული „ა(ა)იპ სათავგადასავლო ტურიზმის სკოლის დებულება;
- დირექტორის ანგარიშები;
- ხარისხის მენეჯერის ანგარიშები;
- კოლეჯის დირექტორის 2022 წლის 18 მარტის №04/11 ბრძანებით დამტკიცებული „პერსონალის მართვის პოლიტიკა“;
- ტრენინგების, შეხვედრებისა და კონფერენციების ჩატარების დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
- ინტერვიუ ადმინისტრაციულ პერსონალთან;
- ინტერვიუ პროფესიულ მასწავლებლებთან.

შეფასება:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

5. მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები

5.1 მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

5.1.1 პსდ-ს მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

1. დაწესებულების საქმიანობა უზრუნველყოფილია შესაბამისი ინფრასტრუქტურითა და მატერიალური რესურსით მინიმუმ ავტორიზაციის ვადით;
2. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი დაწესებულების მიერ დადგენილი წესით ხელმისაწვდომია პროფესიული სტუდენტებისთვის;
3. დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებული ყველა სივრცეში დაცულია და სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები;
4. შენობა-ნაგებობა უზრუნველყოფილია ცენტრალური გათბობის სისტემით;
5. დაწესებულებაში მოქმედებს კანონმდებლობით დადგენილი შრომის უსაფრთოხების უზრუნველყოფის მექანიზმები;
6. დაწესებულებაში მოქმედებს სასწავლო პროცესის საჭირო მასალებითა და ნედლეულით შეუფერხებელი უზრუნველყოფის მექანიზმები;
7. ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმი ითვალისწინებს დაწესებულების რესურსების რეგულარულ შეფასებასა და განვითარებას;
8. პსდ-ს შენობა-ნაგებობაში მოწყობილია გამიჯნული სანიტარული კვანძები, რომლებიც მუდმივად მარაგდება წყლით, აქვს უწყვეტი განათება და ვენტილაცია, სათანადოდ მოწესრიგებულია, უზრუნველყოფს პირადი ჰიგიენის დაცვის შესაძლებლობას და ხელმისაწვდომია ყველა პროფესიული სტუდენტისთვის, მათ შორის შშმ სტუდენტებისთვის;
9. ყველა სასწავლო ფართს და ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზს აქვს როგორც ბუნებრივი (გარდა სპეციფიური მიზნებისთვის გამოყენებული აუდიტორიებისა), ისე ხელოვნური განათების შესაძლებლობა;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

10.სათავსოებისა და სივრცეების განლაგება ხელს უწყობს საგანმანათლებლო და ადმინისტრაციული პროცესის წარმართვას;

11.მომხმარებლისთვის ხელმისაწვდომია პსდ-ს ბიბლიოთეკის როგორც მატერიალური, ასევე ელექტრონული საგანმანათლებლო რესურსი, რომელიც დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. ა(ა)იპ სათავგადასავლო ტურიზმის სკოლა მდებარეობს დუშეთის რაიონის სოფელ გუდაურში. სკოლას შენობა გადაეცა საქართველოს მთავრობის 2021 წლის 21 იანვრის N66 განკარგულების თანახმად, სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოსთან გაფორმებული 6 წლიანი უსასყიდლო უზუფრუქტის ხელშეკრულებით 2021 წლის 26 მარტს. ავტორიზაციის მიღების შემთხვევაში, ვადა აითვლება 2022 წლიდან, რაც ნიშნავს, რომ წარმოდგენილი ხელშეკრულების თანახმად სკოლა ვერ დააკმაყოფილებს სტანდარტით მოთხოვნილ პირობას, (საქართველოს კანონი განათლების ხარისხის განვითარების შესახებ მუხლი 12. გადაწყვეტილება ავტორიზაციის შესახებ) რაც გულისხმობს დაწესებულების საქმიანობის უზრუნველყოფას შესაბამისი ინფრასტრუქტურითა და მატერიალური რესურსით მინიმუმ ავტორიზაციის ვადით, შესაბამისად ექსპერთა მიერ სტანდარტი, დასკვნის პროექტში, შეფასდა როგორც „არ შეესაბამება “. დასკვნის პროექტის გაცნობის შემდგომ, არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად, დაწესებულებამ წარმოადგინა სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის სამოქმედო გეგმა (დამტიკიცებულია ა(ა) იპ სათავგადასავლო ტურიზმის სკოლის დირექტორის მიერ, 2022 წლის 22 აგვისტოს, N 04/38 ბრძანებით. დანართი 2). დოკუმენტში განსაზღვრულია შესასრულებელი სამუშაო ვადების გათვალისწინებით, პასუხისმგებელი და შემსრულებელი პირები, საჭირო ადამიანური რესურსი და ასევე პროცესების შეფერხების რისკი, რომელიც მოიცავს 10%-ს. ხარვეზის გამოსწორების ვადად განსაზღვრულია 4 თვე (2022 წლის დეკემბრის ბოლო). გეგმის მიხედვით უზურფრუქტის ხელშეკრულების ვადის გაგრძელდება იგეგმება 2028 წლის 30 სექტემბრის ჩათვლით, რაც უზრუნველყოფს დაწესებულების საქმიანობას, ავტორიზაციის მიღების შემთხვევაში, შესაბამისი ინფრასტრუქტურითა და მატერიალური რესურსით ავტორიზაციის ვადით. დაწესებულებამ ასევე წარმოადგინა ორმხრივი კორესპონდენციები როგორც სსაიპ სახელმწიფო ქონების მართვის სააგენტოსთან, ასევე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინიტროსთან.

   წარმოდგენილი სტანდარტების შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის და კორესპონდეციების შესწავლის შედეგების გათვალისწინებით ექსპერტების მიერ 5.1.1.1.სტანდარტი, საბოლოო დასკვნაში, შეფასებულია როგორც „მეტწილად შეესაბამება“ და შესაბამისად მთლიანად V სტანდარტი, სტანდარტებთან შესაბამისობის ცხრილის თანახმად, შეფასდა როგორც „სრული შესაბამისობა“.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

თბილისი, 2022

ამ ეტაპზე კოლეჯი განთავსებულია 231.00 კვ. მ-ის ფართზე არსებულ 323,70 კვ.მ. მანსარდული ტიპის 3 სართულიან შენობა - ნაგებობაში რაც დასტურდება ამონაწერით საჯარო რეესტრიდან ს/კ/ N 71.62.58.721.

დაწესებულებამ წარმოადგინა შენობის აზომვითი ნახაზები და სპეციალური ფორმა ავტორიზაციის სტანდარტით გათვალისწინებული სავალდებული სივრცეების/ფართების ფლობის შესახებ, რომელშიც ფართი დანომრილია აზომვითი ნახაზის და აუდიტორიების მითითებით. შესაბამისად სპეციალური ფორმის გაცნობის და ფაქტობრივი მდგომარეობის დათვალიერების შედეგებით დასტურდება შემდეგი სივრცეების/ფართების ფლობა: შენობის I სართულზე განთავსებულია სტუდენტთა რეკრეაციული სივრცე მასწავლებლებისა და პროფესიული სტუდენტთათვის, სასადილო, დირექტორის და კანცელარიის ოთახები, სივრცე თხილამურების და შესაბამისი აღჭურვილობის განსათავსებლად, სივრცე სამედიცინო მომსახურებისათვის და სველი წერტილი. მეორე სართულზე არის 5 ოთახი და ასევე 3-3 კაბინიანი სველი წერტილები მამაკაცებისა და ქალბატონებისთვის. ოთახებში დგას ორსართულიანი საწოლები, რომლებიც სკოლის სპეციფიკიდან გამომდინარე გათვალისწინებულია საჭიროების შემთხვევაში სტუდენტთა განსათავსებლად. მესამე სართულზე მდებარეობს 1 AB გარემო და 1 ბიბლიოთეკა. აუდიტორიაში განლაგებულია 16 ერთადგილიანი მაგიდა და სკამი, მასწავლებლის მაგიდა, 15 ლეპტოპი, 1 პროექტორი, დაფა, თეთრი დაფა და სხვა საჭირო რესურსი.

<u>უზუფრუქტის ხელშეკრულების ვადის გაგრძელების შემთხვევაში კომპონენტი დაკმაყოფილებული იქნება.</u>

2. სკოლა/კოლეჯის ინფრასტრუქტურის, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეების და მატერიალური რესურსის ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად კოლეჯში შემუშავებულია სათანადო წესი - მატერიალური რესურსის გამოყენების/განკარგვის წესი, რომელიც დამტკიცებულია ა(ა)იპ სათავგადასავლო ტურიზმის სკოლის დირექტორის 2022 წლის 18.03. №04/12 ბრძანებით და რომლის აღსრულებაზე პასუხისმგებლობა ეკისრება შესყიდვებისა და ლოჯისტიკის მენეჯერს.

დოკუმენტით განსაზღვრულია ასევე სკოლის/კოლეჯის მატერიალური რესურსებით სარგებლობის წესი, რომლის თანახმად სკოლის/კოლეჯის თანამშრომელი პროფესიული სტუდენტი/მსმენელი უფლებამოსილია პროფესიული განათლების მასწავლებლის/განმახორციელებლის/ინსტრუქტორის ნებართვის საფუძველზე/პასუხისმგებლობის ქვეშ გამოიყენოს სკოლის/კოლეჯის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, საინფორმაციო საშუალებები, ბიბლიოთეკა და სხვა სასწავლო რესურსები მოდულით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევისთვის.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

თბილისი, 2022

სტუდენტებთან და პერსონალთან გასაუბრებით, დასტურდება, რომ დაწესებულების ინფრასტრუქტურა, საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია კოლეჯში მიმდინარე ყოველდღიური საქმიანობის შეუფერხებლად განსახორციელებლად.

3. სკოლა/კოლეჯში სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვაზე ზრუნვა/მონიტორინგი ევალება ექთანს, ხოლო შესრულებაზე პასუხისმგებელია დამლაგებელი. დამლაგებლის მოვალეობაში შედის: კოლეჯის შენობის შიდა და გარე ნაწილის (კაბინეტები, დერეფნები, კიბის უჯრედები, საპირფარეშო და სხვ.) დასუფთავება და დალაგება, ყოველდღიურად სამუშაო დღეებში; სკოლის ბალანსზე რიცხული შენობის დაცლა საყოფაცხოვრებო და საკანცელარიო ნარჩენებისაგან (ნაგვისაგან), დანიშნულების ადგილზე გადატანა; კოლეჯის შიდა და გარე პერიმეტრის სანიტარულ-ჰიგიენური მდგომარეობის შენარჩუნებაზე ზრუნვა; ინფორმაციის მიწოდება დირექტორსა და მოადგილისათვის, შენობის დასუფთავებისათვის საჭირო მასალებთან დაკავშირებით; სკოლის ყოველდღიური საჭიროებებიდან გამომდინარე სხვა მიმდინარე დავალებების შესრულება.

ფაქტობრივი მდგომარეობით დასტურდება, რომ სკოლაში, მათ შორის სველ წერტილებში დაცულია სანიტარულ ჰიგიენური ნორმები. შესასვლელში და ყველა სივრცეში განთავსებულია სანიტაიზერები, ჰიგიენური საშაულებები, დისტანცირების შეზღუდვის ნიშნები.

4. რამდენადაც სკოლა/კოლეჯი მდებარეობს მთაში 2700 მეტრის სიმაღლეზე ზღვის დონიდან და შესაბამისად არ არის ბუნებრივი აირი გაყვანილი, სკოლის შენობა-ნაგებობა უზრუნველყოფილია ელექტრო გათბობის სისტემით. ყველა სივრცეში დამონტაჟებულია ელექტრო ზეთის გამათბობლები, რომლებიც სრულად უზრუნველყოფენ შენობას გათბობით. **კოლეჯის ადგილმდებარეობის გათვალისწინებით ექსპერტების მოსაზრებით კომპონენტი ჩაითვალა დამაკმაყოფილებლად, რაც დაეფუძნა ასევე** საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის, სსიპ სახელმწიფო რეზერვებისა და სამოქალაქო უსაფრთხოების სერვისების სააგენტოს საბოლოო წერილს - სახანძრო უსაფრთხოების ზედამხედველობის სახანძრო -ტექნიკური შემოწმების და გამოკვლევის აქტი N 63 (28.04.202), რომლის თანახმად ა(ა)იპ სათავგადასავლო ტურიზმის სკოლის შენობა-ნაგებობის ხანძარსაწინააღმდეგო მდგომარეობა შეესაბამება სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების მარეგულირებელ ნორმებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



5. სკოლა/კოლეჯში შემუშავებულია და მოქმედებს კანონმდებლობით დადგენილი შრომის უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები. შესაბამის უფლებამოსილებას ახორციელებს დირექტორი, რომელიც ამავდროულად შრომის უსაფრთხოების სერტიფიცირებული სპეციალისტია, მასთან გასაუბრებით დგინდება, რომ იგი პერიოდულად ახორციელებს რისკების შეფასებას, განმავითარებელი რეკომენდაციების გაცემას, ასევე პერიოდულად ტარდება შესაბამისი ინსტრუქტაჟები უსაფრთხოებასთან დაკავშირებით. ექსპერტთა მიერ მას მიეცა განმავითარებელი შეფასება, იმასთან დაკავშირებით, რომ შეიმუშავოს სამუშაო გეგმა და ანგარიში წარადგინოს ყოველი წლის ბოლოს.
6. სკოლა/კოლეჯის მიერ შემუშავებული მატერიალური რესურსის გამოყენების/განკარგვის წესის თანახმად, განსაზღვრულია სასწავლო პროცესის სახარჯი მასალებითა და ნედლეულით უწყვეტად უზრუნველყოფის მექანიზმები. საგანმანათლებლო პროგრამაზე სასწავლო პროცესის დაწყებამდე არაუგვიანეს ერთი თვისა სკოლაში/კოლეჯში მიმდინარეობს საგანმანათლებლო პროგრამების მატერიალური რესურსის შეფასება და საჭიროების შემთხვევაში განვითარების მიზნით შესაბამისი გეგმის შემუშავება. განვითარების გეგმის შემუშავებაში ჩართულია პროგრამის ხელმძღვანელი, მატერიალური რესურსების უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირი, ფინანსური მენეჯერი. შეფასებისა და განვითარების გეგმის შესრულების მონიტორინგს ახორციელებს ხარისხის მენეჯერი და დირექტორის მოადგილე. **ექსპერტების მხრიდან გადამოწმდა მიმდინარე პროცესები, განხორციელდა გასაუბრება სკოლის წარმომადგენლებთან და დადასტურდა რომ დაწესებულებაში მოქმედებს სასწავლო პროცესის საჭირო მასალებითა და ნედლეულით შეუფერხებელი უზრუნველყოფის მექანიზმები.**
7. სკოლა/კოლეჯში შემუშავებულია რესურსების რეგულარული შეფასებისა და განვითარების გეგმის შემუშავების მეთოდოლოგია. სკოლის განკარგულებაში არსებული მატერიალური რესურსის, აღრიცხვას, შენახვას, განვითარებას და გამოყენების პროცესის მართვას ახორციელებს შესყიდვებისა და ლოჯისტიკის მენეჯერი ყოველწლიურად, რასაც ადასტურებს თავად მენეჯერი, თუმცა დოკუმენტში მითითებულია ფინანსურ მენეჯერი და მატერიალური რესურსებით უზრუნველყოფის კოორდინატორი. უნდა აღინიშნოს რომ ასეთი პოზიციები სკოლას ამ ეტაპზე არ აქვს. სკოლის წარმომადგენლებთან გასაუბრებით გაირკვა, რომ დოკუმენტში ტექნიკური შეცდომაა დაშვებული. შესაბამისად სკოლას მიეცა რეკომენდაცია, ტექნიკური ხარვეზების აღმოფხვრასთან დაკავშირებით,

   შემოწმების შედეგად დადასტურდა, რომ სკოლა/კოლეჯში არსებული ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმებით გათვალისწინებულია დაგეგმვის, განხორციელების, შემოწმებისა და განვითარების ეტაპები მატერიალური რესურსების შეფასების კუთხითაც. ამ მიზნით შემუშავებულია კითხვარის ფორმები, რომლითაც დგინდება რესურსების არსებობა, საკმარისობა და ეფექტიანობა. კითხვარების ანალიზის და შესაბამისი სამსახურის წარმომადგენლების წლიური ანგარიშების შესწავლის შედეგად,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ნათლად ჩანს, წლების განმავლობაში მატერიალური და ინფრასტრუქტურული რესურსების განვითარების პროცესი, რასაც ასევე ადასტურებს პროფესიულ სტუდენტებთან, მასწავლებლებთან და ადმინისტრაციასთან გასაუბრების შედეგები.

კოლეჯში ტარდება ასევე საგანამანთლებლო პროგრამების მატერიალური რესურსის რეგულარული შეფასება, რომელსაც ახორციელებს პროგრამის ხელმძღვანელი (რესურსის აღრიცხვის ბარათები).

8. ფაქტობრივი მდგომარეობის დათვალიერებისას დადგინდა, რომ შენობის სამივე სართულზე მოწყობილია გამიჯნული სანიტარული კვანძები (7) მამაკაცებისა და ქალბატონებისთის, რომლებიც მუდმივად მარაგდება წყლით და აქვს უწყვეტი განათება. მათში უზრუნველყოფილია პირადი ჰიგიენის დაცვა, ხელმისაწვდომია ყველა პროფესიული სტუდენტისთვის და პერსონალისთვის, მათში დაცულია სანიტარულ ჰიგიენური ნორმები. რაც შეეხება შშმ პირებს მათთვის მოწყობილია შესასვლელში პანდუსი, თუმცა სართულებზე გადასაადგილებლად არ არის დამონტაჟებული პანდუსები. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით სკოლა/კოლეჯს სსსმ სტუდენტები არ ჰყავს.
9. სკოლა/კოლეჯის შენობაში არსებულ ყველა სივრცეში, აუდიტორიაში და ადმინისტრაციულ სივრცეებში, ასევე ბიბლიოთეკაში არის როგორც ბუნებრივი ასევე ხელოვნური განათების შესაძლებლობა.
10. სკოლა/კოლეჯის ყველა სივრცე ისეა განლაგებული, რომ ხელს უწყობს საგანმანათლებლო და ადმინისტრაციული პროცესის ეფექტურ წარმართვას.
11. სკოლა/კოლეჯის ბიბლიოთეკა განთავსებულია მესამე სართულზე. პროფესიული სტუდენტებისთვის, პროგრამის განმახორციელებელი პირებისთვის ხელმისაწვდომია ბიბლიოთეკის როგორც მატერიალური, ასევე ელექტრონული საგანმანათლებლო რესურსი, რომელიც დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად. ელექტრონული სასწავლო რესურსები ჩატვირთულია ბიბლიოთეკაში არსებულ კომპიუტერში და განთავსებულია ვებგვერდზე. შესაბამისად მომხმარებლისთვის ხელმისაწვდომია ბიბლიოთეკის როგორც მატერიალური, ასევე ელექტრონული საგანმანათლებლო რესურსი,

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- უსასყიდლო უზუფრუქტის 6 წლიანი ხელშეკრულება 26 მარტი 2021;
- ა(ა) იპ სათავგადასავლო ტურიზმის სკოლის დირექტორის მიერ, 2022 წლის 22 აგვისტოს, N 04/38 ბრძანებით დამტკიცებულია სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა (დანართი 2);
- სსაიპ სახელმწიფო ქონების მართვის სააგენტოსთან, ასევე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინიტროსთან წარმოებული კორესპონდეციები (დანართი 3);

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- ა(ა)იპ სათავგადასავლო ტურიზმის სკოლის დირექტორის 2022 წლის 22 აგვისტოს ბრძანება გაუმჯობესების გეგმის დამტკიცების შესახებ (დანართი 4);
- საქართველოს მთავრობის 2021 წლის 21 იანვრის N66 განკარგულება;
- სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოსთან გაფორმებული 6 წლიანი უსასყიდლო უზუფრუქტის ხელშეკრულება;
- ამონაწერი საჯარო რეესტრიდან;
- შენობის აზომვითი ნახაზი;
- ა(ა)იპ სათავგადასავლო ტურიზმის სკოლის დირექტორის 2022 წლის 18.03. №04/12 ბრძანებით დამტკიცებული მატერიალური რესურსის გამოყენების/განკარგვის წესი;
- რესურსების რეგულარული შეფასებისა და განვითარების გეგმის შემუშავების მეთოდოლოგია;
- სპეციალური ფორმა ავტორიზაციის სტანდარტით გათვალისწინებული სავალდებული სივრცეების/ფართების ფლობის შესახებ;
- ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი;
- შრომის უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები;
- ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი -დამტკიცებულია N04- 137-1. 2020 წ;
- რესურსების რეგულარული შეფასებისა და განვითარების გეგმის შემუშავების მეთოდოლოგია;
- ფაქტობრივი მდგომარეობის შეფასების შედეგები;
- კოლეჯის ვებგვერდი;
- პროფესიულ სტუდენტთა მხარდაჭერის მექანიზმები;
- კოლეჯის დირექტორის 2022 წლის 15 მარტის №04/7 ბრძანებით დამტკიცებული „ა(ა)იპ სათავგადასავლო ტურიზმის სკოლის დებულება;
- პერსონალის სამუშაო აღწერილობა;
- პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნები;
- კოლეჯის შინაგანაწესი;
- მასალა-ნედლეულის, ინვენტარის მოთხოვნისა და მიღება-ჩაბარების აქტები;
- „ ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები“;
- ა(ა)იპ სათავგადასავლო ტურიზმის სკოლის თვითშეფასების დოკუმენტი;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

თბილისი, 2022

- პერსონალთან, პროფესიულ სტუდენტებთან გასაუბრების შედგები.

შეფასება:

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

5.1.2 პსდ-ში დაცულია პერსონალისა და პროფესიული სტუდენტების უსაფრთხოება

1. დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებულ ყველა ფართში დაცულია უსაფრთხოების ზომები;
2. დაწესებულებაში მოქმედებს პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის მექანიზმები;
3. დაწესებულებაში მოქმედებს საგანგებო სიტუაციების მართვის მექანიზმი;
4. დაწესებულება საგანმანათლებლო მიზნებისათვის გამოყენებულ მის საკუთრებაში/მფლობელობაში არსებულ მთელ პერიმეტრზე უზრუნველყოფს წესრიგის დაცვას.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1 სკოლა/კოლეჯმა წარმოადგინა კომპეტენტური ორგანოს მიერ გაცემული დასკვნა ხარვეზების გამოსწორების მითითებებით და ასევე საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის, სსიპ სახელმწიფო რეზერვებისა და სამოქალაქო უსაფრთხოების სერვისების სააგენტოს საბოლოო წერილი - სახანძრო უსაფრთხოების ზედამხედველობის სახანძრო -ტექნიკური შემოწმების და გამოკვლევის აქტი N 63 (28.04.202), რომლის თანახმად ა(ა)იპ სათავგადასავლო ტურიზმის სკოლის შენობა-ნაგებობის ხანძარსაწინააღმდეგო მდგომარეობა შეესაბამება სახანძრო

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

უსაფრთხოების მოთხოვნების მარეგულირებელ ნორმებს. წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზის და ფაქტობრივი მდგომარეობის ვიზუალური დათვალიერებით ჩანს, რომ დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებულ ყველა ფართში დაცულია უსაფრთხოების ზომები. დაწესებულების მთელ პერიმეტრზე განთავსებულია ცეცხლმაქრები, პირველ სართულზე დამონტაჟებულია სტენდი ყველა ატრიბუტიკით, ყველა სივრცეში დამონტაჟებულია კვამლის აღმომჩენი დეტექტორები, EXIT-ები.

2 სკოლა/კოლეჯში გამოყოფილია კუთხე სამედიცინო მომსახურებისთვის, სადაც განთავსებულია სამედიცინო ტახტი, მაგიდა და კარადა სამედიცინო პრეპარატებისთვის. სპეციფიკიდან გამომდინარე სკოლას აქვს სამედიცინო ჩანთები, რომლებიც აღჭურვილია შესაბამისი სამედიცინო საშუალებებით. პირველადი გადაუდებელი დახმარების გაწევაზე პასუხისმგებელი პირია მედდა. სკოლის დებულებაში განსაზღვრულია მისი უფლება მოვალეობები და მასთან გაფორმებულია შესაბამისი ხელშეკრულება. დოკუმენტიდან ჩანს, რომ მას ევალება სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვაზე ზრუნვა/მონიტორინგი, ყველა საჭირო ხელსაწყოს სათანადო სანიტარული ნორმებით დაცვა-შენახვა, მიღებული და გაცემული მედიკამენტების რეგისტრაცია სპეციალურ ჟურნალში, პირველადი გადაუდებელი დახმარებისათვის საჭირო მედიკამენტების ნუსხის განსაზღვრა და მათი ხარისხის კონტროლი, შენახვა და გაცემა. შემუშავებულია პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის მექანიზმები, რომელიც გაწერილია დოკუმენტში - „უსაფრთხოების უზრუნველყოფის და პირველადი გადაუდებელი დახმარების მექანიზმები“. დოკუმენტი დამტკიცებულია ა(ა)იპ სათავგადასავლო ტურიზმის სკოლის დირექტორის 2022 წლის 18.03. №.04/13 ბრძანებით. ექსპერტების მიერ გადამოწმდა მიღებული და გაცემული მედიკამენტების რეგისტრაციის ჟურნალი, შემოწმდა საჭირო მედიკამენტების არსებობა და ვადა. ვადასთან დაკავშირებით დარღვევები არ გამოვლენილა. განხორციელდა პასუხისმგებელ/დაინტერესებულ პირებთან გასაუბრება, მათ შორის პროფესიულ სტუდენტებთანაც. მათ აღნიშნეს რომ ქვეყანაში არსებული ეპიდემიოლოგიური მდგომარეობის გათვალისწინებით კოლეჯში ჩატარდა საინფორმაციო შეხვედრა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

თბილისი, 2022

3 სკოლა/კოლეჯში მოქმედებს საგანგებო სიტუაციების მართვის მექანიზმები. სკოლამ წარმოადგინა კომპეტენტური ორგანოს მიერ გაცემული დასკვნა ხარვეზების გამოსწორების მითითებებით და ასევე საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის საბოლოო წერილი, რომლის თანახმად სკოლის მიერ შემუშავებული გეგმა შეესაბამება 2017 წლის 6 ოქტომბრის საქართველოს მთავრობის №452 დადგენილების "საგანგებო მართვის გეგმის მომზადების წესების შემუშავების შესახებ" მოთხოვნებს და შეთანხმებული იქნა სამსახურის მიერ. შენობის სამივე სართულზე თვალსაჩინო ადგილას გამოკრულია საევაკუაციო გეგმები და ევაკუაციის ინსტრუქცია, ასევე გამოკრულია საგანგებო სიტუაციების დროს საჭირო ტელეფონის ნომრების სია, საევაკუაციო გასასვლელის ნიშნები.

4 სკოლა/კოლეჯი, საგანმანათლებლო მიზნებისთვის გამოყენებულ მის საკუთრებაში/მფლობელობაში არსებულ მთელ პერიმეტრზე, უზრუნველყოფს წესრიგის დაცვას. დაცვის და უსაფრთხოების სპეციალისტი აკონტროლებს შენობის შიდა პერიმეტრს, მისი ფუნქციები და უფლება-მოვალეობები გაწერილია დაწესებულების დებულებაში. შენობის გარე (4) და შიდა (4) პერიმეტრები უზრუნველყოფილია ვიდეოკონტროლის სისტემით.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის, სსიპ სახელმწიფო რეზერვებისა და სამოქალაქო უსაფრთხოების სერვისების სააგენტოს საბოლოო წერილი;
- სახანძრო უსაფრთხოების ზედამხედველობის სახანძრო -ტექნიკური შემოწმების და გამოკვლევის აქტი N 63 (28.04.202);
- პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის მექანიზმები;
- ა(ა)იპ სათავგადასავლო ტურიზმის სკოლის დირექტორის 2022 წლის 18.03. №.04/13 ბრძანებით დამტკიცებული „უსაფრთხოების უზრუნველყოფის და პირველადი გადაუდებელი დახმარების მექანიზმები";
- საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის საბოლოო წერილი;
- საგანგებო სიტუაციების მართვის მექანიზმები;
- ფაქტობრივი მდგომარეობის დათვალიერების შედეგები;
- შესყიდვის დოკუმენტაცია.

შეფასება:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

თბილისი, 2022

5.2 საინფორმაციო რესურსები

5.2.1 პსდ-ს ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

1. პსდ-ში შექმნილი IT ინფორმაციის ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა შეესაბამება დაწესებულების პროცესებს;
2. პსდ ახორციელებს საინფორმაციო ტექნოლოგიების IT რისკების მართვას;
3. დაწესებულება უზრუნველყოფს პერსონალურ მონაცემთა დაცვას;
4. პსდ აფასებს საინფორმაციო ინფრასტრუქტურისა და IT პროცესების სისტემის ეფექტიანობას;
5. პროფესიული სტუდენტებისა და პერსონალისათვის მუდმივად ხელმისაწვდომია პსდ-ს IT ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა და მომსახურება;
6. პსდ უზრუნველყოფს პროფესიულ სტუდენტთა და პერსონალის ინფორმირებას ერთიანი ელექტრონული საკომუნიკაციო მექანიზმით/სისტემით.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლა/კოლეჯის მფლობელობაშია 2 კომპიუტერი და 8 ლეპტოპი. სტუდენტებისა და პერსონალისათვის ხელმისაწვდომია უსადენო (wifi) ქსელი. კომპიუტერების პარამეტრები სასწავლო და ადმინისტრაციული პროცესების შესაბამისია. სკოლა/კოლეჯის მლობელობაშია ასევე 5 პრინტერი, 1 ტელევიზორი. ხელშეკრულებაა გაფორმებული ჰოსტინგისა და დომენის მომსახურებაზე შპს "სერვ.ჯი" -სთან - მომსახურების საგანია მიმწოდებლის კუთვნილ ვებ-სერვერზე 5000 მბ ვირტუალური ჰოსტინგის გამოყოფა. დაწესებულების წარმომადგენლებთან გასაუბრებამ გვიჩვენა, რომ დაწესებულებაში არსებული კომპიუტერების რაოდენობა პროგრამის სპეციფიკიდან გამომდინარე (სტუდენტები ძირითადად ველზე არიან გასულები) უზრუნველყოფს დაწესებულებაში ადმინისტრაციული და საგანმანათლებლო პროცესის შეუფერხებელ წარმართვას. დაწესებულების მთელ პერიმეტრზე ხელმისაწვდომია ინტერნეტი, <u>თუმცა, ექსპერტთა მოსაზრებით, რამდენადაც სტუდენტთა რაოდენობა ჯგუფში 15 პირია, სასურველია დაემატოს რამდენიმე კომპიუტერი.</u>
2. სკოლა/კოლეჯს შემუშავებული აქვს და დირექტორის 2020 წლის 7 აპრილის N04/137-1 ბრძანებით დამტკიცებულია ა(ა)იპ სათავგადასავლო ტურიზმის სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების მართვის პოლიტიკა და პროცედურები. დოკუმენტი განსაზღვრავს ინფორმაციული ტექნოლოგიების მართვის ხელშეწყობ მექანიზმებს სკოლის ფორმისა და ფუნქციების შესაბამისად.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სკოლის საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერს და სასწავლო პროცესის მენეჯერს ევალება უზრუნველყოს ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურის (კომპიუტერული ტექნიკა, პრინტერები, აუდიოაღჭურვილობები, მონიტორები, პროექტორები, პროგრამული უზრუნველყოფა, ინტერნეტი) მუდმივი და სტაბილური ხელმისაწვდომობა სტუდენტებისა და პერსონალისათვის.

ორივე კომპიუტერი და ლეპტოპები აღჭურვილია ანტივირუსული პროგრამული უზრუნველყოფით. ტექნიკის ინფრასტრუქტურაზე მუდმივ ზედამხედველობასახორციელებს საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი. ხელშეკრულების თანახმად იგი შემოსული განცხადებების საფუძველზე ახორციელებს კომპიუტერული ტექნიკის მდგომარეობის შესწავლას და საჭიროების შესაბამისად იღებს გადაწყვეტილებას დაზიანებული სისტემების შეკეთებისა და ახლით ჩანაცვლების შესახებ. შეკეთების შემთხვევაში ფორმდება მომსახურების ხელშეკრულება IT სპეციალისტთან, ხოლო ახლით ჩანაცვლების შესახებ ეცნობება ადმინისტაციას. ვიზიტის პერიოდში გაფორმდა შესაბამისი ხელშეკრულება (2022 წლის 30 ივნისი) პირთან, რომლის კვალიფიკაცია დასტურდება ცნობით, რომ მან დაამთავრა სსიპ კოლეჯის ,,თეთნულდი", საგანმანათლებლო პროგრამის ,,სამუშაოს მაძიებელთა პროფესიული კვალიფიკაციის ამაღლების სახელმწიფო ქვეპროგრამის” ფარგლებში „პროფესიული მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა ,,სადენიანი და უსადენო შიდა ქსელის გამართვა და გაუმართაობის აღმოფხვრა“.

3. ა(ა)იპ სათავგადასავლო ტურიზმის სკოლა უზრუნველყოფს ადამიანის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების დაცვას, მათ შორის, პირადი ცხოვრებისა და პერსონალური მონაცემების დაცვის კუთხით. სოციალური პასუხისმგებლობიდან გამომდინარე, სკოლა/კოლეჯი განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს დასაქმებულების, პროფესიული სტუდენტების და ზოგადად, მასთან სახელშეკრულებო ურთიერთობაში მყოფი ფიზიკური პირების პერსონალურ მონაცემთა დაცვას. შესაბამისად, პერსონალურ მონაცემთა დამუშავებისას, სკოლა/კოლეჯი მოქმედებს „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის, სხვა ნორმატიული აქტებისა და პერსონალურ მონაცემთა დაცვის პოლიტიკის შესაბამისად. სკოლაში შემუშავებულია და დირექტორის 2022 წლის 18.03. №04/11 ბრძანებით დამტკიცებულია „პერსონალურ მონაცემთა დაცვის მექანიზმები“. დოკუმენტით განსაზღვრული წესები შეესაბამება არსებულ საკანონმდებლო მოთხოვნებს და მასში გათვალისწინებულია სუბიექტის უფლებები და ინტერესები. დოკუმენტი მოიცავს ინფორმაციას შემდეგი საკითხების შესახებ: პერსონალური მონაცემების დამუშავების პრინციპები და საფუძვლები, მონაცემთა სუბიექტის მიერ ინფორმაციისა და მონაცემთა გასწორების, განახლების, დამატების, დაბლოკვის, წაშლისა და განადგურების მოთხოვნის უფლება, ბიომეტრიული მონაცემების დამუშავება, შენობის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ვიდეოთვალთვალი, მონაცემთა დამუშავება კოლეჯის შენობაში შესვლისა და შენობიდან გასვლის აღრიცხვის მიზნით, წვდომა პერსონალურ მონაცემებზე, მონაცემთა უსაფრთხოება.
სკოლა/კოლეჯის ყველა თანამშრომლის, ასევე პროფესიული სტუდენტების ხელშეკრულებებში გათვალისწინებულია პუნქტი პერსონალურ მონაცემთა დამუშავების შესახებ და ყველა მათთგანს გაცხადებული აქვს თანხმობა ამასთან დაკავშირებით, რაც დასტურდება ხელმოწერით.

4. IT ტექნიკის რეგულარულ შემოწმებაზე და მონიტორინგზე პასუხისმგებელი პირი არის საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი, რომელსაც თავის მოვალეობებთან ერთად ეს ფუნქციაც აქვს შეთავსებული. გასაუბრების შედეგებით ირკვევა რომ კოლეჯი რეგულარულად აფასებს საინფორმაციო ინფრასტრუქტურისა და IT პროცესების სისტემის ეფექტიანობას, თუმცა მათ ვერ წარმოადგინეს მონიტორინგის ამსახველი დოკუმენტაცია. <u>შესაბამისად ექსპერტების მიერ გაიცა რეკომენდაცია, შემუშავდეს IT ტექნიკის მონიტორინგის გეგმა და ჩატარებული სამუშაოების შედეგების ანგარიშგება განხორციელდეს მოხსენებითი ბარათებით.</u>

5. სკოლა, თავისი სპეციფიკიდან გამომდინარე, უზრუნველყოფს IT ტექნოლოგიების შესაბამისი მომსახურების ხელმისაწვდომობას როგორც პროფესიული სტუდენტებისთვის, ასევე პერსონალისთვის - სასწავლო ან სამუშაო პერიოდში, თითოეული სამიზნე ჯგუფისათვის გამოყოფილია/ხელმისაწვდომი ლეპტოპი, რომლებსაც ისინი სამთო ლაშქრობისას იყენებენ. კოლეჯის წარმომადგენლებმა განმარტეს, რომ პროფესიული სტუდენტებისა და პერსონალისათვის მუდმივად ხელმისაწვდომია კოლეჯის IT ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა და მომსახურება; ვიზუალური დაათვალიერების შედეგებით დგინდება, რომ კოლეჯის გარემო, აუდიტორიები, ბიბლიოთეკა, სამასწავლებლო და ადმინისტრაციისთვის გამოყოფილი ოთახები აღჭურვილია შესაბამისი ტექნოლოგიით. ბიბლიოთეკაში არის კომპიუტერი, სადაც ჩატვირთულია სასწავლო რესურსები.

6. სტუდენტთა და პერსონალის ინფორმირებისათვის სკოლაში შექმნილია ერთიანი ელექტრონული საკომუნიკაციო მექანიზმები. პროფესიული სტუდენტებისა და მასწავლებლებისათვის სოციალურ ქსელში შექმნილია ჯგუფები, გამოიყენება ასევე ელექტრონული ფოსტა. ფაქტობრივი მდგომარეობის გადამოწმების შედეგებით დასტურდება რომ სტუდენტებთან ინფორმაციული კომუნიკაცია ხორციელდება ელ-ფოსტით და სოციალური ქსელის დახურული ჯგუფებით,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ინტერნეტ პროვაიდერთან გაფორმებული ხელშეკრულება - ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ №1 21.01.2022 წელი
- ინფორმაციული ტექნოლოგიების მართვის წესი (დირექტორის ბრძანება N67 07.02.2022წ);
- დირექტორის 2020 წლის 7 აპრილის N04/137-1 ბრძანებით დამტკიცებულია ა(ა)იპ ა(ა)იპ სათავგადასავლო ტურიზმის სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების მართვის პოლიტიკა და პროცედურები.
- კომპიუტერების, ლეპტოპების, ვიდეო კამერების შესყიდვის დოკუმენტაცია;
- ინფორმაციული ტექნოლოგიების შემოწმებისა და შეფასების შედეგები
- ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურის შესწავლის შედეგი (კომპიუტერული ტექნიკა, პროგრამული უზრუნველყოფა, ინტერნეტი);
- IT ვირუსისგან დამცავი სისტემის შემოწმების შედეგი;
- უკაბელო ინტერნეტის ადგილზე შემოწმების შედეგი;
- დაწესებულების დომეინით პერსონალისთვის ამოქმედებული ელ-ფოსტის მისამართების შემოწმების შედეგი;
- ელ-ფოსტის ერთიანი ჯგუფი პროფესიული სტუდენტებისთვის, ასევე პერსონალისთვის და/ან სხვა ელექტრონული სისტემა;
- დირექტორის 2022 წლის 18.03. №04/11 ბრძანებით დამტკიცებული „პერსონალურ მონაცემთა დაცვის მექანიზმები“;
- ა(ა)იპ ა(ა)იპ სათავგადასავლო ტურიზმის სკოლის „შინაგანაწესი“
- პროფესიულ სტუდენტებთან და პერსონალთან გაფორმებული ხელშეკრულებები
- პერსონალთან, პროფესიულ სტუდენტებთან გასაუბრების და ფაქტობრივი მდგომარეობის შეფასების შედგები
- ინფორმაციული ტექნოლოგიების მართვის პროცედურები;

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

თბილისი, 2022

☐ არ შეესაბამება

5.2.2 პსდ-ში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

1. პსდ-ში მოქმედებს კანონმდებლობასთან შესაბამისი საქმისწარმოების წესი;
2. პსდ-ს მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის, ელექტრონული საქმისწარმოებისთვის;
3. პსდ უზრუნველყოფს პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში სრულყოფილი ინფორმაციის კანონმდებლობით დადგენილი წესით შეტანას;
4. პსდ დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობაზე კონტროლის განმახორციელებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. დაწესებულებაში მოქმედებს კანონმდებლობასთან შესაბამისი საქმისწარმოების წესი, რომელიც დამტკიცებულია ა(ა)იპ სათავგადასავლო ტურიზმის სკოლის დირექტორის 2022 წლის 15 მარტის №04/7 ბრძანებით. წესი არეგულირებს საქმისწარმოების პროცედურებს, ელექტრონული და მატერიალური დოკუმენტბრუნვის სისტემას, საარქივო საქმესა და დოკუმენტების განადგურების პროცედურებს. დოკუმენტით განსაზღვრულია: წესის დამტკიცების, ცვლილებების შეტანის პროცედურა; წესის გაცნობა პერსონალისათვის; საქმისწარმოების ფორმა; დოკუმენტბრუნვის ორგანიზება; შემოსული კორესპონდენციის მიღებისა და რეგისტრაციის წესი; გასაგზავნი დოკუმენტის/კორესპონდენციის მომზადების, გაგზავნისა და გაგზავნილი კორესპონდენციის რეგისტრაციის წესი; ბრძანებების შედგენის, რეგისტრაციისა და აღრიცხვის წესი; ხელშეკრულებების/მემორანდუმების/შეთანხმებები რეგისტრაციისა და აღრიცხვის წესი; სხდომების და სამუშაო შეხვედრების ოქმების გაფორმებისა და რეგისტრაციის წესი; პირადი საქმეების წარმოების წესი. საქმისმწარმოებლის უფლება-მოვალეობები, ნომენკლატურის შედგენასთან და არქივთან დაკავშირებული რეგულაციები და სხვა. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე წესი ვრცელდება სკოლის ყველა სახის დოკუმენტაციაზე სკოლა/კოლეჯი იყენებს დოკუმენტბრუნვის როგორც მატერიალურ ასევე ელექტრონულ სისტემას ,,eflow”-ს. ,,eflow”-ს სისტემის მეშვეობით ხდება დოკუმენტის მიღება, კოლეჯის დოკუმენტების სხვა უწყებაში გაგზავნა, ადრესატისათვის/დაინტერესებული პირისთვის/შემსრულებლისთვის დოკუმენტის დაუყოვნებლივ მიწოდება/გადაგზავნა და შენახვა. საქმისწარმოებაზე პასუხისმგებელ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პირად კოლეჯში გამოყოფილია საქმისმწარმოებელი. ესპერტთა მიერ გადამოწმდა შესაბამისი დოკუმენტაცია და დადგინდა მათი შესაბამისობა კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებთან.

2. სკოლა/კოლეჯი უზრუნველყოფილია საინფორმაციო ტექნოლოგიებით, ბუღალტერია სარგებლობს ORIS -ის ელექტრონული პროგრამით, საქმისწარმოებისთვის, მატერიალური ფორმის დოკუმენტბრუნვასთან ერთად, გამოყენებულია ელექტრონულ სისტემა e-flow. სტუდენტებთან თუ სხვა დაინტერსებულ მხარეებთან კომუნიკაციისთვის კოლეჯი იყენებს სოციალურ ქსელებს, საკუთარ ვებგვერდს.

3. ექსპერტების მიერ, გამოცემული აქტების (ბრძანებები პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერების/შეწყვეტის შესახებ, ასევე დაწესებულების, პერსონალის და საგანმანათლებო პროგრამების შესახებ ინფორმაციის მართვა საინფორმაციო სისტემაში) შემოწმების შედეგად დადგინდა, რომ დაწესებულება უზრუნველყოფს მართვის საინფორმაციო სისტემაში ინფორმაციის კანონმდებლობით დადგენილი წესებისა და ვადების დაცვით ასახვას.

4. ექსპერტთა შემოწმების შედეგად დგინდება, რომ სკოლაში ფუნქციონირებს „საქმიწარმოების წესით“ დადგენილი, შემოსული დოკუმენტების შესრულების და გაცემის ვადები, რომელზე კონტროლიც ეკისრება საქმისმწარმოებელს. სკოლის დებულებაში ასახულია, თუ რა პრინციპით და რა პერიოდში ხდება ინფორმაციის ასახვა www.evet.emis.ge-ზე.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ა(ა)იპ სათავგადასავლო ტურიზმის სკოლის დირექტორის 2022 წლის .15.03. №04/7 ბრძანებით დამტკიცებულია საქმისწარმოების წესი;
- ელექტრონულ სიტემის (eFlow) შემოწმების შედეგები;
- საქმისმწარმოებელთან გასაუბრების შედეგები;
- პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მონაცემები;
- საქმისწარმოების ელექტრონული სისტემა (პროგრამული უზრუნველყოფა);
- მიღებული და გაგზავნილი კორესპონდენცია, გაგზავნილი ანგარიშები და სხვ.;
- პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მონაცემები და შემოწმების შედეგები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



თბილისი, 2022

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

5.2.3 პსდ მიზანმიმართულად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას

1. პსდ-ს ოფიციალური ვებგვერდი და სოციალური ქსელის გვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას და ითვალისწინებს ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების ინტერესს;
2. დაწესებულებას, რომლის მისიაშიც განსაზღვრულია საერთაშორისო თანამშრომლობის პრიორიტეტი ან უცხოენოვანი პროგრამის განხორციელება, აქვს იმ ენის შესაბამისი ვებგვერდიც, რომელზეც ახორციელებს სწავლებას;
3. პსდ უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას;
4. საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი ემსახურება დაინტერესებული პირების ინფორმირებას პსდ-ის საგანმანათლებლო აქტივობების შესახებ;
5. პროგრამების კატალოგი ახლდება წლიურად, ასევე პროგრამაში განხორციელებული ცვლილებების შესაბამისად;
6. საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხების შედეგად მიღებულ უკუკავშირს პსდ იყენებს მისი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლა/კოლეჯის ვებგვერდი და ასევე სოციალური ქსელის გვერდები ასრულებენ როგორც საკომუნიკაციო, ისე საინფორმაციო ფუნქციას და ითვალისწინებენ ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების შესაძლებლობას. რეგულარულად მიმდინარეობს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ინფორმაციის განახლება. ვებ-გვერდზე http://ats.ge/ განთავსებულია საკონტაქტო ინფორმაცია (ტელეფონი ნომერი და ელექტრონული ფოსტა, მისამართი), ასევე ინფორმაცია კოლეჯის მისიის, ხედვის, ღირებულებების შესახებ. ატვირთულია სტრატეგიული და სამოქმედო გეგმები, ასევე მათი ანგარიშები, კატალოგი, შესრულების ანგარიშები, კანონმდებლობასთან შესაბამისი მარეგულირებელი დოკუმენტები, ელექტრონული კატალოგის მისამართი. განთავსებულია ინფორმაცია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებისა და მომზადება-გადამზადებების პროგრამების, პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის პოლიტიკის, კოლეჯის სტრუქტურის, დამფუძნებლების, ისტორიის შესახებ. ვებ-გვერდის მართვაზე პასუხისმგებელია საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი. დაინტერესებული პირები ინფორმაციას იღებენ სკოლის სოციალური ქსელის საშუალებით. კოლეჯის ვებ-გვერდზე და სოციალური ქსელის გვერდზე სიახლეების/ანონსების/ფოტო და ვიდეო მასალების განთავსებისას დაცულია „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონი. აღსანიშნავია, რომ მიუხედავად იმისა, რომ ვებგვერდზე ატვირთულია ყველა საჭირო ინფორმაცია, მასზე მუშაობა სირთულეებს ქმნის, აქედან გამომდინარე სკოლას მიეცა განმავითარებელი რეკომენდაცია მის განახლებასთან და სტრუქტურირებასთან დაკავშირებით.

2. სკოლაში ამ ეტაპზე უცხო ენოვანი პროგრამები არ ხორციელდება, თუმცა კოლეჯის მისიით და სტრატეგიული მიზნებით განსაზღვრულია, უცხოენოვანი და გაცვლითი პროგრამების განხორციელება. საერთაშორისო პარტნიორებთან თანამშრომლობა წარმოადგენს სკოლის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს. სკოლას ამ ეტაპამდე არ აქვს ბოლომდე გამართული ინგლისურენოვანი ვებგვერდი. ვებგვერდის დათვალიერების შედეგებით და ადმინისტრაციასთან გასაუბრებით დგინდება, რომ დაწყებულია მუშაობა. ექსპერტთა შეფასებით, სასურველია ზოგადად ვებგვერდი მოწესრიგდეს და ასევე ინგლისურენოვანი ვერსია დროულად ამოქმედდეს, რასთან დაკავშირებითაც კოლეჯს მიეცა განმავითარებელი რეკომენდაცია.

3. ა(ა)იპ სათავგადასავლო ტურიზმის სკოლის დირექტორის 2022 წლის 18.03. №04/11 ბრძანებით დამტკიცებულია საზოგადოებასთან ურთიერთობისა და კომუნიკაციის წესი. აღნიშნული წესით განისაზღვრება სკოლის საქმიანობის შესახებ გამჭვირვალე საკომუნიკაციო სტრატეგიის განხორციელება, ინფორმაციის საჯაროობისა და ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა; ვებგვერდისა და სოციალური მედიის არხების საინფორმაციო უზრუნველყოფა; სკოლის საქმიანობის პოპულარიზაცია; სკოლის/კოლეჯის სიახლეების, მიღწევების და სხვა საქმიანობის ამსახველი საკითხების მედიის მხრიდან საინფორმაციო მხარდაჭერის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



უზრუნველყოფა; გარდა ამისა, სოციალური ქსელის გვერდისა და ვებ-გვერდის მართვის ფუნქცია დაკისრებული აქვს საზოგადოებასთან ურთიერთობების მართვის მენეჯერს, რაც დასტურდება მისი სამუშაო აღწერილობებით. შეფასებით დადგინდა, რომ კოლეჯი უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განსახორციელებელი საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას;

4. საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი განთავსებულია კოლეჯის ოფიციალურ ვებგვერდზე https://ats.ge და მასში მოცემულია ინფორმაცია კოლეჯის მიერ განსახორციელებელი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „სამთო გამყოლი“ - მისანიჭებელი კვალიფიკაციის, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მიზნების, სწავლის შედეგების, კრედიტებისა და შეფასების წესის შესახებ. ვინაიდან კატალოგი წარმოადგენს დაწესებულების სარეკლამო დოკუმენტს, დაინტერესებულ პირს ის აწვდის მნიშვნელოვან მესიჯებს თუ რას წარმოდგენს დაწესებულება, რა რის მისი მიზანი, რა წარმატებები აქვს დაგროვილი წლების განმავლობაში. კატალოგი ასევე მოიცავს ინფორმაციას დაწესებულების ისტორიის, დაწესებულების მთავარი ფასეულობების, პარტნიორი ორგანიზაციების, სხვადასხვა პროექტებში ჩართულობის შესახებ.
5. პროგრამების კატალოგი ასრულებს საინფორმაციო ფუნქციას და ახლდება ყოველი ახალი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების, პროგრამებში განხორციელებული ცვლილების შეტანისას თუ მოდიფიცირების შემთხვევაში. კატალოგი ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული პირისთვის და განთავსებულია კოლეჯის ოფიციალურ ვებგვერდზე. დაწესებულების წარმომადგენლებთან გასაუბრებით დგინდება, რომ ცვლილებების შემთხვევაში გონივრულ ვადებში ხორციელდება კატალოგის განახლება, რათა სწორი ინფორმაცია მიეწოდოთ დაინტერესებულ მხარეებს.
6. როგორც გასაუბრებით და ასევე დოკუმენტის „საზოგადოებასთან ურთიერთობის/კომუნიკაციის წესი“ გაცნობის შედეგებით დასტურდება, სკოლა/კოლეჯში განსაზღვრულია საკომუნიკაციო აქტივობების განხორციელების პირობები, ცნობადობის ამაღლების ღონისძიებების ჩატარების გზები, შიდა და გარე კომუნიკაციის მართვის პრინციპები, საინფორმაციო საშუალებების (ვებგვერდი, ელ-ფოსტა, სოციალური მედიის არხები) მართვისა და განვითარების სტრატეგიები. წესი ითვალისწინებს დაინტერესებული მხარეებისგან მიღებული უკუკავშირის ანალიზისა და რეაგირების ფორმებს. საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერმა გასაუბრებისას აგვიხსნა, რომ ხარისხის შიდა უზრუნველყოფის მიზნებისათვის აქტიურად იყენებს სოციალური ქსელის გვერდიდან, კოლეჯის ვებ-გვერდიდან და სხვა არხებიდან შემოსულ ინფორმაციას, რომელზე უკუკავშირიც გამოიყენება პროცესების შემდგომი გაუმჯობესების მიზნით. კოლეჯმა წარმოადგინა ამონაწერები, რითაც დასტურდება, რომ სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების მოთხოვნიდან გამომდინარე მათვის შეთავაზებულ იქნა დასაქმება საზაფხულო პერიოდში (ბანაკები ,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ტურები და სხვ,); ჩატარდა გამოკითხვა - ინტერნეტწვდომასთან დაკავშირებით - განათლებისა და მეცნირების სამინიტროსთან ერთად; შთავაზებულ იქნა სტუდენტებისათვის სპეციალური ფასდაკლებები სპეცმაღაზიებიდან აღჭურვილობასა და ტანსაცმელზე; სტუდენტებს მიეწოდათ ინფორმაცია საერთაშორისო მარათონში მონაწილეობასთან დაკავშირებით და მრავალი სხვა.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- საზოგადოებასთან ურთიერთობის/ კომუნიკაციის წესი;
- დომენის და ჰოსტინგის ხელშეკრულება;
- პსდ-ს მოქმედი ვებგვერდი ქართულ ენაზე;
- ვებ-გვერდსა და სოც.ქსელის გვერდზე საკონტაქტო და სხვა საჭირო ინფორმაცის, სიახლეების და ასევე პროგრამების კატალოგის დათვალიერების შედეგი;
- ვებ-გვერდზე განთავსებული პსდ-ს მისიის, საქმიანობის, სტრუქტურის, პროგრამის სახელწოდებებისა და ამ პროგრამაზე ჩარიცხვის პროცედურების, პროგრამის მოსალოდნელი სწავლის შედეგებისა და მისანიჭებელი კვალიფიკაციის, სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნების -შემოწმების შედეგი;
- ვებ-გვერდზე განთავსებული ბიბლიოთეკის ელექტრონული კატალოგი, დაწესებულების წლიური ანგარიშები;
- განთავსებული მონაცემების შემოწმების შედეგი (პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ საქართველოს კანონის მოთხოვნათა გათვალისწინებით).

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

თბილისი, 2022

☐ არ შეესაბამება

5.3 ფინანსური რესურსები

5.3.1 დაწესებულება ფინანსურად მდგრადია

1. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების განხორციელება;
2. საოპერაციო ხარჯები უზრუნველყოფილია ფინანსური რესურსით;
3. დაწესებულება უზრუნველყოფს საკუთარი ფინანსური მდგრადობის ობიექტურ შეფასებას;
4. დაწესებულება სათანადოდ რეაგირებს შეფასების შედეგებზე.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. ა(ა)იპ სათავგადასავლო ტურიზმის სკოლის დაფინანსების წყარო წარმოდგენილია, როგორც მიზნობრივი/პროგრამული დაფინანსებით, რომელსაც სკოლა იღებს როგორც სუბსიდიის სახით, ასევე „საკუთარი სახსრების“ ნაწილში ვაუჩერული დაფინანსებით და კანონმდებლობით ნებადართული სხვა წყაროებით მიღებული შემოსავლებით. სკოლა/კოლეჯმა წარმოადგინა, 2021 წლის ფინანსური ანგარიშგების ცხრილი დაფინანსების წყაროების მიხედვით. დაწესებულებას შემუშავებული აქვს წლიური საპროგნოზო ბიუჯეტი. განსაზღვრულია დაწესებულების სტრატეგიული და სამოქმედო გეგმებით გათვალისწინებული ხარჯები. სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის შედგენის პროცესში ჩართულია სკოლის დირექტორი და ბუღალტერი. პასუხისმგებელ პირებთან გასაუბრების შედეგებით, ანგარიშებით, დაფინანსების დინამიკის ანალიზით ჩანს, რომ ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების განხორციელება.
2. ა(ა)იპ სათავგადასავლო ტურიზმის სკოლის როგორც სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული, ისე მიმდინარე, საოპერაციო ხარჯები უზრუნველყოფილია სათანადო ფინანსური რესურსით, რასაც უზრუნველყოფს საქართველოს, განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო ვაუჩერული დაფინანსებით, პროგრამული დაფინანსებით, მოკლევადიანი გადამზადების პროგრამების დაფინანსებით, მიზნობრივი გრანტით და კანონმდებლობით ნებადართული „საკუთარი შემოსავლებით“.

   ა(ა)იპ სათავგადასავლო ტურიზმის სკოლა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ვადებში ადგენს ფინანსურ ანგარიშს, რომელსაც განათავსებს ფინანსური აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის ანგარიშგების პორტალზე. ასევე დაწესებულება დამფუძნებლებს ყოველწლიურად წარუდგენს ფინანსურ ანგარიშებს. სკოლის დირექტორთან

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

გასაუბრების და შესაბამის პორტალზე წარმოდგენილი მტკიცებულებების თანახმად იკვეთება, რომ დაწესებულება უზრუნველყოფს საკუთარი ფინანსური მდგრადობის ობიექტურ შეფასებას.

3. ა(ა)იპ სათავგადასავლო ტურიზმის სკოლა ყოველი წლის ბოლოს აკეთებს სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიშს, რომელსაც აქვეყნებს დაწესებულების ვებგვერდზე. აღნიშნული ანგარიშის და საკუთარი ფინანსური მდგრადობის ობიექტური შეფასების შედეგად გეგმავს შემდგომ აქტივობებს, ანუ სათანადოდ რეაგირებს შეფასების შედეგებზე. ყოველი ახალი წლის სამოქმედო გეგმაში ბიუჯეტის დაგეგმვისას ითვალისწინებს წინა წლის შედეგებს, აუთვისებელ ფინანსებს და ისე გეგმავს ახალი წლის ბიუჯეტი, სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ამოცანების შესაბამისად.
4. სკოლამ წარმოადგინა 2021 წლის ფინანსური შედეგების ანგარიშგების დოკუმენტი, ასევე ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება, წმინდა აქტივების/კაპიტალის ცვლილებების შესახებ ანგარიშგება, ბიუჯეტის და ფაქტობრივი თანხების შედარების ანგარიშგება და სხვა. როგორც ანგარიშიდან ირკვევა სკოლამ 2021 წელს, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროდან მიიღო დაფინანსება, ორი მოკლევადიანი, სასერტიფიკატო, მომზადება/გამზადების პროფესიული პროგრამა „საფეხმავლო გამყოლი“-ს და „სათხილამურო გამყოლი“-ს განხორციელებისათვის. „საკუთარი შემოსავლების“ ნაწილში, სკოლამ განახორციელა ორი მოკლევადიანი სასერტიფიკატო პროგრამა, რითაც მიიღო „კანონმდებლობით ნებადართული სხვა შემოსავლები“. სკოლა წარმატებით აგრძელებს თანამშრომლობას ავსტრიის განვითარების ფონდთან გაფორმებული ხელშეკრულებით, პროექტ „გრეტა“-ს ფარგლებში. მაღალმთიან ზონაში მცხოვრებ ახალგაზრდებთან, ჩატარდა „საფეხმავლო გამყოლის“ სამი კურსი, რის შედეგად ფონდიდან ჩარიცხულ იქნა გარკვეული თანხა. 2021 წლის ბოლოს სკოლამ მოიპოვა ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის მიზნობრივი გრანტი "გენდერული თანასწორობა და ახალგაზრდობის გაძლიერება სათავგადასავლო ტურიზმის პროფესიების საშუალებით" და სხვა.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- წარმოდგენილი საპროგნოზო ბიუჯეტი;
- დაფინანსების დინამიკა;
- სამოქმედო გეგმების შესრულების ანგარიშები;
- ფინანსური აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის ანგარიშგების პორტალზე განთავსებული ფინანსური ანგარიშები;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

თბილისი, 2022

- პასუხისმგებელ პირებთან ინტერვიუს შედეგები.კომპონენტის/კრიტერიუმის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

IX. ინფორმაცია პსდ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

ცხრილი ივსება ცალ-ცალკე თითოეული პროგრამისა და ასევე, პროგრამის განხორციელების ადგილის, განხორციელების ფორმისა და ენის მიხედვით. *(ინდივიდუალურ პროგრამებად განიხილება განხორციელების ადგილისა და სწავლების ენის მიხედვით განსხვავებული პროგრამები. მაქსიმუმ 15 პროგრამა)*

პროგრამის სახელწოდება	სამთო გამყოლი
პროფესიული განათლების დონე	მეოთხე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია სათავგადასავლო ტურიზმში
სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი	1015
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების ადგილი	დუშეთის რაიონი, დაბა გუდაური
პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური)	მოდულური
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა	60
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმის შემთხვევაში, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები (პროგრამაზე მოთხოვნილი საერთო კვოტის ფარგლებში)	
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	83

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

თბილისი, 2022

კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	113

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

X. პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

ცხრილი ივსება თითოეული პროგრამისთვის ცალ-ცალკე

სტანდარტი/კომპონენტი	**შეესაბამება**	**მეტწილად შეესაბამება**	**ნაწილობრივ შეესაბამება**	**არ შეესაბამება**
2) საგანმანათლებლო პროგრამები	☒	☐	☐	☐
2.1) საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება	სრული 3	სრული 3	მეტწილი 2	
2.2) საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი	სრული 3	მეტწილი 2	მეტწილი 2	
2.3) საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება	სრული 3	მეტწილი 2	ნაწილობრივი 1	
2.4) სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება	მეტწილი 2	მეტწილი 2	ნაწილობრივი 1	

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

თბილისი, 2022

XI. სტანდარტის შეფასება

პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

ავტორიზაციის მე-2 სტანდარტის შეფასება ხორციელდება თითოეული პროგრამისთვის ცალ-ცალკე

2. საგანმანათლებლო პროგრამები

2.1 საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება

2.1.1 პროგრამა შემუშავებულია პსდ-ში დანერგილი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;
2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;
3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;
4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;
5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;
6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;
7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;
8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. ა(ა)იპ სათავგადასავლო ტურიზმის სკოლის გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება ქვეყნის საჭიროებებს, გამომდინარეობს დაწესებულების მისიიდან, სტრატეგიული განვითარების გეგმიდან, ეფუძნება სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ შემუშავებულ საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტებს და სკოლა/კოლეჯის მიერ ჩატარებულ ბაზრის კვლევას.

   წარმოდგენილ კვლევის დოკუმენტში ფართოდ და დეტალურად არის განხილული სათავგადასავლო ტურიზმის მნიშვნელობის საკითხები, ქვეყნის განვითარების საქმეში. როგორც დოკუმენტში ვკითხულობთ სკოლის მთავარი მიზანია საქართველოს, საერთაშორისო არენაზე წარდგენა, როგორც საოცარი ბუნების მქონე ქვეყანის, სადაც დაუვიწყარი თავგადასავლების მოწყობაა შესაძლებელი სხვადასხვა სირთულის მწვერვალზე, სწრაფ მდინარეზე, ვრცელ და ღრმა ქვაბულში.

   საგანმანათლებლო დაწესებულების კურსდამთავრებულთა შრომის ბაზრის მოთხოვნების/საჭიროებების გამოსავლენად სკოლამ იხელმძღვანელა მათ მიერვე შემუშავებული მეთოდოლოგიით, რომელშიც დეტალურად არის აღწერილი კვლევის პროცედურები. მეთოდოლოგიის თანახმად შესწავლილ იქნა სათავგადასავლო ტურიზმის რეგიონების (გუდაური/ყაზბეგი, მესტია/სვანეთი, ზემო აჭარა, რაჭა, ლეჩხუმი, კახეთი, ხევსურეთი/თუშეთი, კახეთი/პანკისი) მასშტაბით პოტენციური თვითდასაქმების/დამსაქმებლების საკადრო პოლიტიკის და კადრების შერჩევის პროცესში მოქმედი ფაქტორები. დაწესებულების მიზნებიდან გამომდინარე, გამოიკითხა სხვადასხვა მიმართულების მქონე კომპანია/ საწარმო; ტურისტული კომპანია; სასტუმრო; დარგობრივი ასოციაცია; ადგილობრივი ხელისუფლება (მერია, საკრებულო); თვითდასაქმებულების რაოდენობა. როგორც დოკუმენტიდან ჩანს 80 კომპანიიდან კვლევაში მონაწილეობა მიიღო 50 კომპანიამ. აღნიშნული კვლევის ფარგლებში შესწავლილი იქნა თუ რა პროფესიული კვალიფიკაციის პერსონალი ესაჭიროებათ ადგილობრივ კომპანიებს ბაზარზე და დადგინდა, რომ დღევანდელ შრომის ბაზარზე მეტწილად არსებობს კვალიფიციური კადრების სიმცირე, გამოცდილების არქონა. პროფესიული კადრების სიმცირიდან გამომდინარე კომპანიებს მუდმივად აქვთ თავისუფალი, ვაკანტური ადგილები და ისიც რომ პრობლემის მოგვარების საქმეში მათთვის მნიშვნელოვანია პროფესიულ კოლეჯთან თანამშრომლობა. ისინი მზად არიან სტუდენტებს დაეხმარონ პრაქტიკული გამოცდილების მიღებაში, რაც თავის მხრივ მაღალკვალიფიციურ კონკურენტუნარიან კადრებს მოამზადებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სკოლა/კოლეჯმა წარმოადგინა ასევე საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს საქართველოს შრომის ბაზრის ანალიზი - „ტურიზმის ინდუსტრიაში შრომის ბაზრის საჭიროებათა კვლევა“ და მცხეთა-მთიანეთის მუნიციპალიტეტის კვლევა, ორივე ანალიზი წარმოდგენილია დიაგრამების სახით, რომლებშიც მკაფიოდ იკვეთება სამთო გამყოლის პროფესიის საჭიროება.

დასკვნის სახით პროგრამის განხორციელების დასაბუთებაში განმარტებულია, რომ გამომდინარე ცენტრალური კავკასიონის მწვერვალების სიმაღლიდან, მათი მარშრუტების მრავალფეროვნებიდან და ჯერ კიდევ შენარჩუნებული ველური ბუნებიდან, საქართველოს მთები, ევროპის კონტინენტზე, ყველაზე მიმზიდველი მიმართულებაა სამთო-საგამყოლო საქმიანობისთვის. ეს ინდუსტრია ნიშურია - მცირე რაოდენობის და მაღალი ანაზღაურებით. ალპინიზმით, სკი-ალპინიზმით გატაცებული დასავლელი ტურისტები როგორც წესი მხოლოდ სერტიფიცირებულ გამყოლებს ენდობიან, რამდენადაც მაღალია სიცოცხლის და ჯანმრთელობის რისკი ამ აქტივობებში. საქართველო 2021- ში გახდა სამთო გამყოლთა ასოციაციების საერთაშორისო ფედერაციის წევრი, რითაც სათავგადასავლო ტურისტული სკოლის მიერ გაცემული დიპლომი გაუთანაბრდა საერთაშორისო სტატუსს. სამთო გამყოლის პროგრამის სტაბილურად განხორციელება და სამთო გამყოლების გამოშვება ბაზარზე ერთადერთი შესაძლებლობაა საქართველომ შეინარჩუნოს ეს სტატუსი და მსოფლიოს მიერ აღიარებული სავაჭრო ნიშანი მომავალი წლების და დეკადების განმავლობაში. სამთო გამყოლის პროგრამა ასევე მოტივატორია დამწყები კვალიფიკაციების გასავითარებლად. სამთო გამყოლის პროგრამის ინტერნაციონალიზაცია შესაძლებლობას მისცემს სკოლას ეფექტიანი კონკურენცია გაუწიოს ალპების სამთო-საგამყოლო სასწავლებლებს, მოიზიდოს საერთაშორისო სტუდენტები, გაზარდოს შიდა კონკურენცია, შესაბამისად ხარისხი და ასევე გაზარდოს შემოსავლები კომერციული კურსების ჩატარების ხარჯზე.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით სკოლის გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება მკაფიო დასაბუთებას.

2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობა, მიღების პროცედურები განსაზღვრულია კანონმდებლობით და დაწესებულების შიდა ნორმატიული აქტებით. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.

   პროგრამაზე დაშვების წინაპირობებია:

   - სრული ზოგადი განათლება;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- საკონკურსო ტური;
- აღჭურვილობის ქონა (მოცემული რეკომენდაციების მიხედვით).

პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით განსაზღვრულია საკონკურსო ტურის ჩატარება, რომლის აუცილებელი პირობებია: ალპინისტური გამოცდილება, განვლილი მარშუტების სია; გასაუბრება; ფიზიკური უნარების დემონსტრირება: სათხილამურო ტექნიკური უნარების დემონსტრირება, ალპინისტური ტექნიკური უნარების დემონსტრირება.

პროგრამით განსაზღვრულია ასევე მისაღებ ტურზე დასაკმაყოფილებელი მოთხოვნები: - ტექნიკური უნარების დემონსტრირება: 4 UIAA სირთულის კლდოვანი ან კომბინირებული მარშრუტის გავლა ექსპერტი სამთო/ალპური გამყოლის თანდასწრებით; 6 + UIAA სირთულის კლდოვან მარშრუტზე ცოცვა კლდის საცოცი ფეხსაცმელებით, წრიაპის წინა კბილებით 60 < გრადუსი დახრილობის ყინულის ფერდზე დგომა და გადაადგილება, ციცაბო ყინულოვან რელიეფზე თაფისუფლად გადაადგილება - ზურგით და პირით ფერდისკენ ასვლა, ჩამოსვლა, ტრავერსირება, გაკვალულ და გაუკვალავ თოვლში, 30 -35 გრადუსიან დახრილობის ფერდზე თხილამურით/ სნოუბორდით ყოველ 5 მ-ზე გაუჩერებლად 1 ან მეტი მოხვევის გაკეთება მინიმუმ 100 მეტრის მანძილზე.

3. საგანმანათლებლო პროგრამისთვის სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას ა(ა)იპ სათავგადასავლო ტურიზმის სკოლა განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით, რომელიც დამტკიცებულია სკოლის დირექტორის 2022 წლის 15 მარტის №04-9 ბრძანებით. მეთოდოლოგიის მიხედვით სკოლა განსაზღვრავს საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას შემდეგი პარამეტრებით:
   ა) მოდულის განხორციელებისათვის საჭირო სასწავლო (A,B და C) გარემო;
   ბ) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხანგრძლივობა;
   გ) პრაქტიკის ობიექტების რესურსი;
   დ) მოდულის განმახორციელებელი პროფესიული განათლების მასწავლებლების რაოდენობა.

4. სკოლის მიერ წარმოდგენილ განაცხადს, თან ერთვის საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო მატერიალური რესურსის ჩამონათვალი და სასწავლო რესურსი, რომელიც წარმოდგენილია საგანმანათლებლო პროგრამის თითოეულ მოდულში.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

აღნიშნული რესურსი გათვალისწინებულია საგანმანათლებლო პროგრამით და უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ სწავლის შედეგების მიღწევას.

5. საგანმანათლებლო პროგრამაში არის გათვალისწინებული არჩევითი მოდულები (4 მოდული, არჩევითი ბლოკი). ეს მოდულებია: საფეხმავლო ტურის დაგეგმვა; გამყოლობა ნახევრად უდაბნო ზონაში; გამყოლობა ტყიან ზონაში; გამყოლობა სუბალპურ და ალპურ ზონაში. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან.

6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია უფლებამოსილი პირის, ა(ა)იპ სათავგადასავლო ტურიზმის სკოლის დირექტორის 2022 წლის 17 მარტის N04/10 ბრძანებით.

7. პროგრამის სახელწოდება - სამთო გამყოლი სრულად შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი.

8. საგანმანათლებლო პროგრამა „სამთო გამყოლი“ შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს. შემუშავების საფუძველია ჩარჩო დოკუმენტი „სათავგადასავლო ტურიზმი / Adventure Tourism“ (10118-პ). დამტკიცებული პროგრამით განსაზღვრულია პროგრამის სახელწოდება, მიზნები, მისანიჭებელი კვალიფიკაცია, პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, მისაღწევი სწავლის შედეგები, შეფასების მიმართულებები, კვალიფიკაციის მინიჭების პირობები, პროგრამის მოცულობა, პროგრამის სავარაუდო ხანგრძლივობა. დაწესებულების მიერ, წარმოდგენილ დამტკიცებულ საგანმანათლებლო პროგრამის პაკეტში განთავსებულია პროგრამის ძირითადი დოკუმენტები: მოდულები, სასწავლო გეგმა, ინფორმაცია ადამიანური და მატერიალური რესურსების შესახებ. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა და მათი მოდულები ადაპტირებულია. პროგრამა ითვალისწინებს, როგორც თეორიულ ასევე პრაქტიკულ სწავლების კომპონენტსაც. პროგრამა ითვალისწინებს ქართული ენის მოდულების (A2; B1) სავალდებულოდ გავლას

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

თბილისი, 2022

მხოლოდ იმ ჩარიცხული პირებისთვის, რომლებსაც არ უდასტურდებათ ქართული ენის კომპეტენცია. აღნიშნული პირებისათვის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლება იწყება ქართული ენის მოდულებით. შესაბამისად, პროგრამის მოცულობა ქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისთვის შეადგენს 83 კრედიტს, ხოლო არაქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისთვის - 113 კრედიტს. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას აქვს თანმიმდევრული სტრუქტურა. სასწავლო გეგმაში დაცულია პროგრამის კომპონენტების წინაპირობები.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- საგანმანათლებლო პროგრამა „სამთო გამყოლი“- (დამტკიცებული - N04/10. 17. 03. 2022 წ);
- დებულება - N04/7; 15.03. 2022 წ;
- ხარისხის უზრუნველყოფის გზამკვლევი- დამტკიცებულია- N04-137/1; 07.04.2020 წ;
- ხარისხის მართვის სამოქმედო გეგმა - 2022 წ.; დამტკიცებულია- N04-12; 18.03.2022 წ;
- საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მიზანშეწონილობის დასაბუთება;
- პროგრამის დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების მეთოდოლოგია. N04-9. 15.03. 22;
- პროგრამაზე ჩასარიცხ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია- N04-9. 15.03. 22;
- ბაზრის კვლევა 2021- 2022 წ;
- პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრა „სამთო გამყოლის“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე.

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი

2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;
7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. ა(ა)იპ სათავგადასავლო ტურიზმის სკოლაში „სამთო გამყოლის“ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია სკოლის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის (60 -2 მიღებაზე) გათვალისწინებით; პროგრამის ფარგლებში თეორიულ კომპონენტის ნაწილი ხორციელდება დუშეთის რეგიონის სოფელ გუდაურში მდებარე სამსართულიან შენობაში, სადაც პროგრამის განხორციელებისთვის გამოყოფილი აქვს პროგრამის მოთხოვნების შესაბამისად აღჭურვილი აუდიტორია:

   A/B სასწავლო გარემო - პროფესიულ სტუდენტთა სამუშაო ადგილების რაოდენობა -17. (სასწავლო სივრცე შენობის შიგნით, თეორიული მეცადინეობების და ჯგუფური მუშაობისათვის, არ საჭიროებს განსაკუთრებულ ტექნიკურ უზრუნველყოფას. შესაძლებელია პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ნებისმიერი განლაგება სწავლების შერჩეული მეთოდის გამოსაყენებლად).

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით C გარემოს წარმოადგენს ნებისმიერი სტეპური ან ნახევრადუდაბნოს, ასევე ალპური ზონის შესაბამისი მთათა სისტემა, სადაც შესაძლებელია პროგრამის მიერ გათვალისწინებული მარშრუტების განხორციელება. სკოლას შესაბამისად ფლობელობაში აქვს: ჯგუფური აღჭურვილობა საველე მეცადინეობებისთვის, შეზღუდული რაოდენობის სპეციფიური აღჭურვილობა სადემონსტრაციო მიზნებისთვის და უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად. სხვა ყველა ტექნიკური აღჭურვილობა არის ინდივიდუალური და სტუდენტის და ექსპერტის ვალდებულებაა მათი ქონა.

პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით სკოლას არ სჭირდება პრაქტიკის ობიექტები. თუმცა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმებულია სსიპ პროფესიული კოლეჯთან ,,თეთნულდი“ (ს/კ 235891512) მის: მესტიის მუნუციპალიტეტი, ერეკლე ფარჯიანის ქ. №25.

ასევე პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით თეორიული და პრაქტიკული ნაწილი ერთმანეთთან მჭიდრო კავშირშია, ამდენად თეორიული ნაწილი პრაქტიკასთან ერთად ლაშქრობებში ხორციელდება. ადგილმდებარეობის (სკოლა მდებარეობს ცენტრალური კავკასიონის სამხრეთ ფერდობზე 2700 მ სიმარლეზე ზღვის დონიდან) და ბუნებრივი პირობების, ასევე სხვადასხვა რეგიონიდან მობილიზებული სტუდენტთა გათვალისწინებით, შენობის მეორე სართულზე არის 4 ოთახი 13 ორსართულიანი საწოლით, საჭიროების შემთხვევაში პროფესიულ სტუდენტთა განსათავსებლად.

2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას. პროგრამის განხორციელებისთვის შერჩეულია 10 პირი, მათ შორის 1 ზოგადი მოდულების (ინგლისური ენა). ვიზიტის დროს შემოწმებული იქნა პერსონალის დატვირთვის ფურცლები. წარმოდგენილი დოკუმენტებით პერსონალის დატვირთვა არ აღემატება საკანონმდებლო მოთხოვნებს.

3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებლებს აქვთ პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია. ვიზიტის დროს შესწავლილ იქნა „სამთო გამყოლის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პროფესიული განათლების მასწავლებლების პირადი საქმეები (კვალიფიკაციისა და სამუშაო გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტაცია), შემოწმების შედეგად დადასტურდა, რომ პროგრამის განმახორციელებელ პროფესიული განათლების მასწავლებლები ფლობენ პროფესიული სტუდენტისათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენციებს. უმეტესი მათთგანი საერთაშორისო სამთო გამყოლთა ასოციაციის წევრია, მათ შორის არიან ამავე სკოლის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



კურსდამთავრებულებიც. შედგა გასაუბრება, მოდულების განმახორციელებელ პროფესიული განათლების მასწავლებლებთან, რითაც ასევე დადასტურდა მათი მაღალი კომპეტენცია.

განმახორციელებელ პირებს გავლილი აქვთ როგორც კოლეჯის, ისე საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, ასევე სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ ორგანიზებული ტრენინგები, შეფასების, სწავლების მეთოდოლოგიის, სასწავლო პროცესის დაგეგმვის/კალენდარული გეგმების შედგენის შესახებ. როგორც აღვნიშნეთ ყველა განმახორციელებელი საერთაშორისო სამთო გამყოლთა ასოციაციის წევრია, რაც გულისხმობს ასევე საერთაშოსო სერტიფიკატებს და შესაბამის საერთაშორისო ტრენინგებში მონაწილეობას. პროგრამის განმახორციელებელი პროფესიული განათლების მასწავალებლები ჩართულები იყვნენ მოდულური პროგრამის ადაპტირების/შემუშავების პროცესში.

4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი, რაც დასტურდება, როგორც მისი პირადი საქმით, ისე გასაუბრებით. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი კვალიფიკაციით არის საერთაშორისო სამთო გამყოლთა ასოციაციის წევრი, დარგში მუშაობის მრავალწლიანი გამოცდილებით. პროგრამის ხელმძღვანელს აქვს პროფესიული განათლებლის მასწავლებლად მუშაობის გამოცდილებაც. პროგრამის ხელმძღვანელი ჩართულია როგორც კონკრეტული მოდულების განხორციელების, ისე პროგრამის ადმინისტრირების პროცესებში.

   პროგრამის ხელმძღვანელის უფლება მოვალეობები გაბნეულია საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების მეთოდოლოგიაში. მაგ: პროგრამაში ცვლილების ინიცირება შეუძლია ასევე პროგრამის ხელმძღვანელს; მოდიფიცირებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დასამტკიცებლად წარდგენას ახორციელებს პროგრამის ხელმძღვანელი და სხვა, კოლეჯს ამ საკითხთან დაკავშირებით მიეცა განმავითარებელი რეკომენდაცია: <u>ცალკე დოკუმენტად გაწეროს პროგრამის ხელმძღვანელის უფლება მოვალეობები, რაც გაუადვილებს მას მუშაობის პროცესს, ხოლო მონიტორინგის შემთხვევაში გაადვილდება მისი მუშობის შეფასება.</u>

5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული სასწავლო რესურსი (ბეჭდური და ელექტრონული) განთავსებულია ბიბლიოთეკაში. ფონდი დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესით. ელექტრონული რესურსი ჩატვირთულია ბიბლიოთეკის კომპიუტერში, დაწესებულების ვებ-გვერდზე ინტეგრირებულია საბიბლიოთეკო საძიებო სისტემაში www.dropbox.com **სახელი: atslibrary1@gmail.com. ექსპერტთა მიერ გადამოწმდა კოლეჯში არსებული სასწავლო რესურსი, დადგინდა მათი შესაბამისობა პროგრამით გათვალისწინებულ მოთხოვნებთან და დადასტურდა მათი არსებობა, როგორც მატერიალური, ასევე ელექტრონული სახით. პროფესიულ მასწავლებლებთან და პროფესიულ სტუდენტებთან გასაუბრებით დადასტურდა, რომ მათ მარტივი წვდომა აქვთ სასწავლო რესურსებთან.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



თბილისი, 2022

6. სამთო გამყოლის სპეციფიკის გათვალისწინებით სკოლას არ ჰყავს სსსმ სტუდენტი, თუმცა შშმ პირთათვის მოწყობილია გადასაადგილებელი პანდუსი.

7. სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა. ფინანსურად მდგრადია ასევე საგანმანათლებლო პროგრამის წარმოდგენილი ბიუჯეტი მაჩვენებლების მიხედვით. პროგრამის ბიუჯეტი შედგება შემოსავლების და ხარჯების ნაწილისაგან. პროგრამის ბიუჯეტის შემოსავლების მთავარი წყაროა ვაუჩერი და პროგრამული უზრუნველყოფა, ასევე მიზნობრივი გრანტი. პროგრამის განხორციელების ხარჯები ნაწილდება შემდეგ კომპონენტებზე: მასწავლებლის და ადმინისტრაციული პერსონალის ანაზღაურება, მასალა და ნედლეული, საქონელი და მომსახურების ხარჯი, პერსონალის განვითარების ხარჯები და სხვა გაუთვალისწინებელი ხარჯები. პროგრამის რენტაბელობის ზღვარია **8 პროფესიული სტუდენტი** პროგრამისა და სკოლის ბიუჯეტის ანალიზი უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების მდგრადობას.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „სამთო გამყოლი“ და თანდართული დოკუმენტაცია;
- მატერიალური რესურსის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
- პროფესიული განათლების მასწავლებლების პირადი საქმეები;
- პროგრამის ხელმძღვანელის პირადი საქმე;
- საგანმანათლებლო პროგრამის ბიუჯეტი;
- ვიზუალური დათვალიერების შედეგები;
- სსიპ პროფესიული კოლეჯთან ,,თეთნულდი“ (ს/კ 235891512) გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი;
- აწესებულების წარმომადგენლებთან, პროფესიულ სტუდენტებთან პროგრამის ხელმძღვანელთან გასაუბრების შედეგები.

შეფასება:

☒ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

თბილისი, 2022

2.3 საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება

2.3.1 პროგრამის განვითარება უზრუნველყოფილია პროგრამების შეფასებისა და განვითარების პსდ-ში მოქმედი მექანიზმით

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.;
2. პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1 ა(ა)იპ სათავგადასავლო ტურიზმის სკოლის დირექტორის 2020 წლის 7 აპრილის N04/137-1 ბრძანებით დამტკიცებულია საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის მართვისა და შიდა მონიტორინგის გზამკვლევი, რომლის თანახმად პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების მიზნით კოლეჯს შემუშავებული აქვს ხარისხის განვითარების შიდა მექანიზმები დემინგის ციკლის შესაბამისად. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება მოიცავს შემდეგ პროცესებს: პროგრამების შინაარსობრივი ასპექტების შეფასება, სწავლა-სწავლების პროცესის მიმდინარეობის ადეკვატურობის დადგენა, მოდულის განმახორციელებელი პირების საქმიანობის შეფასება, მატერიალურ-ტექნიკური რესურსის, მასალა-ნედლეულის საკმარისობის, ავთენტურობის შეფასება, ვერიფიკაცია. კვლევის ჩასატარებლად შემუშავებულია შესაბამისი კითხვარები: მასწავლებელთა საჭიროების კვლევის შესახებ; მასწავლებლის კითხვარი მოდულური პროფესიული პროგრამისთვის; პროფესიული სტუდენტის კითხვარი (მოდულური) პროფესიული სტუდენტის მიერ სასწავლო პროცესის შეფასების კითხვარი; კურსდამთავრებულთა კმაყოფილების კვლევის კითხვარი; დამსაქმებელთა კითხვარი. კითხვარების დამუშავების შემდგომ დაინტერესებულ პირებს ეგზავნებათ ანალიზის შედეგები რომლებიც დიაგრამების ფორმით არის წარმოდგენილი. ანალიზზე დაყრდნობით იქმნება ანგარიშები და მუშავდება შესაბამისი რეკომენდაციები. დაწესებულებამ წარმოადგინა დირექტორის, ხარისხის მართვის მენეჯერის ანგარიშები და განვითარების რეკომენდაციები.

საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების მეთოდოლოგიით განსაზღვრულია, რომ პროგრამების განვითარებაზე ზრუნვას სკოლა/კოლეჯი ახორციელებს, როგორც საკუთარი შესაძლებლობების ფარგლებში, ასევე, საჭიროების შემთხვევაში, სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრში წინადადებების ინიცირებების გზით. პირველ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შემთხვევაში პროგრამების გაუმჯობესება შესაძლოა უკავშირდებოდეს: თემატიკის გამრავალფეროვნებას, სასწავლო მეთოდების შეცვლას, მოდულის განხორციელების მიდგომების შეცვლას, საათების გადანაწილებას, სასწავლო რესურსის შეცვლას, პროფესიული განათლების მასწავლებლის შეცვლას და სხვა. მეთოდოლოგიის თანახმად, სწავლის მეთოდებისა და მიდგომების ან სასწავლო რესურსების გაუმჯობესების წყაროდ შეიძლება იქცეს საერთაშორისო პრაქტიკა, რომელსაც გაეცნო დაწესებულება და თვლის, რომ მისი დანერგვით მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხს.

საერთაშორისო გამოცდილების გაზიარების მაგალითად შეიძლება ჩაითვალოს გერმანიასთან თანამშრომლობის ფარგლებში გერმანელი ექსპერტების მოწვევა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ბაზაზე პროგრამისთვის ტრენინგების/ვორკშოპების ჩასატარებლად, კონსულტაციის მისაღებად, თანამშრომლების კვალიფიკაციის ასამაღლებლად, სტუდენტებისათვის დამატებითი ტრენინგების ჩასატარებლად.

დაწესებულებამ წარმოადგინა დირექტორის, ხარისხის მართვის მენეჯერის ანგარიშები და განვითარების რეკომენდაციები. ამ რეკომენდაციების საფუძველზე სასწავლო პროცესის ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით შემუშავდა და განხორციელდა ტრენინგ-კურსები პროფესიული მასწავლებლებისთვის. წლის მანძილზე პროფესიული განათლების მასწავლებლები და ადმინისტრაციის თანამშრომლები ჩართულები იყვნენ: განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის, მასწავლებელთა სახლის და სხვა ორგანიზაციების მიერ ორგანიზებულ ონლაინ-ტრენინგებში.

2 კოლეჯის მიერ შემუშავებული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების მეთოდოლოგიაში გაწერილი პროცედურების შესაბამისად მიმდინარე წელს ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერის მიერ ჩატარებული გამოკითხვებისა და მეცადინეობებზე დასწრების მასალების ანალიზის საფუძველზე, იგეგმება სასწავლო წლის ბოლოს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასება და საჭიროების შემთხვევაში, ცვლილებები შევა საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში კოლეჯის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების დაცვით.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ა(ა)იპ სათავგადასავლო ტურიზმის სკოლის დირექტორის 2020 წლის 7 აპრილის N04/137-1 ბრძანებით დამტკიცებული საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის მართვისა და შიდა მონიტორინგის გზამკვლევი;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.4 სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება

2.4.1 სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;
2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;
4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;
5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;
6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „სამთო გამყოლის“ პაკეტს თან ახლავს სასწავლო გეგმა, რომელიც გაწერილია 2 აკადემიურ წელზე - არა ქართულენოვანი კონტიგენტისთვის პროგრამის ხანგრძლივობაა 20 სასწავლო თვე (113 კრედიტი), ხოლო ქართულენოვანი კონტიგენტისთვის 15 სასწავლო თვე (83 კრედიტი). ამ ეტაპზე სკოლას არაქართულენოვანი სტუდენტები არ ჰყავს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

საგანმანათლებლო პროგრამით კვირეული დატვირთვა არ აღემატება 40 საათს. სასწავლო გეგმა აგებულია ისე, რომ დაცულია მოდულების წინაპირობები. წინაპირობების არსებობის შემთხვევაში დაცულია განმეორებითი დადასტურებისთვის გონივრული ვადები. ექსპერტების მიერ შემოწმებული იქნა მიმდინარე საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესაბამისობა სასწავლო გეგმასთან, რამაც დაადასტურა, რომ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად.

2. ა(ა)იპ სათავგადასავლო ტურიზმის სკოლას შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროცესის მარეგულირებელი წესი, ასევე პროფესიული სტუდენტის მხარდაჭერის მექანიზმები და საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვისა და განხორციელების მექანიზმები, რომლებითაც დარეგულირებულია პროფესიულ სყუდენტებთან ურთიერთობა. მექანიზმები იძლევა შესაძლებლობას პროფესიული სტუდენტები უზრუნველყოფილი იყვნენ მათ საჭიროებებზე მორგებული საგანმანათლებლო მომსახურებით. სკოლის წარმომადგენლებთან და პროფსიულ სტუდენტებთან გასაუბრებით დადასტურდა, რომ სასწავლო პროცესი უზრუნველყოფილია პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და სკოლა ადექვატურად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე. მაგ, COVID-პანდემიის პირობებში, სკოლამ ეფექტიანად მართა დისტანციური სწავლების პლატფორმა. განახორციელა ელექტრონული გამოკითხვა და ასევე შესაბამისი მხარდაჭერის ღონისძებები. ანალიზის საფუძველზე, პროგრამაში განახორციელა ცვლილებები.

3. სასწავლო პროცესი, პროგრამის გათვალისწინებით ითვალისწინებს ონლაინ რესურსებს და სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას. სასწავლო პროცესზე დასწრების ანალიზით დგინდება, რომ სასწავლო პროცესში აქტიურად გამოიყენება, პრეზენტაციები, ვიზუალური ელექტრონული მასალები, პროგრამის სპეციფიკით გათვალისწინებული თვალსაჩინოებები და სხვა რესურსები. გამოყენებული მეთოდები და ტექნოლოგიები უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას.

4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები; საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების მეთოდოლოგიაში - მუხლი 5. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავება - განსაზღვრულია ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების ყველა პირობა, პროცედურა და მასზე პასუხისმგებელი პირები. დოკუმენტაციით დასტურდება, რომ კოლეჯი უზრუნველყოფს მობილობით

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



გადმოსული პროფესიული სტუდენტებისა და სტატუს აღდგენილი სტუდენტებისათვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენას. აღნიშნულ პროგრამაზე მსგავსი საჭიროება ჯერ არ დამდგარა, თუმცა გაწერილი მეთოდოლოგიის მიხედვით დაწესებულება პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გაითვალისწინებს პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალურ საჭიროებებს.

5. პროგრამა, სპეციფიკიდან გამომდინარე, არ საჭიროებს პარტნიორ ორგანიზაციებს, რამდენადაც პრაქტიკის კომპონენტი ხორციელდება ნებისმიერ სტეპურ ან ნახევრადუდაბნოს, ასევე ალპური ზონის შესაბამის მთათა სისტემაში, სადაც შესაძლებელია პროგრამის მიერ გათვალისწინებული მარშრუტების განხორციელება.

6. სასწავლო პროცესი შენობაში მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, რასაც უზრუნველყოფს შესაბამისი კავლიფიკაციის პირების არსებობა. კოლეჯში ფუქციონირებს პირველადი გადაუდებელი სამედიცინო დახმარების პუნქტი და სკოლის დირექტორი არის ასევე შრომის უსაფრთოების სერტიფიცირებული სპეციალისტი. გარემოს ვიზულური დათვალიერებითა და შესწავლილი დოკუმენტაციით დასტურდება, რომ სკოლაში დაცულია სასწავლო/სამუშაო პროცესი. ყველა შესაბამის სივრცეში განთავსებულია ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი (დამუხტული ცეცხლმაქრები) და დამონტაჟებულია დეტექტორები. პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით, ლაშქრობებისთვის, სკოლას შეძენილი აქვს დიდი საექსპედიციო ჩანთა და ასევე პატარა ზომის სამედიცინო ჩანთები.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- პროგრამა „სამთო გამყოლი“;
- სასწავლო გეგმა,
- საგანმანათლებლო პროცესის მარეგულირებელი წესი;
- პროფესიული სტუდენტის მხარდაჭერის მექანიზმები;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების მეთოდოლოგია;
- საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვისა და განხორციელების მექანიზმები;
- ფაქტობრივი გარემოება და ინტერვიუირების შედეგები პროფესიულ მასწავლებლებთან, პროფესიულ სტუდენტებთან და ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან.

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

თბილისი, 2022

2.4.2 შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;
2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;
3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;
4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. (ა)იპ სათავგადასავლო ტურისტული სკოლის მიერ შემუშავებული სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი არეგულირებს პროფესიული სტუდენტის სწავლის შდეგების შეფასების სისტემას (მუხლი 11), სადაც დეტალურად არის მოცემული ინფორმაცია პროფესიული სტუდენტის/მსმენელის მიღწევების შეფასებასთან დაკავშირებით. კერძოდ შეფასების ინსტრუმენტის შერჩევის პროცედურა, შეფასების ინსტრუმენტის და მტკიცებულებების მიმართ არსებული მოთხოვნები, შეფასების ინსტრუმენტის შემუშავების პროცედურები, შეფასების ადმინისტრირების საკითხები, რომელი ინსტრუმენტი გამოიყენება განმეორებითი შეფასების დროს, აპელაციის წესი, განმეორებითი შეფასების განხორციელების პროცედურა და წესი, მტკიცებულებების მოპოვებისა და შენახვის წესი. წესის თანახმად შეფასების ინსტრუმენტს შეიმუშავებს პროფესიული განათლების მასწავლებელი და წარუდგენს სასწავლო პროცესისა მენეჯერს, რომელიც პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელთან და შესაბამისი დარგის სპეციალისტთან ერთად კრიტერიუმთა საფუძველზე განიხილავს მის ვალიდურობას, სანდოობას, გამჭვირვალობას, სამართლიანობას, ობიექტურობასა და ვალიდაციის შემთხვევაში ადასტურებს მას. შეფასების ინსტრუმენტის ვალიდაცია ხორციელდება სასწავლო პროცესისა და სასწავლო პრაქტიკის მენეჯერისა და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელის მიერ შემუშავებული ქულობრივი ცხრილის მიხედვით, რომელსაც ბრძანებით ამტკიცებს დაწესებულების დირექტორი. აღნიშნულ ცხრილს შევსების შემდგომ, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, ხელს აწერს ვალიდაციაში მონაწილე ყველა პირი. იმისათვის, რომ გამოირიცხოს ინტერესთა კონფლიქტი, კონკრეტული შეფასების ინსტრუმენტის ვალიდაციაში არ მონაწილეობს ის პირი, რომელიც ჩართული იყო აღნიშნული ინსტრუმენტის შემუშავებაში. მოდულის დასრულების შემდგომ, პროფესიული სტუდენტის მიერ სწავლის შედეგის/შედეგების დაუდასტურებლობის შემთხვევაში, არაუგვიანეს 2 კვირის ვადაში (არ იგულისხმება წინმსწრები მოდული) მოდულის განმახორციელებელი სასწავლო პროცესის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მენეჯერთან შეთანხმებით ნიშნავს განმეორებითი განმსაზღვრელი შეფასების თარიღს და ახდენს შესაბამისი პროფესიული სტუდენტის/სტუდენტების ინფორმირებას.

პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს შეფასების შედეგის გაცნობიდან 3 სამუშაო დღის განმავლობაში აპელაციის წესით ერთჯერადად გაასაჩივროს აღნიშნული შეფასება დირექტორის სახელზე წარდგენილი პირადი/კანონიერი წარმომადგენლის/მხარდამჭერის საჩივრის საფუძველზე. მოცემულ შემთხვევაში საჩივარის რეგისტრაციიდან სამი სამუშაო დღის განმავლობაში საქმისწარმოების მენეჯერი ამოწმებს აღნიშნული საჩივრის შესაბამისობას საქართველოს კანონით „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით“ დადგენილ მოთხოვნებთან (თუ კი საჩივარი შეუსაბამოა აღნიშნულ მოთხოვნებთან, საქმის მწარმოებელი წერილობით განუსაზღვრავს საჩივრის ავტორს 5 დღის ვადას ხარვეზის გამოსწორებისათვის), რის შემდგომაც დირექტორის ბრძანების საფუძველზე იქმნება სააპელაციო კომისია და განისაზღვრება საკითხის განხილვის ვადა, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს ორ კვირას. განხილვის დაწყების შესახებ დაუყონებლივ ეცნობება საჩივრის ავტორს და განემარტება მისი უფლებები და მოვალეობები აღნიშნული განხილვის ფარგლებში.

ექსპერტების მხრიდან შეფასდა არსებული მდგომარეობა: შერჩევითობის პრინციპით შემოწმდა შეფასების ინსტრუმენტები, მტკიცებულებების და შეფასების პროცესთან დაკავშირებული დოკუმენტები, განხორციელდა ინტერვიუ პროფესიული განათლების მასწავლებლებთან და სასწავლო პროცესის მენეჯერთან. შედეგების შეჯამებით დასტურდება რომ პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური.

2. ა(ა)იპ სათავგადასავლო ტურიზმის სკოლის დირექტორის 2022 წლის18.03 №04/12 ბრძანებით დამტკიცებულია ვერიფიკაციის მექანიზმი და პროფესიული-სტუდენტის-შეფასების-ინსტრუქცია, რომელიც შემუშავებულია ავტორიზაციის ახალ სტანდარტებთან დაკავშირებით მიღებული რეკომენდაციებიდან გამომდინარე. ვერიფიკაციის პროცედურაში მონაწილეობს ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი და დარგის სპეციალისტები. ვერიფიკაცია არის დაწესებულებაში გამოყენებული შეფასების სისტემის სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის მექანიზმი. ვერიფიკაცია სამი მიმართულებით იგეგმება შეფასების გამოყენებული ინსტრუმენტის ვერიფიკაცია, პროცესის ვერიფიკაცია და მტკიცებულებების ვერიფიკაცია. ვერიფიკაციის მექანიზმით დარეგულირებულია შემდეგი საკითხები: ვინაა პასუხისმგებელი, ვინ ახორციელებს, შერჩევის პრინციპები (მ.შ. რისკების სისტემა), ვერიფიკაციის პროცესის აღწერა, დასკვნის, დასკვნის განხილვა, სამოქმედო გეგმის შემუშავება.

<u>ამ ეტაპამდე ვერიფიკაციის პროცესი არ ჩატარებულა, რასაც კოლეჯი პანდემიის გამო შექმნილ სიტუაციას უკავშირებს.</u>

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

3. შესრულების მტკიცებულებები ინახება სასწავლო პროცესისა და სასწავლო პრაქტიკის მენეჯერთან მათი მოპოვებიდან 3 წლის ვადით (შესრულების მტკიცებულებათა შენახვა ხდება თითოეული მოდულის მიხედვით ცალ-ცალკე), რის შემდეგაც ხორციელდება მათი განადგურება დაწესებულების საქმისწარმოების წესით გათვალიწინებული პროცედურის შესაბამისად. პროფესიული სტუდენტის სწავლის შედეგების დადასტურების უწყისები პროფესიული სტუდენტისათვის კვალიფიკაციის მინიჭებამდე ინახება პორტფოლიოში, ხოლო კვალიფიკაციის მინიჭების შემდეგ კი გადაეცემა არქივს და ინახება უვადოდ. ექსპერტების მხრიდან შერჩევითი პრინციპით გადამოწმდა შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვის /შენახვის პრაქტიკა, რაც შესაბამისობაშია დაწესებულების და კანონმდებლობით დადგენილ წესებთან.

4. პროფესიული სტუდენტებისა და მასწავლებლების ინტერვიურებით დასტურდება, რომ პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით, სასწავლო პროცესში მუდმივად გამოიყენება განმავითარებელი შეფასება. პროფესიული სტუდენტი სასწავლო პროცესის მენეჯერის, პროგრამის ხელმძღვანელის და პროფესიული განათლების მასწავლებლისგან იღებს სათანადო კონსულტაციას და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად. მსგავს მხარდაჭერას პროფესიული სტუდენტი/მსმენელი განმავითარებელი შეფასებების ეტაპზე სისტემატურად იღებს პროფესიული განათლების მასწავლებლისგან.
   დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების, ანგარიშების შედეგების და წარმოდგენილი კითხვარების გაცნობის შედეგად დგინდება, რომ კვლევებთან ერთად ხორციელდება პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სტატისტიკური მონაცემების (სწავლის შედეგის დადასტურების/ვერ დადასტურების მაჩვენებლები) შეგროვება, რაც გამოიყენება პროგრამის განვითარებისა და სწავლების ხარისხის გაუმჯობესებისათვის, პროფესიული სტუდენტები და მასწავლებლები უკუკავშირს იღებენ პერსონალური მონაცემების დაცვით.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი;
- პროფესიულ სტუდენტთა შეფასების წესი, მათ შორის, უწყისები და მტკიცებულებები;
- მასწავლებლებთან, ადმინისტრაციასთან და პროფესიულ სტუდენტებთან ინტერვიუს შედეგები.

შეფასება:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის შეფასება პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესახებ:

ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒
ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐

XIII. თანდართული დოკუმენტაცია

დანართი 1 - ვიზიტის დღის წესრიგი
დანართი 2 - სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა
დანართი 3 - ორმხრივი კორესპონდენციები როგორც სსიპ სახელმწიფო ქონების მართვის სააგენტოსთან, ასევე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინიტროსთან.
დანართი 4 - ა(ა)იპ სათავგადასავლო ტურიზმის სკოლის დირექტორის 2022 წლია 22 აგვისტოს ბრძანება გაუმჯობესების გეგმის დამტკიცების შესახებ
25.08.2022

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: